პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—39.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საბერძნეთის რეფორმისტულ პროფკავშირების ბელადები ცდილობენ ჩაშალონ მუშათა გაფიცვები.
- გენსაბჭოელები მხარს უჭერენ კელლოგის წინადადებას.
- საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა პოლონეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.
- დაკრძალეს სამხრეთ-სლავიის პარლამენტში მოკლული დეპუტატები.
- კოვნოში ჩავიდა პოლონეთის დელეგაცია.
- ცზინანში რკინის გზის ხაზის აფეთქების გამო დაიმტვრა იაპონიის სამხედრო მატარებელი.

პარასკევი, 29 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 149 (2192)

1928 წლის ივლისის 3-ს ქ. თბილისში, სასახლეში

გაიხსნება

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების ცენტ.-აღმასრულებელი კომიტეტის

მე-4 სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე.
3. ორგანიზაციული საკითხები.
4. მიმდინარე საკითხები.

ს.ს. ცაკის მდივნის მაგიერ ი. ვარძიელი.

უნდა ამოიწვას გახურებული შანთით

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო წერილი შორაპნის მაზრიდან. ის შეეხება ყოფილ თავად-აზნაურობის გავლენას გლეხობაზე. ეს წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება იქ გამოაშკარავებულ უაღრესად მჭერმეტყველურ ფაქტებზე.

აღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები საბოლოოდ თავდაყირა აყენებენ ზღაპარს იმის შესახებ, თითქოს საქართველოს პირობებში კულაკის წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას, თითქოს ჩვენი სოფლის სოციალური სახე შედარებით ერთფეროვანია და სხვ. ჩვენ ვხედავთ, რომ კულაკი ჩვენში არსებობს, ის მიმართავს ყოველგვარ ლეგალურ და არალეგალურ საშუალებას იმისათვის, რომ არა თუ შეინარჩუნოს საკუთარი არსებობა, არამედ შეაფერხოს ჩვენი აღმშენებლობა, ხელი შეუშალოს სოფლის სოციალისტურად განვითარებას. ყოფილი თავად-აზნაურობა, ყოფილი მემამულეები, მეფის ყოფილი ერთგული მოხელეები და სამღვდელოება—აი ის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ელემენტები, რომელნიც წარმოადგენენ სოფლად ანტისაბჭოთა ტენდენციების დასაყრდენ ძალას, რომელნიც თვით ქმნიან და აცხოველებენ ამ ტენდენციებს.

ეს ძველი, ხავსმოკიდებული საზოგადოების ნარჩენები პოლიტიკურად წელში გატეხილია. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია მათი გავლენა, ჯერ კიდევ ცოცხლობს სოფლად დრომოჭმული ბატონ-ყმური ურთიერთობის ნამსხვრევები, თავადაზნაურული „კუდაბზიკური" იდეოლოგია. ყველაზე უფრო დაუშვებელი აქ ის არის, რომ ამგვარ იდეურ გავლენას ძირს უმაგრებს ანტისაბჭოთა ელემენტების ეკონომიურად წარჩინებული მდგომარეობა. ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე ეს თითქოს დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ—ფაქტია.

შორაპნიდან მოწერილ კორესპონდენციაში ნათქვამია და ფაქტებითაა დადასტურებული, რომ რეფორმის გატარების დროს, საუკეთესო მიწები დარჩა აქა-იქ ნორმაში თავად-აზნაურებს და მემამულეებს. ამასთან დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ კულაკები ყველგან და ყოველთვის ცდილობენ ჩვენი კანონმდებლობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას და ხშირად არა თუ ადგილობრივ, არამედ ცენტრალური ორგანოების დაუდევრობის წყალობით კიდეცაც აღწევენ მიზანს.

აიღეთ, მაგალითად, ასეთი ფაქტი, რომელზედაც სწერს ამხანაგი შორაპნის მაზრიდან. არამშრომელმა გასცა მიწა იჯარით. კანონის თანახმად ამ ელემენტებს არა აქვს მიწით სარგებლობის უფლება. ისინი არა თუ სარგებლობენ მიწით, არამედ იჯარითაც აძლევენ მას. ადგილობრივი სასამართლოს გამოაქვს განაჩენი იმის შესახებ, რომ არამშრომელ ელემენტს ჩამოერთვას იჯარით გაცემული მიწა; უზენაესი სასამართლო კი არღვევს პირველი ინსტანციის განაჩენს და უბრუნებს მიწას აშკარა ექსპლოატატორს. ან კიდევ მიწის კოდექსის დარღვევის უფრო დამახასიათებელი მეორე მაგალითი. საჩხერეში მცხოვრებ ვინმე ყოფ. აზნაურმა, საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელ მტერმა, გაჰყიდა მიწა. ადგილობრივ სასამართლომ მყიდველს მიწა ჩამოართვა და ამასთან ერთად მყიდველს და გამყიდველს დატუსაღება მიუსაჯა. საოლქო სასამართლომ განაჩენი დაამტკიცა. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ ის დაარღვია და აშკარა კონტრ-რევოლიუციონერს, სისხლის სამართლის დამნაშავეს მიწა უკან დაუბრუნა. მისმა ცოლმა გამოაგდო ჩამორთმეულ ადგილიდან ულარიბესი გლეხობა და უზენაეს სასამართლოს მიერ ნაბოძები მიწა მონასტრის ბერს უთავაზა. აქ ჩვენ წინაშე თავისთავად ისმება საკითხი, იცის თუ არა ყოველივე ეს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და რა ზომები მიიღო მან ასეთი, თავის უმსგავსოებით იშვიათი მოვლენის წინააღმდეგ.

ხელისუფლების ორგანოების ასეთი სისუსტის ან ზოგჯერ აშკარა დანაშაულის წყალობით კულაკობა იმდენად გათამამდა, რომ აქა-იქ პირდაპირ შეტევაზეც გადადის ღარიბ გლეხობის წინააღმდეგ. ასეთი ფაქტიც არის დასახელებული აღნიშნულ წერილში.

ზოგვან სოფლის ექსპლოატატორული ელემენტები ახერხებენ ხელისუფლების ორგანოებში გაძრომასაც და ამის შემდეგ, უკვე როგორც უფლებამოსილნი, იმაგრებენ საკუთარ პოზიციებს. აი, მაგალითად, ქორეთის თემის მცხოვრები „ყოფილი" მენშევიკი ვინმე შავიძე, ადგილობრივ საბჭოს წევრი და აღმასკომის თავმჯდომარის ეხლა უკვე ყოფილი მოადგილე, რომელმაც მოახერხა 50 ქცევა მიწის შენარჩუნება...

არანაკლებ დამახასიათებელია საჩხერელ აბლაკატის „მოღვაწეობა". მან მოჯამაგირე „ძმად" გაიხადა, რომ მიწის ორი ნორმა შეენარჩუნებია, იჯარით გასცა მიწები და ამ მიწებზე მომუშავე გლეხები „კოლექტიურად" დარაზმა. თვითონ აბლაკატობს, ხოლო „კოლექტივი" ყოველწლიურ ღალას აძლევს.

აქ შორს წაგვიყვანდა სხვა მაგალითების ჩამოთვლა. ისინი თავიანთი მნიშვნელობით ერთი მეორეზე უფრო მჭერმეტყველურია. ჩვენ უნდა ვსთქვათ, ეს ფაქტები ერთხელ კიდევ შეგვაგონებენ, რომ ყველა ამ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა მეტი დაუნდობლობა, მეტი ბოლშევიკური სიმტკიცე.

ყოველგვარი ორჭოფობა, ლმობიერი, ზერელე დამოკიდებულება სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტებისადმი უდიდესი დანაშაულობაა და სასტიკად უნდა აღიკვეთოს. ყოფილ თავად-აზნაურული ელემენტის გავლენა სოფლად გახურებული შანთით უნდა ამოიწვას.

ახალი პაციფისტური ფანდი

ამერიკის ბურჟუაზია თავგამოდებით ანვითარებს ახალ წარმოებას—„სამშვიდობო შემოქმედებას" მასიური მასშტაბით. დღემდე პირველობა ამ საქმეში ინგლისს ეკუთვნოდა. რადგან ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატები თანდათან ართმევს ინგლისს მსოფლიო სამრეწველო ცენტრის როლს, ამიტომ მას სურს მსოფლიოს „ხსნის" საკუთარი პროდუქციაც ჰქონდეს.

მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კელოგის პროექტი „ომის დაგმობის" შესახებ, პროექტი, რომელიც ეხლახან წარუდგინა კელოგმა ახალი რედაქციით სახელმწიფოებს. ყველა ქვეყნის სოციალ-შემთანხმებლებმა უკვე მოასწრეს ამ პროექტის „მსოფლიოს ახალ ერად" გამოცხადება (კლაინისი). მაკდონალდმა თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში 10 მაისს, ასეთი რწმენა გამოსთქვა: „ევროპის დიდი სახელმწიფოები რომ დაჟინებით განაცხადებდნენ, რომ ისინი რიცხავენ ომს მათი ნაციონალური პოლიტიკის სფეროდან, მაშინ მშვიდობიანობის საქმის სიძნელეთა 99 პროც. გადალახული იქნებოდა" და „კელოგის ნოტის მიღება შეუძლებლად გახდიდა, რომ დიდ სახელმწიფოებს დიპლომატიაში ომის მუქარისათვის მიემართათ"-ო. „ფორვერტს"-ი დიდი კმაყოფილებით აცხადებს, რომ „ამერიკას მსოფლიოს დამშვიდება სურს"-ო. ეჭვს გარეშეა, რომ რაც უფრო ახლოვდება დიდი სახელმწიფოების მიერ კელოგის შემოქმედებაზე ხელის მოწერის ვადა, მე-2 ინტერნაციონალი მით უფრო შეუხმატკბილდება მჭერმეტყველ დიპლომატების და მოსყიდულ კალმოსნების ხმაურს და „ახალი პაციფისტური ერის" პატივსაცემად ქვეყანას გააყრუებს „ოსანას" ძახილით. ერთი სიტყვით ლოკარნოს კონცერტი განმეორდება.

რისთვის ახმაურდენ ასე?

რას წარმოადგენს ამერიკის დიპლომატიური ტეხნიკის ახალი გამოგონება?

„ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები—აცხადებს კელოგის სახარების პირველი და მთავარი მცნება,—ზეიმით (ნუ ხუმრობთ—„ზეიმით". რედ.) აცხადებენ შესაფერ ხალხების („დემოკრატია" რედ.) სახელით, რომ ისინი გმობენ ომს საერთაშორისო დავის გადასაწყვეტად და უარჰყოფენ მას, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს, თავიანთ ურთიერთობაში".

სულ ესაა! მარტივი, მაგრამ გენიალური ამერიკული გამოგონება ერთხელ და სამუდამოდ ძირფესვიანად ჰსპობს საზიზღარ ომს. კაცობრიობის ეს საშინელი უბედურება მოსპობილია: ამიერიდან იგი აღარ იქნება. მას ხომ „მაღალი" მხარეები გმობენ „ზეიმით". და თუ ამ „მაღალ" ქვეყნებში დრედნოუტებს, კრეისერებს, წყალქვეშა ნავებს და სამხედრო აეროპლანებს აგებენ, შორსმსროლელ ზარბაზნებს ასხამენ და მხრჩოლავ გაზებს ამზადებენ,—ეს ისე ტყვილა ხდება, ყველა ამას სიძველეთა მუზეუმებისათვის ამზადებენ.

ყველაფერი ეს სასაცილო იქნებოდა, რომ ეს საზიზღარი სიცრუე მიზნად არ ისახავდეს მასების სიფხიზლის მიძინებას და მათი ყურადღების შესუსტებას კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე უფრო მწვავე და საბედისწერო პრობლემის მიმართ. მხოლოდ ამიტომ ძალაუნებურად გვიხდება ბურჟუაზიული სიცრუისა და უმაგალითო თვალთმაქცობის ამ ახალი დოკუმენტის უფრო ახლოს გაცნობა.

ეს დოკუმენტი კიდეც რომ სრულიად გარკვევით იყოს ჩამოყალიბებული, მას მაინც არავითარი ღირებულება არ ექნებოდა. ასეთი კანცელიარიული ქაღალდები ხომ ასობით და ათასობით ინახება ბურჟუაზიული დიპლომატიის არქივებში; „საზეიმო" სამშვიდობო აქტები—თავისთავად, ხოლო სისხლის მღვრელი და განმანადგურებელი ომები—თავისთავად. მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკის ბურჟუაზიას არ სურდა მიეცა ამ სრულიად არასავალდებულო დოკუმენტისათვის ნათელი და გარკვეული ხასიათი. ის წინადადებას იძლევა, რომ უარჰყონ ომი არა საერთოდ, არამედ როგორც „ნაციონალური პოლიტიკის იარაღი". აქ დატოვებულია ხვრელი და ამ ხვრელში მაშინვე გაძვრა ბრიანი, რომელმაც ეს ფორმულა ისე გაიგო, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ომს გმობენ, როგორც „დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედების იარაღს", ე. ი. როგორც შეტევით ომს. სულ სხვა საქმეა თავდაცვითი ომი, რომელიც ვერსალისა და ლოკარნოს მსგავს „საღვთო" საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ასეთი ომის უარყოფა საფრანგეთს არ სურს ქაღალდზედაც კი. ასეთი „მორალური" და „სამართლიანი" ომის კულტის დაცვა და განვითარება ყოველნაირადაა საჭირო. ამავე კატეგორიას ეკუთვნებს საფრანგეთი ისეთ ომებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის სამხედრო კავშირს პოლონეთთან, რუმინეთთან და სამხრეთ-სლავიასთან, კავშირს, რომელიც მიმართულია ვერსალის ყაჩაღური სისტემის სამუდამოდ განმტკიცებისაკენ და ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნისაკენ. დაბოლოს, მშვიდობიანობის ყველაზე უფრო ცნობილმა „თაყვანისმცემელმა" მუსიო რაიმონდ პუანკარემ კიდევ ერთი შენიშვნა წამოაყენა: ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ მხარეს უფლება აქვს უარჰყოს ხელშეკრულება, თუ მას მეორე მხარე არღვევს. თუ ამ ადვოკატურ ნასკვს გავხსნით, დავინახავთ, რომ საკმარისია ერთმა სახელმწიფომ გამოაცხადოს მეორე თავდამსხმელ მხარედ და მთელი ხელშეკრულება საპნის ბუშტივით გაქრება. აი, რას ისახავდა მიზნად საფრანგეთის დიპლომატიური მიწერ-მოწერა რამდენიმე თვის განმავლობაში. და თითქმის ყველა მისი შენიშვნები კელოგმა მიიღო, ვინაიდან ისინი ამერიკას არაფერს არ ავალებენ გარდა იმისა, რომ მას საშუალებას აძლევენ მიიყვანოს თავისი სამშვიდობო შემოქმედება ბოლომდე და ამრიგად უკანა რიგში დააყენოს ერთა ლიგა.

საფრანგეთის ამ შენიშვნებს სავსებით დაუჭირა მხარი ინგლისმა ჩემბერლენის ნოტაში (19 მაისის თარიღით) ამერიკის ელჩის მიმართ. მაგრამ გარდა ამისა, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა წამოაყენა თავისი საკუთარი შენიშვნები. ხელშეკრულობის პროექტში გათვალისწინებული ვალდებულებანი არ ვრცელდება „განსაზღვრულ რაიონებზე მსოფლიოში, რომელთა კეთილდღეობა და მთლიანობა შეადგენს ჩვენი (ე. ი. ინგლისის რედ.) მშვიდობიანობისა და ჩვენი უშიშროების სასიცოცხლო ინტერესს". ინგლისი ხომ, როგორც ცნობილია, დაუღალავად და უანგაროდ „ზრუნავს" მთელი რიგი ქვეყნების და ხალხების „კეთილდღეობისათვის": ეგვიპტეში, სუდანში, ინდოეთში, ერაქში, ტრანსიორდანიაში და სხ. ამ უკანასკნელი ქვეყნების მახლობლად მდებარეობს ავღანისტანი და სპარსეთი: ისინიც შეადგენენ ინგლისის „გულკეთილი" დიპლომატიის „ზრუნვის" საგანს.

ინგლისის დიპლომატიას სრულიადაც არ აქვს განზრახვა შეიბორკოს აქ თავი თუნდაც ქაღალდზე აღნიშნული ვალდებულებებით: აქ ინგლისს შეუძლია იომოს მარჯვნივ და მარცხნივ, როცა კი მოისურვებს და ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს კოლონიალური ძარცვისა და ყვლეფის ინტერესები. და რომ აიძულოს კელოგი წავიდეს დათმობებზე, ჩემბერლენი გესლიანად შენიშნავს: „ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს აქვს ანალოგიური ინტერესები, რომელთა მიმართ უპატივცემლოდ მოპყრობას სხვა სახელმწიფოების მხრივ, ამერიკა, თანახმად მისი განცხადებებისა, შეაფასებს როგორც არამეგობრულ აქტს".

ჩემბერლენის ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფი" განმარტავს ამ შენიშვნას: „კელოგი,—სწერს გაზეთი,—ისევე ნაკლებ არის დაინტერესებული ინგლისის შენიშვნების განხილვაში, როგორც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების სპეციალური ინტერესების საკითხის განხილვაში". მარტივად რომ ვსთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ნილაბჩამოფარებულ „ჯენტლმენურ" შეთანხმებასთან „გავლენის სფეროების განაწილების" შესახებ.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ საკითხის ასეთი დასმაც კი დათმობას წარმოადგენს ინგლისის მხრივ, რომელსაც არ მოსწონს ვაშინგტონის გადაჭარბებული აქტიობა და ინიციატივა. მაგრამ ლონდონი იძულებული იყო გაეთვალისწინებია დომინიონების (კანადა, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა) სულისკვეთება, რომელთაც არ სურთ შეიბორკონ თავი მეტროპოლიის ვალდებულებებით და რომლებიც საზოგადოდ სცდილობენ დაუახლოვდენ შეერთებულ შტატებს. ვაშინგტონი კი, თავის მხრივ, წავიდა დათმობებზე ლონდონის მიმართ, რათა მიეღწია იმისათვის, რომ ინგლისი მიმხრობოდა ხელშეკრულობას.

შენიშვნები წამოაყენა აგრეთვე იაპონიამაც, რომელსაც, როგორც ცნობილია, აგრეთვე აქვს თავისი რაიონები „განსაკუთრებული ინტერესებით", როგორც, მაგალითად, მანჯურია, მაგრამ აქაც ალბად გამონახავენ რაიმე ბუნდოვან კომპრომისს. სამაგიეროდ ყოველგვარი შესწორების გარეშე მიიღო ამერიკის წინადადება გერმანიამ, რომლის დიპლომატია, როცა ივიწყებს გერმანია-ამერიკის სავაჭრო კონკურენციის განახლებას, შეერთებულ შტატებს უყურებს როგორც თავის დამცველს საფრანგეთის და ინგლისის წინააღმდეგ.

ასე თანდათანობით მზადდებოდა ნიადაგი იმ კონფერენციის ახალი „მშვიდობიანობის დამამყარებელი" მოქმედებისათვის, რომელიც ვაშინგტონის კონფერენციის განმეორებას წარმოადგენს. ყოველი კაპიტალისტური მთავრობა დაინტერესებულია იმაში, რომ პაციფისტური ლაყბობის კორიანტელი დააყენოს და ამით დაუმალოს თავის ხალხს სისხლისმღვრელი ავანტიურების საფრთხე.

ვაშინგტონის მთავრობა სცდილობს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, დაავგვირგვინოს თავისი მსოფლიო მონოპოლია პაციფისტური ორნამენტებით და დაჩრდილოს ინგლისი, რომელიც პირველხარისხოვან როლს თამაშობს ერთა ლიგაში. მწვავე საკითხები, ასე თუ ისე, მოგვარებულ იქნა (ქაღალდზე, რასაკვირველია) და მიაღწიეს ფორმულას, რომელიც აკმაყოფილებს თითქმის ყველა დაინტერესებულ მხარეებს.

კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელთაც ამას წინედ უხეშად უარჰყვეს საბჭოთა პროექტი დაუყოვნებლივ და ნამდვილი განიარაღების შესახებ, მორიგი პაციფისტური ინსცენიროვკისათვის ემზადებიან. ისინი, ინგლისის წინადადებით, გვერდს უხვევენ ერთერთ უდიდეს სახელმწიფოს მსოფლიოში—საბჭოთა კავშირს: „საზეიმო" აქტი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ომების „დაგმობის" შესახებ ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს ნიადაგს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის მორალური მზადებისათვის.

ამგვარად, ინტერვენტების ზარბაზნების გრიალში, ჩინეთსა და ნიკარაგუაში, დაუსრულებელი ინტრიგების და გამალებული სამხედრო მზადების დახუთულ ატმოსფერაში, ევროპაში იბადება ახალი ცრუპაციფისტური ქმნილება—დოლარის დედა-ქალაქის ბილწი ჩანასახის ნაყოფი.

„პრავდა", 28 ივნისი.

გერმანიაში შესდგა ახალი მთავრობა მიულერის თავმჯდომარეობით

ჟენევაში გაიხსნა „უშიშროების კომიტეტის" მესამე სესია

ცვლილებები პოლონეთის მთავრობაში პილსუდსკის ავადმყოფობის გამო

ფინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების რატიფიკაცია ფინეთის პრეზიდენტის მიერ

ახალი მთავრობა გერმანიაში

ბერლინი, 28 ივნისი. ახალი მთავრობა გერმანიაში უკვე შესდგა. კანცლერი—**მიულერი** (სოციალ-დემოკრატი), გზათა მიმოსვლის და ოკუპაციაქმნილი ოლქების მინისტრი **გერარდი** (ცენტრი), გარეშე საქმეთა მინისტრი—**შტრეზემანი** (სახალხო პარტია), შინაგან საქმეთა მინისტრი—**ზევერინგი** (სოციალ-დემოკრატი), შრომის მინისტრი—**ვისელი** (სოც.-დემ.), სახალხო მეურნეობის მინისტრი—**კურციუსი** (სახალხო პარტია), ფინანსთა მინისტრი—**ჰილფერდინგი** (სოც.-დემოკრ.), იუსტიციის მინისტრი—**კოხი** (დემოკრატი), თავდაცვის მინისტრი—გენერალი **გრენერი** (უპარტიო), მომარაგების მინისტრი—**დიტრიხი** (დემოკრატი), ფ.-ტელეგრაფ. მინისტრი—**შეცელი** (ბავარიის სახალხო პარტია); შტრეზემანი, კურციუსი, გრენერი და შეცელი შედიოდნენ ძველ მთავრობაში. (ადს).

მთავრობის შედგენის წინ

ბერლინი, 27 ივნისი. გერმან მიულერმა ჰინდენბურგს აცნობა, **რომ ცენტრის ფრაქცია მოითხოვს, რათა ვირტს, გზათა მიმოსვლის მინისტრის თანამდებობის გარდა, მიეცეს აგრეთვე ვიცე-კანცლერის თანამდებობა, ან გზათა მიმოსვლის მინისტრის პორტფელის მაგივრად მიეცეს რომელიმე პოლიტიკური სამინისტროს, მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროს პორტფელი.**

შემდეგ მიულერმა განაცხადა, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს **მას არ შეუძლია განაგრძოს მოლაპარაკების წარმოება.**

ჰინდენბურგმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაეთანხმოს ვიცე-კანცლერის თანამდებობის დაწესების აუცილებლობას და არ შეუძლია დაუშვას, რომ რომელიმე ფრაქციამ წარუდგინოს მას სავალდებულო პირობების შედგენის შესახებ.

შემდეგ მიულერმა მოლაპარაკება გამართა ცენტრის პარტიის წარმომადგენლებთან, **მაგრამ ეს მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა.** პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ მიულერმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ **უარს ამბობს მთავრობის შედგენაზე. მოსალოდნელია, მთავრობის შედგენა მიანდონ ცენტრის პარტიის წარმომადგენელს.** (ადს).

ბერლინი, 27 ივნისი. გერმანიის მთავრობის შედგენას ხელს უშლის ის გარემოება, რომ აქამდის არ არის მიღწეული შეთანხმება ვიცე-კანცლერის საკითხის გარშემო. ცენტრის პარტია მოითხოვდა, რათა ვიცე-კანცლერის პოსტი გადაეცათ ვირტისათვის. სხვა პარტიები აცხადებდნენ, რომ მომავალ მთავრობაში საერთოდ არ არის განზრახული ვიცე-კანცლერის დანიშვნა. ჰინდენბურგმა განაცხადა, რომ მას ზედმეტათ მიაჩნია ვიცე-კანცლერის პოსტის შემოღება.

ბერლინი, 27 ივნისი. პოლიტიკურ წრეების ცნობით, გერმან მიულერის მიერ უარის თქმა ვიცე-კანცლერის თანამდებობის შექმნაზე აიხსნება მით, რომ სახალხო პარტია გადაჭრით ეწინააღმდეგება ამას. ამ პარტიას ეშინია, რომ თუ რეიხსკანცლერის პოსტი დაიჭირა სოციალ-დემოკრატმა, ხოლო ვიცე-კანცლერის პოსტი —ცენტრის პარტიის წარმომადგენელმა (ცენტრის პარტიამ ამ პოსტზე წამოაყენა ვირტი), ეს მნიშვნელოვანად შეასუსტებს შტრეზემანის მდგომარეობას კაბინეტში, ეს მნიშვნელოვანად შეასუსტებს ზემანმა, რომელიც ამ პარტიის ბელადია, კაბინეტში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. (ადს).

„უშიშროების კომიტეტის" მესამე სესია

ჟენევა, 27 ივნისი, 27 ივნისს გაიხსნა უშიშროების კომიტეტის მესამე სესია.

პირველი სხდომა გაიხსნა **ბენეშის** თავმჯდომარეობით, ბენეშმა მიესალმა რა თურქეთის დელეგაციას, რომელიც პირველად ესწრება სესიის სხდომებს, წარადგინა შემდეგი დღის წესრიგი: კომიტეტის მიერ მარტში შემუშავებული მრავალმხრივი ტიპიური შეთანხმებების პროექტების წაკითხვა, ორმხრივი შეთანხმებების პროექტების წაკითხვა, გერმანიის მიერ მარტში წარდგენილ წინადადებათა განხილვა შერეული კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის განხილვა, რომელიც შეეხება ფინანსიური დახმარების აღმოჩენას იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც თავს დაესხმიან, და თურქეთის წინადადებათა (თუ წარდგენილ იქნება) განხილვა.

თურქეთის წარმომადგენელმა **მუნირ-ბეიმ**, უპასუხა რა ბენეშის მისასალმებელ სიტყვაზე, განაცხადა, რომ თურქეთის დელეგაცია თავის წინადადებებს შეიტანს ცალკე საკითხების განხილვის მიხედვით.

შემდეგ არჩეულ იქნა სარედაქციო კომისია, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, პოლონეთის და არგენტინის წარმომადგენელთა შემადგენლობით. (ადს).

ფინეთ-საბჭ. კავშირის შეთანხმება

ჰელსინგფორსი, 27 ივნისი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა 17 მარტს ჰელსინგფორსში საბჭოთა კავშირსა და ფინეთის შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ეხება ნევაზე ფინეთის გემების მიმოსვლის შესახებ არსებულ ხელშეკრულების მეშვიდე მუხლის შეცვლას. (ადს).

სოსნოვსკი—პილსუდსკის მოადგილე

ვარშავა, 27 ივნისი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ სამხედრო მინისტრის პირველ ამხანაგათ დანიშნულ იქნება გენერალი სოსნოვსკი, რომელიც იქნება პილსუდსკის მოადგილეთ.

მთავრობის რეკონსტრუქციამ ვარშავაში დიდი სენსაცია გამოიწვია. ზოგიერთმა გაზეთებმა სასწრაფო ნომრები გამოუშვეს. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ლიტვის დელეგაცია ვარშავაში

ვარშავა, 27 ივნისი. ვარშავაში ჩამოვიდა ლიტვის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიური საკითხების მომწესრიგებელ პოლონეთ-ლიტვის კომისიაში. (ადს).

პოლონეთის დელეგაცია კოვნოში.

კოვნო, 27 ივნისი. კოვნოში ჩამოვიდა პოლონეთის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკებაში. **სადგურებზე მყოფი ხალხის ნაწილი დელეგაციას სტვენით შეხვდა.** (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთ-იაპონიის შეტაკება

შანხაი, 27 ივნისი. „სინ ვენბაო"-ს ცნობით, უკანასკნელ ხანებში შანდუნის პროვინციაში მოხდა რამოდენიმე ახალი შეტაკება ჩინელებსა და იაპონიის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებს შორის.

იაპონიის კონსულის (ცზინანში) განცხადებით, სამოქალაქო ტანთსაცმელში გადაცმულმა უცნობმა ჯარებმა 24 ივნისს ბეიმაშანში მოაწყეს იაპონიის სამხედრო მატარებლის დამტვრევა და ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი.

ტოხოს საგენტოს ცნობით, იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ცზინანში დააპატიმრა 15 კაცი, რომელთაც ბრალად სდებენ იაპონელი ჯარისკაცის მოკვლას ცზინანში. (ადს).

ჩან სუე-ლიანი სუნ იატ-სენის მიმდევარი?

შანხაი, 27 ივნისი. ოფიციოზურ საგენტო გოვენის ცნობით, ცზიანსუს პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარე **ნიუიუნცზიანმა** აცნობა ნანკინის მთავრობას, რომ **ჩან სუე-ლიანისაგან** მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩან სუე-ლიანი „უკვე დიდი ხნიდან არის სუნ იატ-სენის მოძღვრების მიმდევარი და გომინდანის პრინციპების მომხრე". თითქოს სწორედ ამის გამო ჩან სუე-ლიანმა გაიყვანა მუკდენის ჯარები მანჯურიაში და ეხლა ელის ნანკინის მთავრობის ინსტრუქციებს „იმ ტერიტორიის მართვა-გამგეობის მეთოდების შესახებ, რომლის მართვა მან დროებით იკისრა".

სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ლი-ჩუნი** აცხადებს, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მიღებულია გომინდანის მომხრეებისაგან დაირენიდან და მანჯურიის სხვა პუნქტებიდან, **ჩან სუე-ლიანს განზრახული აქვს დაემორჩილოს ნანკინის მთავრობას.**

ამავე დროს იაპონიის საგენტო ტოხო იუწყება, რომ მუკდენის ჯარები ემზადებიან სამხრეთელებთან ბრძოლის გასაგრძელებლად. (ადს).

კომუნისტური მოძრაობის ზრდა სვატოუში

შანხაი, 27 ივნისი. ჩინეთის დეპეშათა საგენტოს ცნობით, იაპონიის საკონსულომ შანხაიში სვატოუდან მიიღო დეპეშა, რომელიც აღნიშნავს, კომუნისტური მოძრაობის ძლიერ ზრდას სვატოუში. „ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესძლო გაეგო, — ნათქვამია დეპეშაში, — **რომ კომუნისტები 28 ივნისისათვის ფიქრობენ მოაწყონ აჯანყება სვატოუში. ქალაქში შექმნილია 7 არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია". ქალაქში დაუყონებლივ შემოიღეს საალყო წესები და მოახდინეს ჩხრეკა. დააპატიმრეს 72 კაცი. სასამართლომ, რომელიც შესდგა ჩხრეკის დამთავრებისთანავე დაპატიმრებულები დამნაშავედ სცნო და ისინი დაუყონებლივ დასაჯეს სიკვდილით. (ადს)**

საუბარი ტევფიკ რუშდი-ბეისთან

ანგორა, 27 ივნისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა საგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა თურქეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ტევფიკ რუშდი-ბეისთან. კორესპონდენტმა მისცა მინისტრს შეკითხვები და მიიღო მათზე პასუხი.

შეკითხვა: როგორი ურთიერთობა იყო საბჭოთა და თურქეთის დელეგაციებს შორის განიარაღების მოსამზადებელი კომისიის უკანასკნელ სესიაზე?

პასუხი: ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვქონდა საბჭოთა დელეგაციასთან.

შეკითხვა: როგორი პოზიცია გეკავათ თქვენ საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტის მიმართ?

პასუხი: ჩემი ორივე გამოსვლის დროს, რომელთაგან ერთი ავსებდა მეორეს, მე განვაცხადე, რომ საჭიროა საბჭოთა პროექტის განხილვა იმ სახელმძღვანელო იდეის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პროექტს, და მისი შეტანა განსახილველად განიარაღების საერთო კონფერენციაზე, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

შეკითხვა: რა თვალსაზრისს ადგია თურქეთი განიარაღებისა და უშიშროების საკითხში და როგორ უყურებთ თქვენ ევროპის პრესის ცდებს, თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო მოგაწერონ თქვენ ისეთი განზრახვები, რომლებიც თქვენ არ გქონიათ?

პასუხი: როგორც განიარაღების, ისე უშიშროების საკითხის შესახებ, ჩემი პირველი მოხსენება შეიცავდა ჩვენი თვალსაზრისის სრულ გამოხატულებას. თუ პრესა მომაწერს მე რაიმე სხვა განზრახვებს გარდა იმისა, რაც მე განვაცხადე, მე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ იმისათვის, რაც ვთქვი.

შეკითხვა: როგორ უყურებთ თქვენ ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტს და მისი განხილვის შესაძლებლობას განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მომავალ სესიაზე;

პასუხი: რაც შეეხება ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტს, სასარგებლო და სასურველი იქნებოდა მისი განხილვა. თურქეთის დელეგაცია შეეკითხა კომისიას—შეტანილი იქნება თუ არა ეს პროექტი კომისიის მომავალი სესიის დღის წესრიგში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა პროექტი განხილული იქნება ვინაიდან თავმჯდომარემ აღნიშნულ შეკითხვაზე დადებითი პასუხი მოგვცა.

შეკითხვა: რა პოზიციას ადგას თურქეთის დელეგაცია უშიშროების კომიტეტში?

პასუხი: ჩვენი პოზიცია ამ კომიტეტში სავსებით ნათელია. მთელ მსოფლიოს საბოლოო მიზანი, ისე როგორც ჩვენი უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს მშვიდობიანობის განხორციელება. არსებულ საერთაშორისო პირობებში უშიშროების, რა თქმა უნდა, შედარებითი უშიშროების, განხორციელება ადვილი არ არის, მაგრამ ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დადება, რომლის ნიმუშადაც ვაყენებთ ჩვენს ხელშეკრულებებს საბჭოთა კავშირსა და იტალიასთან. (ადს)

ბელგიის ტრამვაის მუშების ყრილობა

პარიზი, 27 ივნისი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობით, ბელგიის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ **მიიღო რეზოლიუცია**, რომელიც **მოითხოვს საბჭოთა ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის მიღებას ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანებაში** იმ პირობით, თუ საბჭოთა პროფკავშირები დაემორჩილება გაერთიანების ეხლანდელ წესდებას. (ადს)

„წითელი დღე" ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 27 ივნისი. კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო" ათავსებს დაწვრილებითი ცნობებს მუშათა სასპორტო საზოგადოების აკრძალვის შესახებ. პოლიციამ დახურა პრაღის და კლადნოს ორგანიზაციები, რომლებიც შედიოდენ გიმნასტიურ გაერთიანებათა კავშირში. ამ ორგანიზაციების არქივებს და ფულად საშუალებებს პოლიციამ კონფისკაცია უყო. ობერლოიტენდორფში ჩატარებულ იქნა „წითელი დღე". ჟანდარმერიის და პოლიციის ცდა ჩაეშალათ „წითელი დღე" უშედეგოთ დამთავრდა. (ადს).

მთავრობის კრიზისი ეგვიპტეში

ლონდონი, 27 ივნისი. ეგვიპტის მეფის ბრძანება ნახას-ფაშას კაბინეტის გადადგომის შესახებ წარმოადგენს მთავრობის კოალიციის დაშლის შედეგს. კოალიციის დაშლა გამოიწვია ორივე მინისტრ-ლიბერალის გასვლამ კაბინეტიდან. კაბინეტის გადადგომის მიზეზია აგრეთვე ის, რომ გაზეთ „ალახბარ"-ში და ლიბერალურ გაზეთ „ალსიასა"-ში გამოქვეყნდა დოკუმენტები, რომლებიც სახელს უტეხენ ნახას-ფაშას პოლიტიკურ რეპუტაციას. ამ დოკუმენტებს უნდა დაემტკიცებია, რომ ნახას-ფაშამ წინადადება მისცა შეშლილ პრინცის სეიფედინის ოჯახს, რომლის იურისკონსულტად იყო ის სახამ პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩევდნენ, რომ თუ დიდ გასამრჯელოს გაიღებდნენ თავის პოლიტიკურ გავლენას გამოიყენებდა მის სასარგებლოდ. ვაფდის პარტია, რომლის ლიდერია ნახას-ფაშა, ამტკიცებდა, რომ ეს დოკუმენტები ყალბია და რომ მათი გამოქვეყნება წარმოადგენს იმ შეთქმულების ნაწილს, რომელსაც მიზნად აქვს სახელი გაუტეხოს ნახას-ფაშას და მთელ ვაფდის პარტიას. (ადს).

მუშათა გაფიცვები

საგაფიცვო მოძრაობა საბერძნეთში

ვენა, 27 ივნისი. ათენიდან მიღებული ცნობებით, საბერძნეთის რეფორმისტული კავშირების ბელადები სცდილობენ ჩაშალონ საყოველთაო საგაფიცვო მოძრაობა.

კომუნისტური გაზეთის „რიზოსპასტის"-ის ცნობით, რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანების მდივანი სტრატისი მეთამბაქოეთა რეფორმისტულ კავშირთან სალონიკში და აგრეთვე ბერძნული მაკედონიის გუბერნატორ—კალებრასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

კალებრასთან მოლაპარაკების დროს სტრატისმა წამოაყენა მთელი რიგი ზომიერი მოთხოვნილებანი. იუწყებიან, რომ სტრატისი მოითხოვდა, რომ მწარმოებლები დასთანხმდნენ ხელფასის მხოლოდ მცირე მომატებაზე, რითაც შესაძლო გახდება შესწყვიტონ გაფიცვა მუშებმა, რომლებიც რეფორმისტულ პროფკავშირებს ეკუთვნიან.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში სტრატისმა „სრული კმაყოფილება" გამოსთქვა იმ მოლაპარაკების გამო, რომელსაც იგი სახალხო მეურნეობის მინისტრის დავალებით აწარმოებდა მწარმოებლებთან.

რკინის-გზელთა რეფორმისტული პროფკავშირების გამგეობამ, ემყარებოდა რა იგი დირექტივას, რომელიც მიღებულ იქნა პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებისაგან, გადასდო რკინისგზელთა გაფიცვის გამოცხადება.

მაგრამ მიუხედავად რეფორმისტული ბელადების მოქმედებისა, საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება. გაფიცვას მიემხრენ გემო-კვების მრეწველობის წარმოებათა, მუნიციპალურ წარმოებათა მრავალი მუშები და მშენებლი—მუშები.

რევოლიუციონურ პროფკავშირთა ბიურომ, რომელიც შესდგება საბერძნეთის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების უკანასკნელი ყრილობის მიერ გამორიცხული პროფკავშირების ხუთი წარმომადგენლისაგან, პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ამხილებს და ზიზღს უცხადებს საყოველთაო გაერთიანების ბელადების გამცემლობას.

რევოლიუციონურ პროფკავშირთა ბიურო მოუწოდებს მუშებს არ დაემორჩილონ საყოველთაო გაერთიანების ბელადებს და გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა.

ვოლოში გაფიცულ მეთამბაქოე—მუშებსა და ჟანდარმერიის რაზმს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაჭრილ იქნა 20 მუშა. დააპატიმრეს მრავალი მუშა.

შეტაკება პოლიციასა და გაფიცულებს შორის მოხდა აგრეთვე სალონიკშიაც. (ადს).

წყალზე მომუშავეთა გაფიცვა.

ბერლინი, 27 ივნისი. რეინის სანაოსნო ტრანსპორტზე მომუშავეთა გაფიცვა დამთავრდა. პროფკავშირთა ბიუროკრატია სისტემატიურად ცდილობდა გაფიცვის ჩაშლას. რეფორმისტების საქმიანობის შედეგათ ნავთსადგურების და სანაოსნო ტრანსპორტის მუშების უმრავლესობა იძულებული გახდა განეახლებია მუშაობა ძველ პირობებში. (ადს).

სამხრეთ-სლავიაში

პავლე რადიჩის და ბასარიჩეკის დასაფლავება.

ვენა, 27 ივნისი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, **პავლე რადიჩის და ბასარიჩეკის დასაფლავებაზე დაესწრო 100.000 კაცი.** გამოსულ ორატორებიდან განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა **პრიბიჩევიჩმა, რომელმაც განაცხადა, რომ „პარლამენტში გასროლილი ტყვიები მიმართული იყო კონსტიტუციის წინააღმდეგ".** (ადს).

ზაგრების დემონსტრანტების შიმშილობა.

ვენა, 27 ივნისი. ბელგრადის გაზეთი „ვრემე"-ს ცნობით, ზაგრებში მომხდარი დემონსტრაციის 119 მონაწილემ, რომლებიც დაპატიმრებული არიან პოლიცის მიერ და საპყრობილეში ზიან, შიმშილობა განაცხადეს (დემონსტრაციები ზაგრებში, ისე როგორც ხორვატიის და სლოვაკიის სხვა ქალაქებში, შესდგა პროტესტის ნიშნად სამხრეთ-სლავიის პარლამენტში რადიჩის პარტიის დეპუტატებისათვის სროლის აქტის წინააღმდეგ) (ადს).

პრიბიჩევიჩი მეფესთან.

ვენა, 27 ივნისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის სასახლის წრეები სცდილობენ შექმნან მთავრობა, რომელიც შედგენილი იქნება ყველა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. მეფემ მიიღო ოპოზიციის წარმომადგენლები, მათ შორის პრიბიჩევიჩი, რომელმაც იკისრა გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის ხელმძღვანელობა, ვინაიდან მძიმედ დაჭრილ სტეფანე რადიჩს მუშაობა არ შეუძლია.

მიღების შემდეგ პრიბიჩევიჩმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მისი პარტია (დემოკრატები) ჯერჯერობით ადგია დაცვის პოზიციას. (ადს).

სტეფანე რადიჩი

ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხ. აღდგენა პარტიაში

მოსკოვი, 28 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა 1928 წლის 22 ივნისს დაადგინა: „ვინაიდან ამხ. **ავდეევმა, ბაბახანმა, ბაკაევმა, ბატაშევმა, ბელაისმა, ბელინკიმ, ბურცევმა, ვაინტრაუბმა, გერტიკმა, გესენმა, გურალისკიმ, ევდოკიმოვმა, ელკოვიჩმა, ზავარიკინმა, ზალუცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა, კუკლინმა, ლაშევიჩმა, ლევინმა, ლეპეშინსკაიამ, ლიადანმა, მატვეევმა, მახოვმა, მინიჩევმა, ნიკოლაევმა, პინსონმა, პრიგოჟინმა, რაბკინმა, რავიჩმა, როცკინმა, სოკოლოვმა, სოლოვიოვმა, ფედოროვმა, ფურტიჩევმა, ხარიტონოვმა, შაროვმა, შეპშელევმა** გააკეთეს განცხადებანი, რომლებშიაც მათ აღიარეს თავისი პრინციპიალური შეცდომები, გაიმიჯნენ ტროცკისტების პლატფორმისაგან, დაგმეს ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა, შესწყვიტეს ეს მუშაობა და განაცხადეს, რომ სავსებით ემორჩილებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებებს,—თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებისა ოპოზიციის შესახებ, რომელიც 1927 წლის 18 და 19 დეკემბერს იქნა მიღებული, აღდგენილ იქნან ისინი საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ძველი სტაჟით; ამასთანავე მათ პირად საქმეებში აღინიშნოს პარტიაში არ ყოფნის დრო პარტიიდან გამორიცხვის მომენტიდან".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარის მაგიერ **იაკოვლევი**". (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქიმიური მრეწველობა გადადის 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 28 ივნისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დაამტკიცა ქიმიურ მრეწველობის იმ ქარხანათა სია, რომლებიც ახლო მომავალში გადადიან 7 საათის სამუშაო დღეზე.

სიაში შედის ქიმიურ წარმოებათა უდიდესი გაერთიანებანი, როგორც მაგალითად ანილტრესტი, სახმედვაჭრობის ქარხნები, ჩერნორეჩენსკის ცნობილი ქიმიური ქარხანა და სხვა.

ქიმიკოსთა პროფესიონალურ კავშირის ცეკამ აღნიშნა, რომ ქიმიის მრეწველობის მთავარი სამმართველო მეტად აგვიანებს გეგმის დამუშავებას წარმოებათა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ. კავშირის ცეკა მოითხოვს, რომ 1927—28 წლის განმავლობაში აგებული ყველა ქიმიური ქარხნები გადაყვანილ იქნან 7 საათის სამუშაო დღეზე.

ახალი საექსპორტო საზოგადოება

მოსკოვი, 28 ივნისი. აქ შესდგა სააქციო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს შინამრეწველობის პროდუქციის საზღვარგარეთის ბაზარზე გატანის ორგანიზაციას. საზოგადოება იმუშავებს მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

დღეს შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა აღნიშნულ საზოგადოების წესდება.

თბილისის ხორცით მომარაგება

მოსკოვი, 28 ივნისი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა, მოახდინოს საბჭოთა კავშირის ხორცის ბაზრის მომარაგების ცენტრალიზაცია. ამის განსახორციელებლად გადაწყვეტილია პირველ რიგში მოხდეს 36 ქალაქის და სამრეწველო პუნქტის გაერთიანება ხორცის მომარაგების დარგში. ცენტრალიზაციაქმნილ პუნქტების რიცხვში შეტანილია თბილისი, და ბაქო. აღნიშნულ 36 ქალაქის და სამრეწველო პუნქტისათვის ხორცის დამზადება-მიწოდების საქმე ჩაბარებული აქვს 5 უდიდეს დამამზადებელ ორგანიზაციას.

მარგარინის პირველი ქარხანა

მოსკოვი, 28 ივნისი. მოსკოვის საბჭომ გადასწყვიტა ააშენოს მოსკოვში მარგარინის ქარხანა. ეს ქარხანა პირველი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. წლიურად ის დაამზადებს 5.000 ფუთ მარგარინს. თავის ხარისხით მარგარინი არ ჩამოუვარდება ერბოს. ლო მარგარინი ეღირება 87 კაპეი

ბელა კუნის გასამართლების შემდეგ

ავსტრიის პრესა ბელა კუნის საქმის შესახებ

ვენა, 27 ივნისი. ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა ბელა კუნის პარტიებს უძღვნის მოწინავე წერილებს და გამოსთქვამს იმედს, რომ კუნი „არასოდეს აღარ დაბრუნდება ვენაში".

ოფიციოზი „რეიხსპოსტი" სწერს: კუნს სასამართლოში ისე ეპყრო თავი, რომ თითქოს ის იყო ბრალმდებელი".

„ნეიე ფრეიე პრესე" სწერს, რომ ავსტრიისათვის სასურველი აღარ არის კუნის კვლავ დარჩენა ავსტრიაში.

„ნეიეს ვინერ ტაგებლატი" ფიქრობს, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი „ძალიან მსუბუქია კომუნისტისათვის, რომელიც ცდილობდა გაენადგურებია ხალხთა შორის არსებული ურთიერთობის ეკონომიური წესრიგი".

სოციალ-დემოკრატიული „არბეიტერ ციტუნგი" აცხადებს, რომ განაჩენი იურიდიულ უაზრობას წარმოადგენს.

კომუნისტური „როტე ფანე" ხაზს უსვამს ანტი-კომუნისტური კამპანიის ჩაშლას კუნის საქმესთან დაკავშირებით და ამავე დროს აღნიშნავს, რომ კუნს კიდევ ელის საფრთხე. (ადს).

უნგრეთის პრესა აღშფოთებულია

ვენა, 27 ივნისი. უნგრეთის ბურჟუაზიული პრესა უკიდურეს უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ავსტრიის მთავრობამ უარი განაცხადა ბელა კუნის უნგრეთისათვის გადაცემაზე.

გაზეთი „ნემზეტ უიშაგ"-ი აცხადებს: „მთლიანი ანტი-ბოლშევიკური ფრონტის შექმნის მისწრაფებებთან დაკავშირებით, მთელი ევროპა აღშფოთებულია ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით". (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის სამდივნოს ცნობა

პარიზი, 27 ივნისი, საფრანგეთის კომპარტიის სამდივნომ „ჰუმანიტე"-ში გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„3 ივნისს პარიზის ცენტრალური რაიონის კონფერენციამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს კომპარტიის სრულიად საფრანგეთის კონფერენციას, რათა უკანასკნელმა მოსთხოვოს ორენს უარი სთქვას დეპუტატის რწმუნებებზე, ვინაიდან ის, წინააღმდეგ პარტიათა ტაქტიკისა, არჩეულ იქნა, როგორც „წითლების ბლოკის" წარმომადგენელი, ცენტრალურ რაიონის კონფერენციის წინადადება, რომელსაც მხარი დაუჭირა პოლიტბიურომ, სრულიად საფრანგეთის კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა ორენის თანდასწრებით. ორენს წინადადება მიეცა გადადგეს და მანდატზე უარის თქმა დაასაბუთოს მით, რომ მისი საარჩევნო ტაქტიკა, რომლებმაც დაამახინჯა კომპარტიის დირექტივები, არ აძლევს მას უფლებას ჩაითვალოს კომპარტიის წარმომადგენლად.

ორენმა შეიტანა განცხადება დეპუტატის რწმუნებების მოხსნის შესახებ, მაგრამ შემდეგ უკან წაიღო თავისი განცხადება და დაკმაყოფილდა პალატის თავმჯდომარისთვის განცხადების მიცემით დეპუტატის რწმუნებების მოხსნის შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ დასაბუთების გარეშე".

ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს რომ ორენის მიერ დეპუტატის რწმუნების მოხსნა ზედმეტი იყო, რამდენადაც მისი არჩევა არ დაუმტკიცებია პალატას (სამანდატო კომისიამ არ დაამტკიცა ორენის მანდატი იმ საბაბით, რომ არჩევნების მეორე ტურის წინ „უცნობმა პირებმა გაავრცელეს ხმები. თითქოს ზოგიერთი მიმართულების კანდიდატი—შაპიო გაგიჟდა და თავის მოკვლა უნდოდა").

გენსაბჭო მხარს უჭერს კელოგის წინადადებას

ლონდონი, 27 ივნისი. ტრედიუნიონების გენსაბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებულმა კრებამ მიიღო რეზოლიუცია კელოგის მიერ წამოყენებულ ხელშეკრულების პროექტის გარშემო, რომელიც შეეხება „ომის აკრძალვას". რეზოლიუცია მოითხოვს მთავრობისაგან დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ამგვარ ხელშეკრულებას. (ადს).

1928 წლის 2 ივლისს,

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში, საღამოს 6 ს.

დანიშნულია

საქ. კომპ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის

მესამე მორიგი პლენუმი

დასწრება საქ. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

ც. ს. კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ღამის ცნობები

ჩრდილოელთა ჯავშნოსანი მატარებელი

პეკინი, 28 ივნისი. „პეკინ ენდ ტიანცზინი ტაიმსი"-ს ცნობით, ტიან-ძინში მოვიდა ჩრდილოელთა ჯავშნოსანი მატარებელი და დანებდა სამხრეთელებს. 40 რუსი თეთრგვარდიელს, რომლებიც ჯავშნოსანი მატარებლის რაზმის ნაწილს შეადგენდნენ, ძილის დროს ხელფეხი შეკრეს ამ რაზმში მყოფმა ჩინელებმა და ამ სახით მოიყვანეს ტიან-ძინში. (ადს).

მაკედონელი რევოლიუციონერების დასჯა სიკვდილით

ვენა, 28 ივნისი. ზაგრების გაზეთ „მორგენ ბლატი"-ს ცნობით, ბიტოლში სისრულეში მოიყვანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა მაკედონიის რევოლიუციონური პარტიის ხუთი წევრის მიმართ. მათ ბრალად ედებოდა გაზეთ „იუჟნაია ზვეზდა"-ს რედაქტორის ხაჯი პოპოვიჩის მოკვლა. (ადს).

ვან-ჩჟენ-ტინის განცხადება

შანხაი, 28 ივნისი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვან-ჩჟენ-ტინმა, რომელიც შანხაიში ჩამოვიდა, მიიღო ყველა კონსულები; ამასთანავე მან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამერიკის, ინგლისის და გერმანიის კონსულებთან ცალ-ცალკე. მდ. იან-ცზიზე ინგლისის შეიარაღებული ძალთა სარდალმა ვან-ჩჟენ-ტინის საპატივსაცემოდ გამართა ბანკეტი. ჩინური პრესის წარმომადგენლებს ვან-ჩჟენ-ტინმა, სხვათა შორის, განუცხადა: „ნანკინის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს სხვა სახელმწიფოების მიერ ნანკინის მთავრობის ცნობის საკითხს. ჩინეთი გახდა მთლიანი და მისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ იცნობენ თუ არა ჩინეთის მთავრობას. (ადს).

კონფერენცია საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ

სტოკჰოლმი, 28 ივნისი. ოსლოდან იუწყებიან, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებამ, ქრისტიანულ პროფკავშირთა გაერთიანებამ წითელი პროფინტერნი და ამსტერდამის ინტერნაციონალი მიიწვიეს მონაწილეობის მისაღებად იმ კონფერენციაში, რომელიც განიხილავს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხს. (ადს).

ნანკინი—ჩინეთის დედაქალაქი

პეკინი, 28 ივნისი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვან-ჩჟენ გადატანის საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 28 ივნისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინასწარი ცნობებით, ივნისის მეხუთე ხუთდღიურში დამზადებულია 54.246 ტონა (სემიპალატინსკის გუბერნიის გარდა). ხოლო წინა ხუთდღიურში დამზადებულ იქნა 57.368 ტონა. სულ ივნისის 25 დღის განმავლობაში დამზადებულ იქნა 2998.761 ტონა (ადს).

ნობილეს ჯგუფის დასახმარებლად

ბაბუშკინის გაფრენა

ყინულის მჭრელი „მალიგინ"-ი, 27 ივნისი. დღეს მფრინავი ბაბუშკინი მექანიკოს გრომოვთან და რადისტ ფომინთან ერთად ჩვენი აპარატით გაფრინდა კუნძულ ფომინის რაიონის დასათვალიერებლად. აპარატს თან მიაქვს ერთი კვირის საყოფი სურსათი და ბენზინის მარაგი. (ადს).

ყინულისმჭრელი „მალიგინ"-ი, 27 ივნისი. მთავრდება მოტორის გამოცვლა ბაბუშკინის აეროპლანზე. „იტალია"-ს ავარიის რაიონში გაფრენის დროს ბაბუშკინმა უნდა გაიაროს 1.600 კილომეტრი და დაეშვას შპიცბერგ. კარლოსის კუნძულზე ეწყობა საწვავი მასალის დროებითი საწყობი. ამუნდსენის ბედი დღემდე გამოურკვეველია. (ადს).

ამუნდსენის ძებნა

ოსლო, 27 ივნისი. ოსლოს გაზეთებმა შეაგროვეს მნიშვნელოვანი თანხები იმ მიზნით, რომ მოაწყონ კერძო ექსპედიცია აეროპლან „ლატამ"-ის მოსაძებნად, რომლითაც გაფრინდნენ ამუნდსენი, გილბო და დიტრიხსენი. (ადს).

რომი, 27 ივნისი. იტალიის ჰიდროაეროპლანი, რომელსაც მართავს მფრინავი რავაცონი, მიფრინდა ტრომსეში (ნავთსადგური ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაპირზე), სადაც დარჩება „ლატამ"-ის ძებნის საქმის მოსაწყობად. (ადს).

დახმარება ნობილეს ჯგუფს

რომი, 27 ივნისი. იტალიის საზღვაო ატაშე სტოკჰოლმში იუწყება, რომ შვეციის მთავრობის ბრძანებით ნარვიკში გაფრინდება შვეციის ორი ახალი მსუბუქი ტიპის აეროპლანი. შვეციის მფრინავ ლუნდბორგს (რომელმაც გადაარჩინა ნობილე) აზრით ასეთ აეროპლანებს შეუძლიათ დაეშვან ექსპედიციის სადგომის მახლობლად. (ადს).

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

სხდომა დახურულ კარებში

მოსკოვი, 28 ივნისი. 27 ივნისს დამთავრდა სასამართლოს გამოძიება დონბასის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის საქმეზე. 27 ივნისის სხდომა სწარმოებდა დახურულ კარებში.

როგორც სახკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობებს, ამ სხდომაზე სასამართლო, უმთავრესად, არკვევდა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის კავშირს საზღვარგარეთთან და აგრეთვე იმას, თუ რა გზით ღებულობდა ორგანიზაცია წერილებს და ფულად საშუალებებს უცხოეთში არსებულ ცენტრებიდან.

ბუდნის დაკითხვა

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული ბუდნი, რომელმაც სასამართლოს ერთ-ერთ ღია სხდომაზე განაცხადა, რომ მან მიიღო და ორგანიზაციის წევრებს დაურიგა საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ორმოცამდე წერილი. ბუდნი ამის შესახებ სასამართლოს მოუთხრობს უფრო დაწვრილებით და ასახელებს მთელ რიგ პირებს და დაწესებულებებს, რომელთა დახმარებით მას კავშირი ჰქონდა გაბმული დვორჟანჩიკთან. პირველი წერილი დვორჟანჩიკს ბუდნიმ გაუგზავნა ვინმე ლიადის საშუალებით. ლიადმა წერილი გადასცა დანიშნულებისამებრ და ცოტა ხნის შემდეგ ბუდნის პოლონეთიდან ჩამოუტანა დვორჟანჩიკის მიერ გამოგზავნილი 150 დოლარი. ამ დღიდან დაიწყო მიწერ-მოწერა, რომელიც გრძელდებოდა 1925 წლის დასაწყისამდე.

მატოვის დაკითხვა

ბრალდებული მატოვი ადასტურებს, რომ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას პოლონეთთან კავშირი გაბმული ჰქონდა პირველად ბუდნის, ხოლო შემდეგ ბაიარინოვის საშუალებით. 1926 წელს ბუდნიმ დაიწყო სამხედრო ხასიათის ცნობების გზავნა საზღვარგარეთ. კიდევ მეტი, 1926 წლის დასაწყისში ბუდნიმ, რომელიც ორგანიზაციას აკავშირებდა სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭოსთან (საბჭოს პარიზის ბიუროსთან), ორგანიზაციას გაუკეთა მოხსენება, რომელშიაც ამბობდა, რომ ისეთივე ცნობები, როგორსაც ორგანიზაცია აძლევს ყრილობათა საბჭოს, სჭირდება „უცხოეთის ერთ-ერთ დაწესებულებას", რომელთანაც მას უკვე აქვს დამყარებული კავშირი. ბუდნის წინადადება მიღებულ იქნა და ამის შემდეგ ხსენებულ „დაწესებულებას" სისტემატიურად ეგზავნებოდა ცნობები. ამ ცნობებისათვის ორგანიზაცია ღებულობდა ფულს. მიუხედავად ამისა, ბუდნი უარყოფს სამხედრო ხასიათის ცნობების გაგზავნას.

აგრეთვე მეორე ბრალდებული სუშჩევსკი ასახელებს იმ პირებს, რომელთა საშუალებით მას კავშირი ჰქონდა გაბმული დვორჟანჩიკთან. ეს პირებია რუტიცკი და ბიხოვსკი, რომელთა შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ბრალდებულთა დაკითხვის დროს. ამ პირების გარდა სუშჩევსკის კავშირის გაბმაში ეხმარებოდნენ აგრეთვე სხვებიც. იყო შემთხვევა, როცა ორგანიზაციამ პოლონეთში ცნობები გაგზავნა დონბასში ჩამოსულ ერთ-ერთ უცხოელი პირის ხელით. ეს ცნობები შეეხებოდა მაღაროებს, კაპიტალურ ხარჯებს და სხ.

შადლუნის დაკითხვა

ბრალდებული შადლუნი სასამართლოს მოუთხრობს თავისი კავშირის შესახებ საზღვარგარეთთან. ის ასახელებს იმავე გვარებს, რომლებიც უკვე დაასახელა სუშჩევსკიმ. ერთ-ერთმა მათგანმა 1922 წელს გადასცა მას წერილი ყოფილ მაღაროს მეპატრონე რემიხასაგან, რომელიც იმყოფებოდა საფრანგეთში. მათივე საშუალებით შადლუნი აგზავნიდა თავის წერილებს. შადლუნმა რემიხასაგან პირველად მიიღო ასი დოლარი და ათი გირვანქა სტერლინგი, ხოლო მეორედ ასი მანეთი „მოსამსახურეებისათვის".

შადლუნი ირწმუნება, რომ ამ პირებთან შეხვედრის დროს მან სრულიადაც არ იცოდა რას წარმოადგენდნენ ისინი, სად მსახურობდნენ და რა საშუალებებით სარგებლობდნენ. მატოვის ჩვენებებში კი შადლუნი გაცილებით უფრო სერიოზულ როლს თამაშობს. რემიხ თავის წერილში, მატოვის სიტყვით, შადლუნისაგან ითხოვდა არა მარტო „ზოგიერთ ცნობების" გაგზავნას, არამედ აგრეთვე „კავშირის შექმნას" ორგანიზ. და უცხოეთის ერთ-ერთ დაწესებულებას შორის, რომელსაც აგრეთვე უნდა გაეგზავნათ ზოგიერთი ცნობები. ამ დაწესებულებასთან კავშირი უნდა გაება შადლუნს. შადლუნის საშუალებით ორგანიზაცია ღებულობდა ფულს გაგზავნილი ცნობებისათვის, დაახლოებით, 20—25 ათას მანეთს თითო მიღებაზე.

შადლუნი ყველაფერ ამას უარყოფს. სასამართლო საკმაოდ დიდ დროს ანდომებს შადლუნის როლის გამორკვევას მატოვის მიერ დასახელებულ დაწესებულებებთან დაკავშირებით.

სასამართლო ახდენს მთელ რიგ ბრალდებულთა ერთდროულად დაკითხვას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე დამცველები. ბრალდებული კრჟიჟანოვსკი, რომელსაც ბრალად ედება უცხოეთის დაწესებულებებთან კავშირი და ცნობების გადაცემა საზღვარგარეთ, უარყოფს თავის მონაწილეობას „ამ მუშაობაში", თუმცა აღნიშნავს, რომ შეიძლება ის გამოიყენეს „მისი სურვილის გარეშე". ბრატანოვსკის თხოვნით ის აწვდიდა ცნობებს „ვიღაც კერძო პირებს".

სკორუტოს დაკითხვა

ბრალდებული სკორუტო სასამართლოს აძლევს ზოგიერთ დაწვრილებითი ცნობებს სამთამადნო მრეწველთა ყრილობის საბჭოს პოლონეთის გაერთიანებასთან და საფრანგეთის მრეწველებთან არსებულ კავშირის შესახებ, და ასახელებს ორ დაწესებულებას, რომელთა საშუალებით არსებობდა კავშირი ამ ორგანიზაციებთან 1927 წლის დასაწყისამდე. სკორუტო აღიარებს, რომ ის პირადათ ღებულობდა მონაწილეობას ამ კავშირის განხორციელებაში, აგზავნიდა პაკეტებს ცნობებით და ღებულობდა ფულს. თავის თავის გარდა სკორუტო ასახელებს აგრეთვე ერთ პირს, რომელიც ამჟამად პასუხისგებაშია მიცემული სხვა საქმეზე. ხსენებული პირი სკორუტოს, ჩვეულებრივად ეხმარებოდა ასეთ „მუშაობაში". სკორუტო ასახელებს ორ ადგილს, სადაც ის ხვდებოდა ნაცნობ პირებს, აძლევდა მათ წერილებს და ღებულობდა ფულს. ამ ცნობებთან დაკავშირებით ის ასახელებს აგრეთვე რაბინოვიჩს. თუ ის პირი, რომელსაც ის ხვდებოდა, უცნობი იყო, მას წინდაწინვე უნდა მოეცა პირობითი ნიშანი. ეს პირები იყვნენ უცხოელები. ამგვარად ორგანიზაციამ მიიღო დიდი თანხები. ყოველ თვიურად მიდიოდა 40 ათას მანეთამდე. ბრალდებული მატოვი უარს ამბობს თავის წინანდელ ჩვენებების ერთ ნაწილზე და აგრეთვე იმაზე, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროს მან პარიზის ცენტრის გარდა ინახულა, ან უნდა ენახა საფრანგეთის ზოგიერთი ოფიციალური დაწესებულებებიც. ამავე დროს ის არ უარყოფს, რომ უცხოეთის (საფრანგეთის და პოლონეთის) ზოგიერთ დაწესებულებებს გადასცა მთელი რიგი ცნობები არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ ხასიათისა, არამედ აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ორგანიზაციამ ინტერვენციის შემთხვევაში.

სასამართლო ახდენს სკორუტოს და რაბინოვიჩის პირისპირ შეხვედრას. სკორუტო მოუთხრობს სასამართლოს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მასთან შევიდა რაბინოვიჩი და უჩვენა პარიზიდან სოკოლოვისაგან მიღებული წერილი. წერილში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა საბჭოთა მეურნეობის განვითარების შეფერხება ყოველივე საშუალებებით. რაბინოვიჩი ამბობდა, რომ საჭიროა გაერთიანებისა და ცენტრში საქვანახშირო განსაკუთრებული ჯგუფის შექმნის ხაზით სვლა. რაბინოვიჩმა განაცხადა, რომ დონბასში ასეთი ჯგუფი უკვე არსებობს და რომ საჭიროა მასთან კავშირის გაბმა და ჯგუფის შექმნა სრულიად საკავშირო ქვანახშირის მრეწველობის მასშტაბით. სკორუტო პირველად არ დასთანხმდა რაბინოვიჩის წინადადებაზე, მაგრამ შემდეგ ფულმა დასძლია. ასე შეიქმნა მოსკოვის ცენტრი სკორუტო ამტკიცებს, რომ უცხოეთის (პოლონეთის და საფრანგეთის) დაწესებულებებთან ურთიერთობა სწარმოებდა რაბინოვიჩის საშუალებით.

ოდროვის დაკითხვა

მნიშვნელოვან ჩვენებებს იძლევა ბრალდებული ოდროვი, რომელიც მოუთხრობს სასამართლოს ერთი ცნობილი უცხოელის ჩამოსვლის შესახებ დონბასში. ეს უცხოელი დონბასში ჩამოვიდა 1926 წელს ინჟინერ ბაიარინოვის თანხლებით და ინახულა შჩერბინოვის მაღაროთა სამმართველოს მაღარო „ცენტრალნაია" კანტორა. ბაიარინოვმა ოდროვს გააცნო ამ უცხოელის ვინაობა და უთხრა, რომ „მას სჭირდება ცნობები". ამავე დროს მან მოიხსენია დვორჟანჩიკის გვარი, ოდროვის ჩვენებებს ადასტურებს მატოვი, რომელიც ამბობს, რომ ამ უცხოელს უნდა დაეთვალიერებინა მაღაროები და აინტერესებდა ცნობების მიღება.

28 ივნისს დონბასის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის საქმეზე დაიწყება მხარეების კამათი. კამათი გაიხსნება საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელთა გრინკოს, კრუმინის, შეინის და პროფესორ სახევის სიტყვებით. შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლები კრილენკო და როგინსკი. მათ სიტყვებს მოუნდება 28 ივნისის მთელი დღე და 29 ივნისის დღის ნაწილი. 29 ივნისს საღამოთი, შეიძლება, დაიწყოს დამცველების სიტყვები, რომელსაც მოუნდება ორი დღე. 2 ივლისს, შესაძლოა, ბრალდებულებმა წარმოსთქვან საბოლოო სიტყვები. სასამართლოს თათბირი ალბათ, გაგრძელდება სამშაბათს და ოთხშაბათს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ

(აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან)

ბათომი, 28 ივნისი. საქართველოს კომ. პარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება კონტრაბანდისთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სამაზრო კომიტეტმა და პროფკავშირთა ფრაქციებმა ქალაქსა და მაზრებში, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, პლენუმებზე და კონფერენციებზე უნდა ჩაატარონ ფართო კამპანია იმის ახსნა-განმარტებისათვის, თუ რამდენად საზიანოა პოლიტიკურ-ეკონომიურ თვალსაზრისით კონტრაბანდის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში. ამასთანავე კამპანიის დროს ფართო მასა უნდა გაეცნოს იმ ღონისძიებას, რომელიც შემუშავებულია კონტრაბანდასთან ბრძოლისათვის.

საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება ეძლევა შექმნას ბათომის საბაჟოში საოპერაციო უჯრედი და მისი მუშაობა დააყენოს სათანადო დონეზე.

საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ფრაქციას წინადადება ეძლევა სერიოზული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საბაჟოში პროფორგანოები შექმნას სავსებით საიმედო ამხანაგებისაგან და სასწრაფოთ იქნას წარმოებული პროფმუშაობა, ბათომის საბაჟოს ახალ მმართველს, სანაპირო რაზმთან ერთად, ეძლევა წინადადება შეამოწმოს საბაჟოს რაიონული დაწესებულება იმ მიზნით, რომ დათხოვნილი იქნან არასაიმედო ელემენტები და გაუმჯობესდეს მუშაობა. სანაპირო რაზმმა და საბაჟოს სამმართველომ უნდა გააძლიერონ კავშირი ერთმანეთთან, რათა უფრო უკეთესად იქნას გამოყენებული მასალები და უფრო წარმატებით იქნეს წარმოებული ბრძოლა კონტრაბანდისტებთან. პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს ეკრძალება საკუთარი და ოჯახის საჭიროებისათვის კონტრაბანდა საქონლის შეძენა, როგორც პირადათ, ისე რაიმე სხვა გზით. ეკრძალება პარტიის ყველა წევრს აღძრას შუამდგომლობა იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონტრაბანდისათვის არიან მიცემული პასუხისგებაში.

ქედის, ხულოს და ქობულეთის სამაზრო კომიტეტებს ევალება აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა კონტრაბანდასთან, ჩააბან ამ ბრძოლაში მუშათა და გლეხთა ფართო მასები, და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება საბაჟოს ორგანოებს და სანაპირო რაზმს.

პარტიის წევრები რომლებიც დაარღვევენ ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული და საბჭოთა სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს კონტრაბანდასთან ბრძოლის შესახებ, მკაცრ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული—თვით პარტიიდან გამორიცხვამდე. პროფორგანოებს ევალება აწარმოონ მუშაობა უპარტიო მუშებსა და მოსამსახურეთა შორის, რათა გაძლიერებულ იქნას პროფესიონალურ-საზოგადოებრივი ზედამხედველობა კონტრაბანდასთან ბრძოლისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა გატარებაზე.

საქმიანი პლენუმი

(ლეჩხუმის სამაზრკომი)

22-23 ივნისს დასრულდა თავისი მუშაობა ლეჩხუმის სამაზრკომის მორიგმა პლენუმმა.

პლენუმის დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო საქ. კ. პ. (ბ) ცკას ივნისის პლენუმის შედეგები. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. სამაიშვილი.

მომხსენებელმა გააშუქა ცკას პლენუმის მუშაობა და გზა და გზა შეეხო ჩვენი მაზრის ნაკლოვანებებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ სამაზრკომი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა მშენებლობის გეგმიანად წარმოებისათვის, ამ საქმეში მაინც გვაქვს დეფექტები. მაგალითად, ცაგერის საავადმყოფოს ხარჯთ-აღრიცხვა პირველად დამტკიცებული იყო 5.000 მ. რაოდენობით, როდესაც შენობა უკვე მოთავების სტადიაში იმყოფებოდა—უცბად გაჩნდა ერთგვარი დაბრკოლება. თურმე მშენებელ ტეხნიკოსს დავიწყებია, რომ ზამთრობით საავადმყოფოსათვის აუცილებელია ღუმელები. იძულებული შეიქნენ აშენებული კედლები ისევ დაენგრიათ და ხელახლად აეგოთ ღუმელების დამატებით. ამგვარად ტეხნიკოსის უყაირათობით საავადმყოფო 5.000 მან. ნაცვლად 17.000 მანეთზე მეტი დაგვიჯდა.

ცხადია, რომ თავადობა და ყველა ჯურის ანტი-საბჭოთა ელემენტები ათასნაირი ხრიკებით ცდილობენ ჩვენთვის ხელის შეშლას სოფლად მუშაობაში. ამ მიზნით ისინი უახლოვდებიან ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებსაც. ასეთი დაახლოების შედეგი უნდა იყოს ის, რომ ორბელის თემში ერთ ყოფილ გენერალს, კონ. გელოვანს დაავალეს ხელმძღვანელობა გაეწია გლეხების კოოპერაციაში დარაზმვის საქმისათვის. ცხადია ასე „სწორი კლასიური" ხაზის გატარება, ბევრს ვერაფერს მოგვცემდა, რომ დროზე არ მიგველო შესაფერი ზომები.

პროფკავშირების მუშაობა საერთოდ მოისუსტებს. „მიწა-ტყის" კავშირის აღრიცხვაზედაც არა ჰყავს აყვანილი ყველა მოჯამაგირეები, რაც უეჭველად უნდა გამოსწორდეს.

პლენუმმა მოიწონა ცკას პლენუმის ყველა დადგენილებები და დაავალა სამაზრკომის პრეზიდიუმს შემდეგ მუშაობაში მთავარი ყურადღება მიაქციოს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვის მტკიცედ დაცვას, საბჭოთა აპარატის გაწმენდას უცხო ელემენტებისაგან, ხელმძღვანელობის გაღრმავებას ღარიბთა ჯგუფებზე და ბრძოლას კულაკების წინააღმდეგ.

პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ნაკლოვანებებს ხე-ტყისა და ბარიტის წარმოებაში. ხე-ტყის წარმოებაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად პლენუმმა საჭიროდ ჩასთვალა გადამჭრელი ზომების მიღება წარმოებიდან განდევნის გზით. პლენუმმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გასულ წელს ჩატარებული წმენდის დროს დათხოვნილ უცხო ელემენტები კვლავ შეძვრენ წარმოებაში, რაც სცემს პარტიის ავტორიტეტს.

მეორე საკითხად დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, ჩვენს მაზრაში ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა მოიკოჭლებს. ღარიბთა ჯგუფები ვერ მუშაობენ ისე, როგორც ეს საჭიროა.

საადგილ-მამულო განყოფილებას არაფერი გაუკეთებია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მიმართულებით და სხვ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები.

ვ. ფრუიძე.

წყალდიდობასთან მებრძოლ საგანგებო კომისიის მუშაობა

წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისია შეიქმნა 1928 წ. საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით. ადგილებზე შესაფერ მუშაობის ჩასატარებლად მაზრებში და თემებში მოეწყო საგანგებო სამეულები.

როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად გამოყენებული იყო საქართველოს წყალთა მეურნეობისა და ადგილობრივ ტრანსპორტის განყოფილების აპარატი.

ადგილებმა წყალდიდობის წინააღმდეგ მუშაობის საწარმოებლად მოითხოვეს 400.000 მანეთი.

საქართველოს წყალთა მეურნეობის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, დროებითი ნაგებობებისათვის შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით საჭირო იყო 296.000 მან.

საგანგებო კომისიამ მიიღო სულ 155.000 მან. აქედან 60.000 მან. საქართველოს წყალთა მეურნეობის გეგმიანი ასიგნობებიდან, 25.000 მ. ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობიდან და 70.000 მან.—საკავშირო სახკომსაბჭოს ასიგნობებიდან.

მიღებულ ასიგნობებიდან ადგილებს ფულად და მასალის სახით გადაეცა 105.980 მან. დარჩა 49.019 მან. 90 კ.

ყველა სამუშაოები ადგილებზე სწარმოებდა ტეხნიკური ძალებისა და კვალიფიციური მუშა ხელის დახმარებით. ადგილობრივ საგანგებო სამეულების მუშაობის შესამოწმებლად იგზავნებოდა სპეციალური კომისიები და ინჟენერები. ზოგიერთ რაიონში არ იყო საკმაო ტეხნიკური ძალა. განზრახული სამუშაოები შესრულებულია 80—85 პროც. შრომის საგზაო ბეგარის წესით გლეხებმა შეასრულეს 258.000 მან. სამუშაო.

სულ აგებულია 10.086,27 კ. საჟ. ქვისა და წნელის ჯებირი. წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალი დაახლოებით 1.228.294 მანეთს უდრის.

წყალდიდობის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღება არაა მიზანშეწონილი. საჭიროა გეგმიანი მუშაობა და აუცილებელი სამუშაოების თავის დროზე შესრულება.

მდინარეების რეჟიმის მოწესრიგება უნდა დავიწყოთ სათავეებიდან. მომავალში მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთი მუდმივი ტიპის ნაგებობის აშენება, როგორიცაა ბალვერხის გაბიონები. დროებითი ჯებირების (ქვისა და წნელის) აგება არაა რაციონალური.

ლ. ბერია.

სას-სამ. გადასახადი [illegible] პარტუჯრედებისათვის

პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლად წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის საქმეს.

წარსულ წელს გადასახადების გაწერაში ბევრ შეცდომას ჰქონდა ადგილი. შეძლებულ გლეხების მიერ გადამალული ობიექტების ტვირთი აწვებოდა ღარიბ გლეხობას, რის გამოც უთანასწოროდ გაწერილი გადასახადი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა გლეხთა ზოგიერთ ჯგუფებში.

პარტუჯრედების მთავარ ამოცანას აღარ დაუშვან წარსული მუშაობის დეფექტების განმეორება და ყოველმხრივ გააუმჯობესონ დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის საქმე.

როგორც ვიცით შეძლებულ გლეხობას, გარდა სასოფლო მეურნეობისა, აქვს კიდევ შემოსავალის სხვა წყაროებიც. საჭიროა სწორედ ამ სხვა შემოსავლის აღმოჩენა, რომ კულაკი დაიბეგროს მისი შემოსავლიანობის მიხედვით.

სოფლის პარტუჯრედებმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩაატარონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხების ყოველმხრივ გასაშუქებლად. საჭიროა გლეხობას განმარტება მიეცეს ამ გადასახადების დანიშნულების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო სისტემაში მომხდარ ცვლილებებს.

რაში გამოიხატება წელს ეს ცვლილებები? ერთის მხრივ დიდდება გადასახადის საერთო ჯამი 20—25 პროცენტით, გადიდების სიმძიმე მთლიანად უნდა დააწვეს სოფლის შეძლებულ ნაწილს. მეორე მხრივ სავსებით უნდა განთავისუფლდეს ღარიბი და მცირე შეძლების გლეხთა რაც შეიძლება მეტი ნაწილი.

როდესაც უკვე შეივსება ობიექტების აღრიცხვის სიები, სოფლის საერთო კრებებზე წაკითხვამდე, საჭიროა ეს სიები განიხილოს ღარიბთა ჯგუფების თათბირმა.

ასეთი ზომებით სოფლის პარტუჯრედები უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორ გატარებას 1928—29 სამ. წელში.

ნ. ფ—ძე.

საქ. კომკავშირის ცეკას პლენუმი

მეხუთე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აჭარისტანის და სიღნაღის ორგანიზაციების გამომკვლევ კომისიების თანამოხსენებები, რის შემდეგაც სწარმოებდა კამათი.

სხდომამ დაამტკიცა რეზოლიუციები აქტივის აღზრდა-დაწინაურების და ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხებზე.

აგრეთვე მიღებული იქნა რეზოლიუცია ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

დასასრულ პლენუმმა ცეკას შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. ახუნდ-ზადე და ხომასურიძე. ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობაში, ამხ. სილაძის, პერვუშინისა და ჩაკვეტაძის საკავშირო მუშაობიდან განთავისუფლების გამო, შეყვანილ იქნენ ამხ. კახიანი, დოლობერიძე და ახუნდ-ზადე.

ცეკას საგიტ. საპროპ. გან-ბის გამგეთ გამოყოფილ იქნა ამხ. ბუჯიაშვილი. პიონერთა ც. ბიუროს თავმჯდომარეთ—ამხ. მახათაძე, საორგ. განყ. გამგის მოადგილეთ—ამხ. ზვიადაძე. პლენუმმა საჭიროდ აღიარა სასკოლო განყ. რეორგანიზაცია და შეუერთა ის ეკონომ განყოფილებას.

მეექვსე სხდომა

პლენუმის უკანასკნელი სხდომა შესდგა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის თანდასწრებით. სხდომამ მოისმინა ამხ. ლ. დოლობერიძის ვრცელი მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ. (ამხ. დოლობერიძის მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში).

დასასრულ ამხ. ჯავახიძემ გააცნო სხდომას ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება კომკავშირის ყოველდღიური გაზეთის გამოცემის შესახებ, რასაც პლენუმი კმაყოფილებით შეხვდა.

გუშინ საღამოს სხდომით ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი დასრულდა.

კულაკი თუ კოლექტიური მეურნეობა*)

(ამხ. ი. იაკოვლევის მოხსენება კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობაზე)

V. ორგანიზაციული საკითხები

დამთავრებულ რესპუბლიკანურ ყრილობებზე ყველაზე მეტი მსჯელობა საორგანიზაციო საკითხების გარშემო გაიმართა. ამიტომ ამ საკითხებზე უფრო მოკლედ შევჩერდები—მე მხოლოდ ჩამოვთვლი მათ და ხაზს გაუსვამ არსებითი მნიშვნელობის საკითხებს.

კოლმეურნეობათა კავშირის შესახებ

პირველ საკითხს წარმოადგენს საორგანიზაციო საკითხი—კავშირების, დაბალი საფეხურის გაერთიანებათა და სხ. შესახებ.

არ ვიცი, დამეთანხმებით თქვენ თუ არა, მაგრამ მე კი მგონია, რომ **საკითხის არსებითი მხარე მდგომარეობს არა იმდენად კავშირების მოწყობაში, რამდენადაც ჯგუფურ გაერთიანებათა მოწყობაში.**

ჩვენში ჯგუფური გაერთიანებების საქმე ჯერ ჯერობით საკმაოდ მოიკოჭლებს.

1926—27 წ. კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობების მიხედვით 74 ჯგუფური გაერთიანება არსებობდა. ამ ჯგუფურ გაერთიანებებიდან 59 გაერთიანება არსებობს იმისათვის, რომ აგრო-ტეხნიკური დახმარება გაუწიონ ერთმანეთს, 9 საწარმოთა კოლექტიური ექსპლოატაციისათვის და 6—სხვა მიზნებისათვის.

1927—28 წელში, იმავე ცნობების თანახმად, განზრახული იყო 275 ჯგუფური გაერთიანების მოწყობა.

მე მგონია, რომ საორგანიზაციო საკითხში ჩვენ მტკიცედ უნდა დავადგეთ შემდეგ გზას. ვინაიდან კოლმეურნეობათა მშენებლობის დასაყრდენ საფუძველს წარმოადგენს ისეთი კოლმეურნეობანი, რომელთაც ძალიან ცოტა აქვთ მსხვილი მანქანები, ან და მთელ რიგ შემთხვევებში მსხვილ სამანქანო ამხანაგობების ნაცვლად წვრილ მეურნეობათა გაერთიანება; ამიტომ საორგანიზაციო საკითხის მთავარი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობათა თვითეული ჯგუფისათვის, სადაც ეს მოსახერხებელი იქნება, **ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ჯგუფური გაერთიანებანი, რომელნიც ამა თუ იმ სახით შესაძლებლობას მისცემენ კოლექტიურ მეურნეობას გამოიყენონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობა.**

ჩვენ ეხლა გვიწოდებენ კავშირს, მაგრამ, თუ ჩვენ სად საფუძველზე არ მოვაწყობთ ნამდვილ ჯგუფურ გაერთიანებას ტრაქტორებით, გადამამუშავებელ წარმოებებით, ტეხნიკური სახელოსნოებით, შესაფერ მისაბმელ იარაღებით და სხ.,—ისე ჩვენ ვერავითარი კავშირი ვერ გვიშველის.

რით განსხვავდება კავშირი სექციისაგან? (ხმა: სახელის გამოცვლით). არა, არა სახელის გამოცვლით. სახელის გამოცვლა ადვილია მაგრამ საჭიროა, რომ სახელის გამოცვლიდან გამომდინარეობდეს ყველაზე მთავარი ორგანიზაციული საქმე—ნამდვილ ჯგუფური გაერთიანების შექმნა.

კავშირებად ჩვენ მექანიკურად გარდავქმენით, მაგრამ ეს კავშირები რომ ნამდვილ კავშირებად იქცეს, საჭიროა, რომ მათ საფუძვლად ჯგუფური გაერთიანებანი შეადგენდნენ.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ: **საქმე იმაში კი არაა, რომ ყველა [illegible]სების მიხედვით კოლმეურნეობის [illegible]ბის ზედა სართულები ააგო, [illegible]დ იმაში, რომ მას საფუძვლად [illegible]ეურნეობათა გაერთიანება და-** [illegible] ჩვე[illegible]ყვარს, რომ ჩვენი საორგანიზაციო შენობა ყველგან ბოლომდე იქნეს მიყვანილი.

რას ნიშნავს ეს?

მაგალითად, როცა სახკომსაბჭოში ირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის გეგმა, გამოირკვა, რომ მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება იმდენი სართული შენობა, რამდენიც ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს აქვს. ჩვენში არსებობს საკავშირო ბანკი, რესპუბლიკანური ბანკები, საგუბერნიო და სარაიონო განყოფილებები და სხვ., 5 სართული, ხოლო ოლქებში 6 სართულიც.

ამავე დროს ყოველ სართულს ჭამა უნდა, ყოველ სართულს სარგებლის მცირე ნაწილი მაინც სჭირდება. ამის შედეგი არის ის, რომ იმას, ვისთვისაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ეს შენობა არსებობს, კრედიტი უჯდება ძვირად.

როცა ჩვენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ შენობას უდგებით, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენთვის იმდენად ის კი არაა საჭირო. რომ ჩვენს შენობას ექნეს ყველა კანონიერი 6 სართული სარდაფიდან სახურავამდე, რამდენადაც ის, რომ კავშირმა შექმნას საწარმოო დახმარების ჯანსაღი ცენტრი რაიონში.

თუ უახლოეს ორი წლის განმავლობაში ჩვენ გადავსჭრით ამ ორგანიზაციულ ამოცანას და თუ კოლმეურნეობათა ნაკლოვანებებს მოვსპობთ ისეთი რაიონულ ცენტრის სწორი ორგანიზაციით, რომელსაც ექნება სატრაქტორო სახელოსნო, ტრაქტორები, აუცილებელი მისაბმელი იარაღების მარაგი და გადამამუშავებელი წარმოებები,—მაშინ ჩვენ განვახორციელებთ კოლმეურნეობათა მშენებლობის უდიდეს ამოცანას. აი, ამხანაგებო, პირველი საკითხი

გასაღების ორგანიზაცია

მეორე, საორგანიზაციო საკითხს წარმოადგენს გასაღების საკითხი. მე მგონია, რომ აქ ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ადმინისტრატიულ განკარგულების მოყვარულნი.

ჩვენში მოიძებნება ისეთი ხალხი, რომელიც ასე მსჯელობს: მოდი უბრძანოთ კოლმეურნეობებს, რომ მათ ყველაფერი ჩააბარონ სახელმწიფოს, მორჩა და გათავდა.

ბრძანების მიცემა ამ დარგში ძალიან ადვილია, შესრულება კი ძნელი, ხოლო კიდევ უფრო ძნელია ისე შესრულება, რომ ეს სასარგებლო იქნეს სახელმწიფოსათვისაც და კოლმეურნეობისათვისაც. ეს სრულიად უდავოა.

სრულიად არანორმალურია ისეთი მდგომარეობა, როცა კოლექტიური მეურნეობა კერძო ვაჭარს მეტს მიჰყიდის, ვიდრე სახელმწიფოსა და კოოპერაციას. ეს მდგომარეობა უნდა მოვსპოთ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს გამსაღებელ კოოპერაციის მუშაობის მეთოდებს. **აქ საქმე ის კი არაა, რომ კოლმეურნეობებს უბრძანო—საქონელი მთელი 100 პროც. კოოპერაციას ჩააბარო, არამედ ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თავის დროზე დაიბეგოს კოლმეურნეობის პროდუქციის ყველა 100 პროც. თუ თავის დროზე არაა დაბეგვებული, იმ შემთხვევაში კოოპერაციამ მოსავლის აკრეფისთანავე უნდა შეისყიდოს კოლმეურნეობის პროდუქცია.**

ეს უფრო ძნელია, ვიდრე ბრძანების გაცემა. მე ვფიქრობ, რომ ეს გზა სავსებით შეეფერება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც პარტიის მე-15 ყრილობამ მიიღო.

ჩვენ მტკიცედ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა მოეწყოს გასაღების საქმე, როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეკონომიური ზეგავლენის სწორი მეთოდებით და არა ადმინისტრატიული ბრძანების გაცემით ვაიძულოთ კოლმეურნეობა, რომ მან თავისი პროდუქცია მხოლოდ სახელმწიფოსა და კოოპერაციის დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბაროს, ხოლო **სამაგიეროდ კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელი საწარმოო იარაღებით და ფართო მოხმარების საქონლით.** ჩვენ ეს საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ანგარიში გაუწიოთ კოლმეურნეობის მდგომარეობასაც და თვითეულმა დამამზადებელმაც იცოდეს, რომ კოლმეურნეობის სახით მას ყავს მსხვილი გამყიდველი, რომელიც სათანადო პატივისცემის ღირსია.

რ. ს. ფ. ს. რ. კოლმეურნეობათა ყრილობაზე გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ რამდენადმე ადგილი აქვს ჩინოვნიკური განკარგულების ტენდენციას; კონკრეტიულად ასე ფიქრობენ—საკმარისია დეკრეტის გამოცემა და ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც საჭიროა, მე მგონია, რომ აქ აუცილებელია სწორი ეკონომიური და არა ბიუროკრატიული მუშაობა (ტაში).

თუ მიწოდებისა და გასაღების დარგში ბიუროკრატიზმს ნაწილობრივ მაინც ამოვფხვრით, თუ ჩვენი დამამზადებლები გულზე ხელებს არ დაიკრეფენ, თუ ისინი თავის დროზე დასდებენ ხელშეკრულებას, თუ კოლექტიურ მეურნეობის პურის სამაგიეროდ თავის დროზე გავიღებთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ფართო მოხმარების საქონელს. მაშინ ჩვენ მოკლე ხანში მივაღწევთ იმას, რომ კოლმეურნეობის პროდუქციის ყველა 100 პროც. სახელმწიფოს ან კოოპერაციის დამამზადებლებს ჩაბარდება.

აგროდახმარება

შემდეგი ორგანიზაციული საკითხი აგროდახმარების საკითხი.

მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ნათელია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ყავს თავისი აგრონომები, საბჭოთა მეურნეობებსაც თავისი აგრონომები ყავთ. კოლმეურნეობებსაც და საერთოდ კოლექტიურ ორგანიზაციებსაც აქვთ უფლება იყოლიონ თავისი აგრონომები (მქუხარე ტაში).

ეს საკითხი საკამათო არაა. ეს საკითხი აბსოლიუტურად ნათელია, ვინაიდან **შეუძლებელია ნამდვილი მსხვილი მანქანური მეურნეობის მოწყობა უაგრონომოდ.** მსხვილი კოლექტივი უაგრონომოდ არაფრად არ ღირს.

აგრონომი ერთ-ერთ წინასწარ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ კოლექტივი მოწინავე მეურნეობა იქნეს. ჯერ კიდევ ძველ დროს, რევოლიუციამდე, როცა ჩვენ მსხვილი მეურნეობის უპირატესობას ვარკვევდით, მარქსისტები მაშინაც აღნიშნავდნენ, როგორც უპირატესობას, იმას, რომ მსხვილ მეურნეობას აგრონომები და ორგანიზატორები ყავსო. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს სისტემა ყველა კოლმეურნეობებში.

საქმის მეორე მხარეს შეადგენს ის, რომ კოლმეურნეობანი უნდა მუშაობდნენ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საერთო გეგმის ფარგლებში (ხმები: რატომ?) აქ გვეკითხებიან „რატომო" (სიცილი), მე შემიძლია განვმარტო. წარმოვიდგინოთ, რომ ამა თუ იმ რაიონში, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს მიღებული აქვს მეურნეობის განვითარების რომელიმე განსაზღვრული ტიპი. ავიღოთ მაგალითისათვის პსკოვის გუბერნია. იქ მეურნეობა ისე უნდა განვითარდეს, რომ სელის თესვას; მეცხვარეობისა და იონჯის თესვის გვერდით. განსაზღვრული არე ექნეს დათმობილი. მაგრამ, როგორც თქვენ ამბობთ, თუ აგრონომი არ იხელმძღვანელებს მიწათმოქმედების ორგანოების გეგმებით და განსაკუთრებული ტიპის მეურნეობის განვითარებას მიჰყოფს ხელს, მაშინ კოლმეურნეობა მოსწყდება გლეხური მეურნეობის მიმართულებას ამ რაიონში, ის ვერავითარ მაგალითს ვერ მისცემს გლეხებს და საბოლოო ანგარიშით ამას მეტად სამწუხარო შედეგები მოყვება თვით კოლექტიური მეურნეობისათვისაც.

კოლმეურნეობის აგრონომის დაქვემდებარების წესს კოლმეურნეობათა ყრილობები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. თითქმის არც ერთ საკითხს არ მიქცევია იმდენი ყურადღება, რამდენიც ამ საკითხს და ამის გამო რ. ს. ფ. ს. რ. კოლმეურნეობათა ყრილობამ მეტად სუსტად განიხილა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ჩემი აზრით, აგრონომების საკითხი მეტად მარტივია. ვინც იმას ამტკიცებს, რომ კოლმეურნეობას არა აქვს უფლება და მას არ ევალება მოიწვიოს აგრონომები ყველა დარგში, მას არ ესმის, რომ კოლმეურნეობა უნდა გახდეს მსხვილი სამანქანო მეურნეობა და რომ მისი მოწყობა, თუ არ აგრონომიის საფუძველზე, ისე შეუძლებელია. და თუ ჩვენ მეორე უკიდურესობაში გადავვარდებით, ე. ი. არ ვსცნობთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობას, მაშინ ჩვენ პრაქტიკულ შეცდომას დავუშვებთ.

მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს საერთო ხელმძღვანელობიდან კოლმეურნეობათა აგრონომიის მოწყვეტის საფრთხე. კოლმეურნეობებმა თავისი მუშაობა უნდა შეუფარდონ იმ საერთო მიმართულებას, რომელსაც მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი და საერთოდ სახელმწიფო იძლევა. უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს გადაუდებელ პრაქტიკულ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს არა აგრონომების ურთიერთ დამოკიდებულებაზე მსჯელობა, არამედ ის, რომ **უახლოეს დროში მრავალი ათასი აგრონომი ჩავაბათ კოლმეურნეობებში** და კოლმეურნეობათა კავშირებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით მსხვილ სამანქანო მეურნეობას.

შრომის ანაზღაურების ფორმები

შემდეგი ორგანიზაციული საკითხი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია: ესაა შრომის ანაზღაურების საკითხი.

შრომის ანაზღაურების საკითხში ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ანაზღაურებისა და შრომის ნაყოფიერების ურთიერთი კავშირის გამორკვევას.

უკრაინის ცნობების მიხედვით, ავიღოთ კოლმეურნეობათა ორი ჯგუფი: პირველი სადაც შრომის ანაზღაურება ხდება ნაშრომ დღეების მიხედვით, და მეორე, სადაც ანაზღაურება ხდება შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით.

და რას ვხედავთ?

პირველ ჯგუფში აღებულია უფრო წვრილი კოლმეურნეობანი, რომელთა საწარმოო სახსარი საშუალოდ 24.000 მან. უდრის, ხოლო მეორე ჯგუფში აღებულია უფრო მსხვილი კოლმეურნეობანი, რომელთაგან თვითეულის საწარმოო საშუალება 59.000 მან. უდრის.

ამ რიგად, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მეორე ჯგუფში, სადაც ანაზღაურება შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით ხდება, საერთო პროდუქცია სულზე მეტი მოდიოდეს, ვიდრე პირველ ჯგუფში.

მართლაც, გამთანგარიშება გვიჩვენებს რომ პირველ შემთხვევაში, როცა ანაზღაურება ნაშრომ დღეების მიხედვით ხდება, საერთო პროდუქცია ერთ სამუშაო დღეზე და ერთ სულზე მეტი მოდის, ვიდრე მეორე შემთხვევაში, როცა შრომის ანაზღაურება სწარმოებს შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით.

პირველ შემთხვევაში საერთო პროდუქცია ერთ სამუშაო დღეზე 1 მან. 82 კაპ. მეტი მოდის, ვიდრე მეორე შემთხვევაში. საერთო პროდუქცია ერთ სულზე მეორე შემთხვევაში, პირველთან შედარებით, 134.6 მან. ნაკლებია.

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ შემთხვევაში პროდუქციის რაოდენობა ერთ სულზე და ერთ სამუშაო დღეზე მეტი მოდის, ვიდრე მეორე შემთხვევაში. აი ძირითადი ფაქტი.

ზოგჯერ ამბობენ, რომ შრომის დაბალ ნაყოფიერებას შრომის შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით ანაზღაურების დროს ისეთი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როგორიც იმ გარემოებას, რომ ამ სახით შრომის ანაზღაურების ყველა ნაკლოვანებები იფარება იმით, რომ ეს სახე შრომის ანაზღაურების ჭეშმარიტ სოციალისტურ სახეს წარმოადგენსო. მართალია როცა ჩვენ სავსებით დავამყარებთ კომუნისტურ საზოგადოებას არა მარტო ერთი კომუნის ან არტელის ფარგლებში, არამედ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში მაინც და, იმედი გვაქვს, სამჯერ უფრო დიდ ტერიტორიაზეც, ვიდრე საბჭოთა კავშირია, მაშინ ჩვენ თვითეული მშრომელის მიმართ განვახორციელებთ მოთხოვნილების მიხედვით ანაზღაურების პრინციპს. სოციალისტური საზოგადოების პირველ სტადიაში ჩვენ ავანაზღაურებთ შესაძლებლობისა და მოთხოვნილების მიხედვით, ხოლო შემდგომ სტადიებში, როცა ჩვენი შესაძლებლობა გაუსწრებს მოთხოვნილებას, ჩვენ თვითეულს დავაკმაყოფილებთ მისი მოთხოვნილების მიხედვით.

ეს მოხდება კულტურის იმ საფეხურზე, როცა ადამიანისათვის შრომა იძულება კი არ იქნება, არამედ მოთხოვნილება და შერჩევა.

მაგრამ ირკვევა, რომ პატარა საზოგადოებრივ უჯრედის ფარგლებში, კულტურის იმ საფეხურზე, რომელზედაც ჩვენ ვართ, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის მიხედვით შრომის ანაზღაურების პრინციპის გამოყენება გაცილებით უფრო დაბალ შრომის ნაყოფიერებას იძლევა, ვიდრე რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურება.

რაკი ეს ასეა, ამიტომ მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის მიხედვით შრომის ანაზღაურების პრინციპის უადგილოდ გამოყენება ეწინააღმდეგება სოციალისტურ ინტერესებს, ვინაიდან სოციალისტური ინტერესები მოითხოვს, რომ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში და კომუნებში გაიზარდოს და გაუსწროს კულაკის შრომის ნაყოფიერებას, რომ ეს შრომის ნაყოფიერება გვაძლევდეს ნამდვილ მაგალითს იმისას, რის მიცემაც შეუძლია მსხვილ სამანქანო მეურნეობას.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცალკე კომუნებში, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები და ნამდვილად შეგნებული კომუნარებია, არ შეიძლებოდეს მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის მიხედვით შრომის ანაზღაურების პრინციპის წარმატებით გამოყენება ამჟამად. ასეთი შემთხვევები ცოტა არაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს პრინციპი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყველასათვის წესად და მაგალითად გახდეს. თუ ანაზღაურების ამ სახეს ყველა ან მეტწილ კოლმეურნეობებისათვის წესად შემოვიღებთ, მაშინ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობის საქმე დაიღუპება.

ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ კოლმეურნეობებში, როგორც წესი, შემოღებულ იქნეს შრომის ანაზღაურება ნაშრომი დღეების მიხედვით, ამასთანავე აუცილებელია შრომის უნარმოკლებულთა უზრუნველყოფა. აქ შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდები და ვარიაციები, მაგრამ მთავარი, რაც სრული სიცხადით უნდა იქნეს გარკვეული, ეს ისაა, რომ ჩვენ მაინცდამაინც არ უნდა გამოვეკიდოთ შრომის ანაზღაურების სოციალისტურ სახეებს. არამედ უნდა **შევეცადოთ შრომის ანაზღაურების ისეთი სახის გატარებას, რომელიც დააჩქარებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.**

საორგანიზაციო და საწარმოო გეგმების შესახებ

თუმცა შეიძლება საჭირო არ იყოს დაგიმტკიცოთ თქვენ—კოლმეურნეობათა მშენებლობის საუკეთესო წარმომადგენლებს, მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის აუცილებლობა და ყოველ კოლმეურნეობისათვის საორგანიზაციო საწარმოო გეგმის საჭიროება, მაგრამ ზოგიერთი ფაქტები მაიძულებენ შევჩერდე საკმაოდ დაწვრილებით ამ ელემენტარულ და უდაო საკითხზე.

რ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ 1927 წ. დამლევს და 1928 წ. დასაწყისში ჩატარებულ გამოკვლევის ცნობების მიხედვით, **კოლმეურნეობათა 98 პროც. არ ჰქონდა საორგანიზაციო გეგმა. საწარმოო გეგმა კი მხოლოდ 11,2 პროცენტი აღმოჩნდა.**

კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობების თანახმად, 401 კოლმეურნეობიდან საორგანიზაციო გეგმა აქვს 72 კოლმეურნეობას (17,9 პროც.), საწარმოო გეგმა—51 (12,6 პროც.).

43 კოლმეურნეობიდან, რომელთა ბიუჯეტიც შესწავლილია უკრაინაში, მხოლოდ 10 მეურნეობა მუშაობდა გეგმის მიხედვით. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ გამოკვლეულ იქნა შედარებით საუკეთესო კოლმეურნეობანი.

ერთი სიტყვით, გამოკვლეულ კოლმეურნეობათა აბსოლიუტურ უმრავლესობას არ გააჩნია ის პირობები, რომლებიც აუცილებელია ნამდვილი მსხვილი მეურნეობის არსებობისათვის გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ სანამ გეგმის მიხედვით კოლმეურნეობები გამონაკლისის სახით მუშაობენ, მანამ გეგმა, როგორც წესი, არ არსებობს.

თუ როგორი უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეგმას კოლმეურნეობის საქმისათვის, ამას მოწმობს უკრაინის კოლმეურნეობათა გამოკვლევიდან მიღებული ფაქტები.

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ მეურნეობანი ერთნაირი განსაზოგადოებული კაპიტალით. ერთ ჯგუფში გავაერთიანეთ მეურნეობანი, რომლებშიაც არ ტარდება გეგმა, მეორეში—მეურნეობანი, რომლებშიაც ტარდება გეგმა.

კოლმეურნეობებში, სადაც გეგმა არ ტარდება, მოგება გამსაზოგადოებულ კაპიტალის 100 მანეთზე—29 მან. უდრის, ხოლო იქ, სადაც გეგმა ტარდება—46 მან.

საერთო პროდუქცია ერთ სამუშაო დღეზე პირველ შემთხვევაში მოდის—3 მან. 59 კაპ., მეორე შემთხვევაში—4 მან. 25 კ.

ეს აშკარა განსხვავება მეურნეობის შედეგებში მიღებულია საწარმოო საშუალებებით თანაბრად უზრუნველყოფის პირობებში.

მაგრამ, უგეგმობის გამო, პირველი ჯგუფის კოლმეურნეობათა საწარმოო საშუალებანი უფრო ცუდათაა მოწყობილი, ვიდრე მეორე ჯგუფის კოლმეურნეობებში.

ასეთია უკრაინის კოლმეურნეობათა საბიუჯეტო გამოკვლევის სრულიად ობიექტიური ცნობები.

ეს ცნობები მოწმობს იმას, რომ ასეთ მდგომარეობაში. როცა კოლმეურნეობათა მხოლოდ 10 პროც. აქვს გეგმა, მანქანების არსებობის პირობებშიაც კი, ჩვენ ვერ შევძლებთ ნამდვილ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობას შექმნას.

აქედან დასკვნა: **ერთი, ან სულ დიდი ორი წლის განმავლობაში, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყველა კოლმეურნეობებმა—უკლებლივ უნდა შემოიღონ და გაატარონ საორგანიზაციო და საწარმოო გეგმები.**

საჭიროა აგრონომების გადამზადება

მე ერთხელ კიდევ უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება ჟურნალ „კოლექტივისტ"-ზე, რომელიც თვითეულმა თქვენგანმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს, ვინაიდან ამ ჟურნალში ბევრი რამ საყურადღებო იბეჭდება. ერთი ასეთი საყურადღებო წერილი დაიბეჭდა 1927 წ. დამლევს.

ერთ ამხანაგს ბერდიჩევის ოლქში დაუთვალიერებია არტელი „ივანოკოვეც"-ი და აგვიწერს ამ არტელის მდგომარეობას.

— „ამ არტელის დათვალიერების დროს,—სწერს ის,—მე გამაოცა იმ გარემოებამ, რომ თესვბრუნვა და სხვადასხვა დარგების წარმოება ეწინააღმდეგებოდა აგრონომის მიერ შედგენილ ორგანიზაციულ გეგმას, რომელიც არტელის საქმეში ინახებოდა".

გეგმა, მაშასადამე, არტელის საქმეში ინახება, ე. ი. არქივში, ხოლო ცხოვრება კი სხვა გზით მიდის. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ცუდია ცხოვრებისათვის, მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ ეს ცუდია მხოლოდ აგრონომის მიერ შედგენილ გეგმისათვის. მართლაც გამოირკვა, რომ არტელი თავის მეურნეობას უძღვებოდა გეგმის მიხედვით, მაგრამ ეს გეგმა შეიმუშავა არტელის საბჭომ, ის დაამტკიცა არტელის საერთო კრებამ და მეურნეობა წარმოებდა ამ გეგმის მიხედვით და არა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც აგრონომმა შეადგინა.

კოლმეურნეობის მუშაკთა მიერ შედგენილი გეგმა დაწერილი იყო ქაღალდის ნაგლეჯებზე, რომლებიც საკმაოდ გაცვეთილი იყო და მოწმობდა იმას, რომ გეგმა მრავალჯერ გადაუთვალიერებიათ მუშაობის დროს; აგრონომის მიერ შედგენილ გეგმას ჰქონდა საპარადო სახე, ის დაწერილი იყო კარგ ქაღალდზე და სუფთად ინახებოდა, სჩანდა, რომ მას არავინ შეხებია. არტელის წევრებმა ამ გეგმას [illegible]როდ **საპარადო** გეგმა უწოდეს.

წერილის ავტორის შეკითხვაზე—რატომ არ მუშაობენ ისინი აგრონომის გეგმის მიხედვით, მათ უპასუხეს, რომ ის ერთობ მეცნიერულია. მასში ბევრი გაუგებარი სიტყვებია და ძნელია გარკვევა, მით უფრო, რომ იქ ძალიან ბევრი სხვადასხვა ცხრილია, ხოლო ის გეგმა, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობის წევრები მუშაობდნენ, თუმცა ქაღალდის ნაგლეჯებზე იყო დაწერილი, მაგრამ კარგი გეგმა აღმოჩნდა.

აი, აქ უკვე მე უახლოვდები საკითხის მეორე მხარეს. თუ კოლმეურნეობებს დღემდე ვერ მოეპოვებათ გეგმა, ეს არაფრად ვარგა, ასეთი გეგმების შედგენა მომავალში აუცილებელია. ესაა საკითხის პირველი მხარე. მაგრამ **ჩვენ ყოველნაირი გეგმა როდი გვჭირდება.** გეგმა, ჯერ—ერთი, უნდა შედგეს საკმაოდ მარტივად; მეორე, ის უნდა შეეფერებოდეს მეურნეობას, მის კულტურას, სამეურნეო მუშაკების კულტურულ დონეს და კოლმეურნეობათა ტეხნიკურ შესაძლებლობას. შეიძლება კარგი გეგმები შევადგინოთ, მაგრამ თუ ამ გეგმებში კოლმეურნეობის მუშაკები ვერ გაერკვევიან, ასეთი გეგმები არაფრად ვარგა. ისინი მხოლოდ გზაკვალს აუბნევენ მათ და საქმეს კი არაფერს შემატებენ. ამიტომ ჩვენი ყრილობის სახელით კიდევ ერთხელ მივმართოთ ჩვენს აგრონომებს აუცილებლად ისწავლონ და ხელახლა [illegible]იმზადონ ამ დარგში.

ჩვენი ერთ-ერთი დიდი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად აგრონომს ხელახლა სჭირდება მომზადება. რევოლიუციამდე ჩვენში იყვნენ მემამულეთა აგრონომები (მართალია, იყვნენ ერობის აგრონომებიც, მაგრამ ისინი კულაკს ემსახურებოდნენ), ეხლა ჩვენ შევქმენით აგრონომი, რომელსაც შეუძლია სამსახური გაუწიოს საშუალო გლეხს, მაგრამ ისეთი აგრონომის შექმნა, რომელიც მსხვილ [illegible]ექტიურ გლეხურ მეურნეობას გაუწევს სამსახურს, ასეთი აგრონომის შექმნა ეხლა უნდა ვისწავლოთ.

საჭიროა უფრო გადაჭრით მოვთხოვოთ ჩვენი სკოლების, განსაკუთრებით უმაღლეს [illegible]ავლებლების გარდაქმნა, რათა ამ სასწავლებლებმა სოფელს მისცენ ისეთი აგრონომები, რომლებსაც ის მოითხოვს ამჟამად. ისეთები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ არა მარტო წვრილ, საშუალო გლეხის მეურნეობას, არამედ იმ მსხვილ, გლეხურ სამანქანო მეურნეობასაც, რომელსაც კოლმეურნეობა წარმოშობს. მაგრამ თუ აგრონომები ხელახლა არ მოემზადებიან და კოლმეურნეობის მოთხოვნილებას მოისურვებენ ისეთი ქაღალდით დაკმაყოფილებას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ხოლო კოლმეურნეობა ამ ქაღალდს არქივში შეინახავს და თვითონ კი შინაურული გეგმით დაიწყებს მუშაობას,—ეს არაფრად ვარგებს.

„ველური" კოლმეურნეობანი

შემდეგი ორგანიზაციული საკითხი შეეხება ველურ კოლმეურნეობებს, ე. ი. ისეთ კოლმეურნეობებს, რომელნიც არ შედიან რაიმე გაერთიანებაში. მათი რიცხვი ჩვენში საკმაოდ დიდია.

საგუბერნიო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცნობების მიხედვით, ნიჟეგოროდის გუბერნიაში მხოლოდ 56 კოლმეურნეობა შედიოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, სევერო-დვინსკის გუბერნიაში—55 პროც., დანარჩენი—ველური, შეუკავშირებელი იყო.

რ. ს. ფ. ს. რ. კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობებით, 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის ველურ კოლმეურნეობათა რიცხვი 17 პროც. მეტს აღწევდა. მაგრამ ეს ცნობები ამცირებენ „ველურობის" ნამდვილ ფარგლებს, ვინაიდან ეს ცნობები უმთავრესად ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებს შეეხებოდა. ეს, რბილად რომ ვსთქვათ, მთელი კოლმეურნეობათა ორგანიზაციის უდიდეს სისუსტეს მოწმობს.

იმის მტკიცება, რომ ველური კოლმეურნეობანი უსათუოდ კულაკურია, აბსოლიუტურად შეცდარია (თუმცა, რა თქმა უნდა, ველურ კოლმეურნეობებში კულაკური უფრო მეტია, ვიდრე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულთა შორის), ყველა ველურ კოლმეურნეობათა კულაკურ მეურნეობებად გამოცხადება საკუთარი შეცდომების დაფარვა იქნებოდა.

„ბედნოტა"-ში კოლმეურნეობის ერთ-ერთი მუშაკი წერდა, რომ ხშირად ველურ კოლმეურნეობებს არავითარ აგროდახმარებას არ უწევენ, კოლმეურნეობებში არაა ჩატარებული მიწათმოწყობა, მათ არა აქვთ ყოველივე ის, რაც საჭიროა ტრაქტორებისათვის, ისინი მუშაობენ უგეგმოთ და მათ არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

ამ საკითხში ჩვენს **გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ არა უფრო ადმინისტრატიული ზომებით, არამედ ორგანიზაციული და ეკონომიური ღონისძიებებით ჩავაბათ ველური კოლმეურნეობანი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობათა სისტემაში.**

აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანება. თუ ჩვენ კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანების ამოცანას გადავჭრით, მაშინ ველური კოლმეურნეობანი გაქრებიან,—არც ერთი ველური კოლმეურნეობა არ დარჩება იქ, სადაც კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანება მოეწყობა.

კულტურის შესახებ

უკანასკნელ საკითხს კულტურის საკითხი წარმოადგენს.

ჩემს განკარგულებაში არის ის განაჩენი („ნაკაზი"), რომელიც რ. ს. ფ. ს. რ. კოლმეურნეობათა ყრილობის დელეგატს ამხ. სოკოლოვს მისცა სოფ. დერბიანევსკის (ორლოვის გუბ.) ღარიბი და საშუალო გლეხების ჯგუფმა. ამ განაჩენში ნათქვამია:

— „ჩვენ, სოფ. დერბიანევსკის გლეხების ერთი ჯგუფი, გთხოვთ თქვენ, ამხ. სოკოლოვს, აცნობოთ კოლმეურნეობათა ყრილობას და მთელ მთავრობას, რომ ჩვენ — ღარიბმა და საშუალო გლეხების ერთმა ნაწილმა შევიგნეთ პარტიისა და მთავრობის ხაზი, რომელიც მიმართულია ჩვენი წვრილი და მცირე მეურნეობის განმტკიცებისაკენ და განსაზოგადოებისაკენ და რომ ჩვენში ლაპარაკიდან კოლმეურნეობის შესახებ გადავდით კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეზე.

მაგრამ ამ დიდ და სერიოზულ საქმეში ჩვენ, მიყრუებულ სოფლებში, ბევრი დაბრკოლება გვხვდება წინ. გარდა კულაკების სისინისა, ჩვენ მიუთითებთ პირველი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ არსებითად უდიდესი მნიშვნელობის მქონე დაბრკოლებაზე,—ესაა კოლმეურნეობების შესახებ წიგნაკების და განსაკუთრებით **წესდებების** უქონლობა.

---

*) დ[illegible]ლი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ჩაის მეურნეობა გურიაში

(წერილი ოზურგეთიდან)

ჩაის მეურნეობას გურიაში ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროიდან მისდევდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მას განვითარებას არ ექცეოდა არავითარი ყურადღება. დღეს კი მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. ციტრუსოვან მცენარეთა შორის ჩაის კულტურამ მიიპყრო ჯეროვანი ყურადღება ს. მ. უ. ს. მიერ.

ამჟამად ოზურგეთის მაზრაში არსებობს ორი რაიონი: ოზურგეთის—„ზვანის ჩაი" და ს. ალანის „ქლიმატი", რომლებსაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს.

წელს მარტო ოზურგეთის რაიონში სრული კრედიტის გაცემით დაითესა 1.255.847 კვ. საჟენი ჩაის ახალი პლანტაცია; ნაწილობრივი კრედიტით—2396 კვ. საჟენი და სრულიად უკრედიტოთ 48.900 საჟ. ამრიგად წელს სულ დაითესა 1.307,142 კვ. საჟ. ჩაი.

იმ მიზნით, რომ დათესილიყო სალი თესლი „საქ. ჩაიმ" აწარმოვა წინასწარ თესლის შეძენა, რომელიც გასინჯული იქნა მათ მიერ. სალი გადარჩეული თესლი პლანტატორებს მიეცა გრძელვადიან სესხის ანგარიშში. სულ გაცემული იქნა 1345 ფუთი თესლი და 156610 მან. 50 კაპ. გრძელვადიანი სესხი.

ოზურგეთის რაიონში წელს ჩამოყალიბდა 13 კოლექტივი რომლებშიაც გაერთიანებულია ღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობა. კოლექტივთა შორის სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს „მაღალ-ეწერის" კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წელს დამუშავა 50 დესეტინა მიწა ჩაისათვის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კოლექტივები ჯერ სდგანან სათანადო დონეზე, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ პარტორგანიზაციების სუსტ ხელმძღვანელობას კოლექტივებისადმი.

მაზრაში მუშაობს 2 ინსტრუქტორი და 15-მდე აგროტექნიკოსი, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია პლანტატორებთან. არსებობს ჩაის დამამუშავებელი ოთხი ქარხანა.

სამწლიან გეგმაში შეტანილია 2 ქარხნის მომატება, რომელიც მოეწყობა ოზურგეთისა და აკეთის რაიონში. აღნიშნულ ქარხნებს ექნება თავისი ფირმა, რომლებიც უშუალოდ გაიტანენ ბაზარზე ჩაის.

საერთოდ წელს ჩაის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში შემჩნეულია ერთგვარი ავადმყოფობა, რომელიც ჩაის უშლის ყლორტის ზრდას. საჭიროა აღრიცხვა და გადამჭრელი ზომების მიღება ავადმყოფობის წინააღმდეგ.

გლეხკორი ტ. ალანელი.

შეფი შესაფერისად გვეხმარება

ს. ბაგები, თბილისის მაზრა

მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ბაგები ქალაქ თბილისიდან 2 თუ 1 ნახ. ვერსით არის დაშორებული, გლეხობა მაინც ჩამორჩენილია და ნაკლებად ეტყობა ქალაქის გავლენა. გლეხებში ჯერ კიდევ მტკიცედ არის რწმენა ავადმყოფობის დროს სოფლის ექიმბაშებზე, ვიღაც მოლებზე და ხატისადმი აღთქმაზე. სკოლა თავისი მოწაფეთა თვითორგანიზაციის ნიადაგზე ჩამოყალიბებულ სანიტარულ სექციით უძლური იყო ასეთი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მშრალი რჩევა-დარიგება და პროპაგანდა მცირე შედეგს იძლეოდა.

მას შემდეგ, რაც პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშების საშეფო კომისიამ (საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე) სკოლას მოუტანა პირველ-დახმარებითი წამლებით პატარა აფთიაქი, მოწაფეთა სანიტარული სექცია გადაკეთდა სანიტარულ-ჯანმრთელობის სექციათ და მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოწაფეობამ შესძლო გლეხის ოჯახში შეჭრა პირველ დახმარებითი წამლებით და სათანადო რჩევა-დარიგებით. ბევრ გლეხს უკვე გაეწია დახმარება. გლეხობა მოლებთან და მკითხავებთან გაქცევის ნაცვლად სკოლისაკენ მიიმართება, მასწავლებლის იმედი აქვს და უკანასკნელის რჩევა-დარიგებაც მისთვის კანონია.

მოსწავლე ახალგაზრდობა სათანადო რჩევა გამოცდილებას იძენს, რაც კარგი მომავლის გარანტიაა. უნდა აღინიშნოს, რომ შეფი განსაკუთრებულ თანაგრძნობასა და სიყვარულს იმსახურებს გლეხობაში. გლეხებს შეფები ყოველივე საზოგადო საქმეში წინამძღოლად ჰყავთ მიჩნეული. მათ მიერ მოტანილი საგლეხო ლიტერატურაც დიდ გასავალს პოულობს გლეხობაში.

იმედია შეფი მის განზრახვებს—სახალხო მოედნის გახსნის და ჭრა-კერვის სკოლის დაარსებასაც მოაგვარებს ჩვენს სოფელში.

ს. ფასიეშვილი.

ჩვენი სოფლის მიღწევები

ს. ზემო-ჩიბათი, გურია

სოფელი ზემო - ჩიბათი თანდათან წინ მიდის როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. დასრულდა სამკითხველოსათვის აგურის შენობის აგება. სამკითხველოს მოსდის ჟურნალ - გაზეთები და წიგნებიც საკმაოდ აქვს.

დიდი ნაბიჯი გადაიდგა სამეურნეო დარგშიც. ადგილობრივ ორგანიზაციების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კოლექტიურად მიწის დამუშავებას, რაც მეტად დიდი მიღწევაა. „კორაულზე", სადაც საკმაოდ ბევრი თავისუფალი მიწებია, მოეწყო კოლექტიურად ჩაის დამუშავება. ამ კოლექტივს ეწოდება „ჩვენი ჩაი". ჯერ - ჯერობით კოლექტივმა დაამუშავა და დათესა 16 დესეტინი მიწა. სულ კი აქ არის თავისუფალი 55 დესეტინა, რომელიც აღებული აქვს კოლექტივს.

გარდა ამისა იგივე კოლექტივი იღებს მეორე ნაკვეთ მიწას სახელწოდებით „ჯაბელი", სადაც უნდა გაშენდეს ჩაის პლანტაცია 50 დესეტინაზე. ეს ორი ნაკვეთი მიწის დამუშავება დიდათ წასწევს წინ ზემო - ჩიბათის გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას. ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას უწევს ხსენებულ კოლექტივს.

ამ სოფელში უსათუოდ უნდა გაიხსნას ჩაის ფაბრიკა, რომლის გახსნას უკვე დაპირდნენ სოფელს.

ხელისუფლებამ გამოგვიგზავნა ტრაქტორი, რომლის საშუალებით დაიხნა მიწები. ქვრივობლების ოჯახებს ტრაქტორი დაეთმო უფასოდ, როგორც აქ ზემო - ჩიბათში, ისე ახლო მდებარე სოფელ ლესაშიც. აქვე არსდება აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობაც. ყველა ამ მუშაობაში განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს ამხ. მიხ. სარჯველაძე.

მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებულია საბჭოთა ხელისუფლების ასეთი მიღწევებით.

ნიტოფოშვილი

—:—

ფუფუნებას დაჩვეული მიწადმომწყობი

ქვიშის თემი, ლეჩხუმის მაზრა

ჩვენს თემში მოვიდა სამაზრო აღმასკომის მიერ გამოგზავნილი მიწადმომწყობი ქ. ჭიჭინაძე, რომელიც ჩვეული ყოფილა ფუფუნებაში ცხოვრებას და წინასწარ განაცხადა: თუ მომცემთ საცხოვრებლად ისეთ ბინას, სადაც მწვანე ბაღ-მიდამოა, დავრჩები და თუ არა, წავალო. ჭიჭინაძემ საცხოვრებლად აირჩია საარჩევნო ხმაწართმეულ კულაკის ყიფიანის ოჯახი, რომელსაც მწვანე მინდორიც აქვს და ლამაზი ქალიც ყავს. ამის ნაცვლად ყიფიანმა ჭიჭინაძეს სთხოვა ხელფასიან მომუშავეთ გაყოლა, რაზედაც ჭიჭინაძე დასთანხმდა. მაგრამ თემის აღმასკომის პრეზიდიუმმა ნება არ დართო ჭიჭინაძეს ყიფიანის გაყოლაზე და გაუგზავნა სხვა კაცი, სანდო პიროვნება თავის ცხენით. ჭიჭინაძე არ დაეთანხმა პრეზიდიუმის დადგენილებას და წასვლით იმუქრება.

მიწის მზომელი ჭიჭინაძე შეხმატკბილებულად ქეიფობს აგრეთვე ყოფილ თავად გელოვანებთან, ხოლო თავის საქმეს ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

უმჯობესია ასეთი „მიწადმომწყობი" დროზე დასტოვებდეს ქვიშის თემს, სანამ მას გლეხები გააძევებდნენ.

ჟომხელი.

გლეხკორთა წერილებიდან

სასარგებლო ნაბიჯი

ქ. ზუგდიდი

ქ. ზუგდიდში სამპოლიტგანმა გახსნა მაზრის ქოხსამკითხველოების გამგეთა გადასამზადებელი ორკვირიანი კურსები. კურსებზე გაწვეულია მაზრაში არსებულ ყველა ქოხსამკითხველოების გამგეები. კურსების მიზანია ამაღლოს გამგეთა კვალიფიკაციური დონე.

ა. გულორდავა.

აქაც გააჩერეთ მატარებელი

კაჭრეთი, სიღნაღის მაზრა

კაჭრეთის ბაქანზე არ აჩერებენ თბილისიდან ღამის პირველ საათზე გამოსულ მატარებელს. ამის გამო ჩვენი თემის გლეხობას 15 კილომეტრი მანძილის გავლა უხდებათ სადგ. ბადიაურიდან სოფლამდე. საჭიროა კაჭრეთის ბაქანზეც გააჩერონ დილის მატარებელი.

გ. გეთიაშვილი.

რატომ არ სთხოვენ პასუხს

ს. სნო, დუშეთის მაზრა

სოფ. სნოში იყო საფონდო მიწა, რომელიც ამ ორი წლის წინად დაურიგდა გლეხებს. ამის შემდეგ ზოგიერთი გლეხებმა და მათ შორის სოლომონ შიოლაშვილმა და გიორგი ჯაბუშვილმა ეს მიწები მიყიდეს კულაკ ნ. კოლოზ და არსენ ხარიტოშვილებს. მათთვის დღემდის პასუხი არავის მოუთხოვია. საჭიროა დუშეთის მაზრის საადგილმამულო განყოფილებამ პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

ლ—რი.

მუშათა ცხოვრება

თბილისის საალმშენებლო სასწავლებელი

საქართველოს აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებული საალმშენებლო სასწავლებელი, არსებობს 1925 წლიდან. სასწავლებლის დანიშნულებაა მომზადოს კვალიფიციური მუშა-ხელი სოციალისტურ მშენებლობისათვის. სასწავლებელთან არსებობს შემდეგი სამქროები: საკალატოზო, სახურო, სამღებრო, სადურგლო და საწყალსადენო-სანიტეხნიკო. მეცადინეობა სწარმოებს, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც.

გარდა საერთო განათლების საგნებისა, მოწაფეები გადიან სპეციალურ დარგში; შენობათა ნაწილებს, მასალათა გამძლეობას, საალმშენებლო მასალათა ტექნოლოგიას, უშიშროების ტექნიკას, ხაზვას, ხატვას და სხვ. პრაქტიკული მეცადინეობა სწარმოებს სამქროებში. ზაფხულის საალმშენებლო სეზონის განმავლობაში კი სკოლის გარეთ—შენობებზე. სასწავლებლის კურსი სამი წლიანია.

სასწავლებელში ამჟამად ირიცხება 120 მოწაფე, ხოლო მომავალი სამოსწავლო წლიდან, ეს რაოდენობა ორასი კაცამდე იქნება აყვანილი. ისე, რომ მომავალი საალმშენებლო სეზონისათვის საალმშენებლო სასწავლებელი გამოუშვებს ყოველწლიურად არა ნაკლებ ასი კაცისა. მოწაფეები იღებენ სტიპენდიას, რომელიც მატერიალურად მათ სავსებით უზრუნველჰყოფს. წელიწადში ორჯერ, სპეციალურად გამოყოფილი საკვალიფიკაციო კომისია ამოწმებს მოწაფეთა მიღწევებს. სასწავლებელთან არსებობს ინტერნატი, რომელშიაც მოწაფეები ღებულობენ სრულ კმაყოფას. სასწავლებელთან არსებობს საწარმოო ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს მოწაფეების მუშაობას სკოლის გარეთ—შენობებზე.

საშუალებათა და შენობის უქონლობის გამო, პირველი სამოსწავლო წლის მოწაფეთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 40 კაცით. ხოლო 1926—27 სამოსწავლო წელს ეს რაოდენობა გადიდებულ იქნა 70 კაცით. უკანასკნელ წელს კი მოწაფეთა რიცხვი გადიდებულია 120 კაცამდე. აქედან ნათლად სჩანს, რომ სასწავლებელი იზრდება და ფართოვდება. თუ წლევანდლამდე სასწავლებლის შემოსავალი არ აღემატებოდა საჭირო თანხის 35—40 პროცენტს. აღმშენებელთა კავშირის გ. ენერგიული მუშაობით ეს პროცენტი გაიზარდა 70 პროცენტამდე. დანარჩენ 30 პროცენტს თვით სასწავლებელი თავის ძალებით ჰფარავს სხვადასხვა სამუშაოების აღებით და სამქროებში დაკვეთილების შესრულებით.

სასწავლებელი თავის შესანახ 70 პროც. იღებს სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებიდან კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად წარმოებაში გასატარებელ ჯავშნის ანგარიშში და განსახკომიდან, გუშინ 28 ივნისს სასწავლებელმა, თავის სამი წლის არსებობის თავზე გამოუშვა 23 ყოველმხრივ მომზადებულ წითელ მუშა-მშენებელი, რომლებიდანაც ნაწილი დატოვებულია თვით სასწავლებელში ინსტრუქტორების თანაშემწეებად. დანარჩენები კი გადაგზავნილია მუდმივ სამუშაოზე სხვადასხვა საალმშენებლო ორგანოებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საალმშენებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული მუშები გაამართლებენ ჩვენი ხელისუფლების იმედებს.

გ. დუნდუა.

—:—

სერიოზული საკითხი

მიმდინარე გაზაფხულის წყალდიდობამ მრავალ ახალ სამუშევართა შესრულების წინაშე დაგვაყენა და ჩვენი გზების სუსტი მხარეები ნათლად დაგვანახვა.

ერთ ასეთ სუსტ ლიანდაგის ნაწილს, წარმოადგენს ხარაგოლ-ძირულის გადაბმენა 186 კილომეტრიდან 188-მდე. აღნიშნულ მანძილზე. მდინარე ჩხერიმლის კალაპოტმა იმდენად აიწია, რომ საკმაოა მოვიდეს პატარა წვიმა, რომ მდინარე გამოვიდეს კალაპოტიდან და ახალი კალაპოტი ლიანდაგის მახლობლად გაიკეთოს.

ამასთანავე მდინარე ჩხერიმლის კალაპოტის აწევამ სულ მთლიანად დახურა 188 კილომეტრზე ე. წ. საზღვრის ღელის მდინარესთან შეერთავი და ხიდის ქვეშ ღელის წყალს გასავალი სრულიად არ დაურჩა. ამ ადგილას, გ. წელს —აგვისტოს ნიაღვარმა ლიანდაგი გარეცხა, რის გამო მოძრაობა 24 საათით შეწყვეტილი იყო. ამ ლიანდაგის ნაწილის გარეცხვის უზრუნველსაყოფად და მომავალში მოძრაობის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, ერთად ერთი საშუალება ლიანდაგის აწევა.

ეს სამუშაოები ისეთი ანგარიშით უნდა გაკეთდეს, რომ გზამ აიწიოს საზღვრის ღელეზედ არა ნაკლებ 2 მეტრის სიმაღლეზე. გარდა ამისა ლიანდაგიც უნდა შემუშავდეს ე. წ. ციცაბო მოხრილები გამშალოს და ამავე დროს ქვის სატეხი კარიერაც გაიწმინდოს მიწა-ღორღიდან.

ამ საკითხის დაყოვნება შეუძლებელია. მოკლე ხანში თუ არ შეუდექით მის განხორციელებას, შემდეგში გვიანი იქნება.

სამმართველომ და განსაკუთრებით ლიანდაგის უფროსმა, ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

დაფიქრებული.

რად აგვიანებენ მატარებლები

(რკ. გზის გამგეობის საყურადღებოდ)

სად. აღსტაფიდან მომავალ სამგზავრო მატარებელმა №106-მა სად. სოღუთლუსა და ბიეუკისი შუა დაიგვიანა 1 ს. 20 წ. დაგვიანების მიზეზი იყო ის, რომ რაც თბილის ბაქოს შუა მატ. № 13 და 14-ტი მოისპო, მგზავრობა, სამგზავრო და სატვირთო მატარებლებზე, ძალიან გახშირდა. ბაქოს მიმართულებით დღეში დადის მხოლოდ 1 სამგ. მატარებელი. ერთი მატარებელი კი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მატ. 14 და 13-ის მოხსნით, რკინის გზამ ვერაფერი მოიგო. პირიქით ზარალს აძლევს რკინის გზას. მაგალითად: თუ წინად მატ. № 3—4 შესდგებოდა ათი სახალხო რონოდისაგან, დღეს იგი 17—18 რონოდისაგან შესდგება და უბამია ორი დიდი ორთქლმავალი. შემადგენლობა ნახევარზე მეტი ცარიელი დაქრის თბილის-ბაქოს შუა. ამით რკინის გზა ზარალობს.

მართალია ბაქოს მიმართულებით დადის კიდევ ერთი წყვილი მატარებელი № 9—10, მაგრამ ეს მატარებელი პატარა სადგურებზე არ ჩერდება და გარდა ამისა ყველა ვაგონები პლაცკარტიანებია. რკინის გზა ანგარიშში უნდა უწევდეს სოფლის მცხოვრებლებს და ნიშნავდეს ისეთ მატარებლებს, რომელიც ხელსაყრელია მუშებისათვის და გლეხებისთვის. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ამიტომ გლეხები იძულებული ხდებიან უბილეთოდ იმგზავრონ არა სამგზავრო მატარებლით.

№ 106 მატარებლის დაგვიანების მიზეზიც სწორედ ეს იყო. მატარებელი სად. სოღუთლუში, სადაც უნდა ჩამომხტარიყვნენ მგზავრები, არ გაჩერდა. ამიტომ გლეხებმა დაამუხრუჭეს რონოდები, მატარებელმა მსვლელობას უკლო და გაჩერდა გადასარბენზე.

ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია: ვერ ნახავთ ვერც ერთ სახარგო მატარებელს, რომელსაც აუარებელი უბილეთო მგზავრები არ მიჰყვებოდნენ. საჭიროა რკინის გზის გამგეობამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ასეთ მოვლენებს.

ფუფლოტუბელი.

—:—

ნაკლი გამოსასწორებელი

(წერილი ზემო-სვანეთიდან)

საქ. ტყის მრეწველობის ზუგდიდის კანტორას სოფ. ხაიში აქვს დამამზადებელი ნაწილი, სადაც ირიცხება 1200 მუშა. წინად მუშებში პროფმუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა. ძალიან ხშირად ირღვეოდა 8 საათის სამუშაო დღე და კოლექტიური ხელშეკრულება. საჭმელ-სასმელსაც მუშები თავის დროზე არ ღებულობდნენ. ასეთივე მდგომარეობაში იყო კულტურული მუშაობაც.

დღეს ასე აღარ არის. ამჟამად მუშებში გაცხოველებულია პროფესიონალური და კულტურული მუშაობა. ყველა სამუშაო ჯგუფში გამოყოფილია პროფრწმუნებული, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევენ მუშებს და კავშირი აქვთ რაიონის მუშათა კომიტეტთან. შრომის პირობებიც შედარებით გაუმჯობესებულია. საჭმელ-სასმელი და ხელსაწყო-იარაღი თავის დროზე აქვთ. კოლხელშეკრულებაც უცვლელად ტარდება ცხოვრებაში.

სამუშაო რაიონი დაყოფილია 9 სამუშაო პუნქტად. თითეულ მათგანში არიან ორასამდე მუშა. ყველა სამუშაოებში დაარსებულია სამკითხველოები, სადაც სწარმოებს ჟურნალ-გაზეთების ხმამაღლა კითხვა, მოხსენებები და სხვა.

მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროფკრებებში, ისინი ჩაბმული არიან სხვადასხვა კომისიების საქმიანობაში და ხელს უწყობენ თავიანთი თავის გათვითცნობიერებას მაგრამ დამამზადებელ ნაწილის ზოგიერთ პუნქტებში, სადაც საქმე სიტყვით გადაცემულია მონარდეებზე და საქმით კი მოიჯარადრეებზე, პროფმუშაობა მუშებში მაინც ფერხდება. მოიჯარადრეები, რომლებიც მონარდეების სახით მუშაობენ, რაც უნდა თავზე ადგეს პროფრწმუნებული, მაინც არღვევენ შრომის კანონებს და ეწევიან ექსპლოატაციას.

მუშათა კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა, რათა გაუქმებულ იქნას მოიჯარადრეული წესი და ხარჯი სამუშაო გადაეცეს მუშათა კოლექტივებს. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებით მუშებმა შესძლებს თავისი მუშაობის უფრო გაუმჯობესებას.

უშბასპარელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უმუშევარი მომუშავე. შრომის ბირჟაში უმუშევრად აღრიცხული მოქ. ასრათაშვილი მისი პირველ სამუშაოდან დათხოვის მერე დღიდანვე მუშაობს საზ. „სამშენში" შეიბალის მტვირთავად და მისივე სიტყვით ღებულობს კვირაში 80 მანეთს. ამავე დროს, როგორც უმუშევარი შრომის ბირჟიდანაც ღებულობს დახმარებას.

წკეპლა.

მოგვეცით სესხი (ოზურგეთი). ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სალებ ქარხნის სასადილო უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. მისი სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობამ სასადილოს მისცეს სესხი.

ა. ელენაშვილი.

საქართველოს ცაკში

27 ივნისს ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქ. ცაკის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

პირველ რიგში განხილულ იქნა 3 ივლისისათვის მოწვეულ ცაკის მეოთხე სესიის დღის წესრიგში დასმული საკითხები. მათ შორის საკითხი სამაზრო საბჭოებისა და სამაზრო აღმასკომების უფლებათა გაფართოების შესახებ. სათანადო კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულებანი პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იქნა ზოგიერთი დამატებით და შესწორებით.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი ოზურგეთის საბავშო სახლის გამოკვლევის შესახებ. გაზეთებში რამოდენიმეჯერ იყო მოთავსებული კორესპონდენცია ამ სახლის შესახებ, სადაც აღნიშნავდნენ მის მრავალ ნაკლს. საქართველოს ცაკ-ის დავალებით განათლების კომისარიატმა მოახდინა სახლის გამოკვლევა, რამაც მრავალი ნაკლი დაადასტურა. განათლების კომისარიატმა თავის მხრივ გამოიმუშავა ღონისძიებანი ამ სახლის სათანადო პირობებში ჩასაყენებლად, მაგრამ პრეზიდიუმმა ეს საკმარისად არ სცნო და თავის მხრივ მიიღო კიდევ დამატებითი ღონისძიებანი.

ცვლილებები თბილისის მილიციაში

ამხ. ხმალაძის და თოფურიას განთავისუფლება თანამდებობიდან.

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით: განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ამხ. ხიმონ ხმალაძე და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ამხ. გრიგოლ თოფურია.

ამხ. საჯაიას და მელაძის დანიშვნა.

ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით, ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსად დანიშნა ამხ. ალექსანდრე საჯაია. სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსად დროებით დაინიშნა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე ამხ. შალვა მელაძე.

ამხ. საჯაია

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების და მილიციის ახალი უფროსი



ალექსი ივანეს ძე საჯაია დაიბადა 1896 წელში სოფ. ჯატარა კოკის (ზუგდიდის მაზრა) ღარიბი გლეხის ოჯახში.

თავისი რევოლიუციონერი ძმის გავლენით ამხ. საჯაია ზუგდიდში მოწაფეობიდანვე აწარმოებს რევოლიუციონურ მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობის შორის.

1915 წელში ამხ. საჯაიამ სახელმწიფო სამსახურიდან თავის დაღწევის მიზნით მიატოვა სწავლა და სხვისი გვარით შევიდა მუშათ აგურის ქარხანაში (ქალ. სოხუმში). 1915 წლის დასასრულში მუშაობდა შავი ზღვის რკინის გზაზე ქალ. სოჭში, ხოლო შემდეგ 1915 წლ. დასასრულიდან 1917 წლამდე მეტვირთველად მუშაობდა სადგ. ლუბიანსკში (ჩრდილო-კავკასია).

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. საჯაია უკავშირდება მუშა-რევოლიუციონერების ჯგუფს სადგ. ლუბიანსკში და შედის რუსეთის კომპარტიის (ბ) რიგებში.

სად. ლუბიანსკში მუშაობის დროს ამხ. საჯაია შედის წითელგვარდიელთა რაზმში, რომელიც ადგილობრივმა ამხანაგებმა შეადგინეს გენერალ ალექსეევის წინააღმდეგ. და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ რაზმის ბრძოლაში არმავირის რაიონში.

როცა ჩრდილო-კავკასია გადავიდა თეთრგვარდიელების ხელში, ამხ. საჯაია ბრუნდება საქართველოში და განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას. 1919 წელში ის მონაწილეობას იღებს მე-3 ქართულ ათასეულში მენშევიკების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში. ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ამხ. საჯაია მიდის აფხაზეთში და იქ იმალება 1920 წლამდე. 1920 წელში კვლავ ბრუნდება ჩრდილო-კავკასიაში, შედის წითელი არმიის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებს ხვოსტიკოვის ბანდების და ულოგაის დესანტის ლიკვიდაციაში.

ამავე წელში ამხ. საჯაია არალეგალურ მუშაობისათვის გაიგზავნა საქართველოში, სოხუმის არალეგალურ საოლქო კომიტეტის განკარგულებაში. ამის შემდეგ იგი არალეგ. მუშაობას აწარმოებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან დავალებებს.

საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. საჯაია 1927 წლ. ოქტომბრამდე მუშაობდა საგანგებო კომისიის—სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებში, ეჭირა მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობანი და რამოდენიმე ჯილდოც მიიღო ერთგული ენერგიული მუშაობისათვის.

ამხ. საჯაია ითვლება საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ერთ-ერთ საუკეთესო და მეტად აქტიურ მუშაკად.

1928 წლიდან ამხ. საჯაიას ეჭირა საქართველოს სსრ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმროების სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

მელიორაცია

ტირიფონის ველის მორწყვა

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით ტირიფონის ველის მოსარწყავი არხის გაყვანა დაიწყო 1923 წელს. დღემდე არხის გასაყვანად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: მთავარი არხი გაყვანილია 30 კილომეტრის მანძილზე. დამთავრებულია მთავარი სათავეს მოწყობა. მთავარი არხიდან გასაყვანად დარჩენილია კიდევ 8 კილომეტრი. მთელი არხის 38 კილომეტრის მანძილზე გაყვანა დამთავრდება მომავალ საანგარიშო წელს, სულ არხის სავსებით მოწყობა დამთავრდება 1930 წლისათვის.

არხის გასაყვანი მთელი სამუშაოების 50 პროცენტი სავსებით დამთავრებულია. უმთავრესად დარჩენილია მექანიკური სამუშაოები.

პირვანდელი ხარჯთაღრიცხვით ტირიფონის არხის გაყვანა უნდა დამჯდარიყო 200.000 მანეთი. ამ ხარჯთაღრიცხვის დროს ნავარაუდევი იყო, რომ მიწის სამუშაოები შესრულებული იქნებოდა ბეგარის საშუალებით. მაგრამ ცენტრის ბეგარა მოიხსნა მთავრობის დადგენილებით, 1923—24 წელს შედგენილი იქნა ახალი ხარჯთ-აღრიცხვა. რომლითაც არხის სავსებით მოწყობა-გაყვანის ხარჯები გათვალისწინებულია 3 მილიონი მანეთის რაოდენობით.

არხის გაყვანის დაწყების დღიდან 1927—28 წლის დამდეგამდე მთელ სამუშაოებზე დახარჯულია 1.096.700 მანეთი. მიმდინარე წელს დაიხარჯება 470.700 მან.

ტირიფონის ველის ნაწილის მორწყვას დღემდე გლეხები აწარმოებდნენ პრიმიტიულ საშუალებით, ხოლო ველის მეორე რაიონი 18.000 გექტარის რაოდენობით სრულებით მოურწყავი რჩებოდა.

არხის გაყვანის შემდეგ სულ მოირწყვება 29.000 გექტარი მიწა. ტირიფონის ველზე უმთავრესად ითესება ხორბალი, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობის სივრცეზე სწარმოებს ძვირფასი მცენარეების გაშენება.

ტირიფონის ველის მოსავალი წესიერად მორწყვის შემდეგ ჩვეულებრივ საშუალო მოსავალს და შესაძლებელს გახდის მის ინტენსიურ დამუშავებას. მთელი ველი ამჟამად იძლევა—1.987.000 მანეთის მოსავალს. აქედან ის რაიონი, სივრცით 11.000 გექტარი, რომელსაც გლეხები რწყავენ პრიმიტიული საშუალებით —იძლევა 1.137.000 მანეთის მოსავალს. მოურწყავად დარჩენილი 18.000 გექტარი კი—940 ათას მან. ტირიფონის ველის მორწყვის შემდეგ იქ გაშენებული იქნება ხეხილის ბაღები, ვენახები, ბოსტნები, შაქრის ჭარხალი გორის შაქრის ქარხნისათვის, სხვადასხვა ტექნიკური კულტურები და სხ.

ველის ნაწილზე კი აწარმოებს ხორბალის თესვა. მომავალ საანგარიშო წელში შესაძლებელი გახდება ახალი არხის საშუალებით მოირწყოს 6.000 გექტარი მიწა. მთელი არხის გაყვანის შემდეგ მორწყვის პირველ პერიოდში ტირიფონის ველზე ხელსაყრელ მეურნეობის წარმოების საშუალება მიეცემა 8.800 კომლს. თვითეულ კომლს წინასწარი ვარაუდით წლიურად შემოსავალი 1.146 მანეთი, რაც უდრის 10.085.000 მან. საერთო შემოსავლის სახით.

ეს შემოსავალი ნაგულისხმევია მარტო მიწის მეურნეობიდან, ვინაიდან პირველ წლებში მეხილეობა და მევენახეობა შემოსავალს არ მოგვცემს.

მიწის მეურნეობიდან მორწყვის პირველ 3-ში მეურნეობას წმინდა მოგება დარჩება 8.500.000 მანეთი.

წყალის რესურსებით სარგებლობისათვის ითითო გექტარზე მეურნეები გადაიხდიან 4 მ. 40 კ., საექსპლოატაციოთ 6 მანეთს და საამორტიზაციო ხარჯების დასაფარავად—1 მ. და 10 კაპ.

თითო კომლს დასამუშავებლად მიეცემა 3 და სამი მეათედი გექტარი მორწყული მიწა, რომელზედაც წლიურად გადასახადათ მოუწევთ 37 მანეთი. ეს გადასახადი რა თქმა უნდა უმნიშვნელოა იმ დიდ შემოსავალთან, რომელსაც მეურნეები მიიღებენ მორწყვის შემდეგ მიწის დამუშავებიდან.

ტირიფონის ველზე მისი მორწყვის შემდეგ დასახლებული იქნებიან უმიწწყლო გლეხები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან. მათ მეურნეობების მოსაწყობათ პირველ ხანებში მიეცემათ გრძელვადიანი სესხი და გაეწევათ შესაფერი დახმარება.

ტირიფონის ველზე დასახლებულთაგან განზრახულია მოეწყოს კოლექტიური მეურნეობები და კომუნები. ამ მიზნით იწარმოებს გლეხების გეგმიანი დასახლება და შემუშავებული იქნება მეურნეობის წინასწარი გეგმები.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქმნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

შემოგვაქვს ცხრა მანეთი და 10 კაპ. შეგროვებული თბილისის აღმასკომის ადმინგანის მაზრის ბიუროს თანამშრომელთა შორის ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

—:—

ჯემა ციციშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიგული და თემურ მარგველაშვილებს, ლილი ნიშნიანიძეს, ნორა ექსანიშვილს, ჩიტო გვარამაძეს, ლადო და დათუნა ჯაფარიძეებს, რუსიკო ციციშვილს, გივი კანდელაკს და თენგიზ მანჯავიძეს.

მარგალიტა გაგუა.

—:—

ნატრო და ბორიკო ცხაკაიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მერიკო სირიას, ლილი ნაჭყებიას, ლულუ, გივიკო და თალიკო ნოდიას, ლეილა ფელოფილაქტს, ნაზიკო და ეთერი ძიძიგურს.

ლამარა კუკავა.

—:—

შემომაქვს ქუთაისის დაზარალებულთა დასახმარებლად 17 მან. 43 კ. წალენჯიხის 7-წლედის მასწავლებლებში შეგროვილი და ვიწვევთ წალენჯიხის თემის ყველა დაწესებულებებს.

7-წ. მასწ. დავალებით ა. მალაშხია.

—:—

სოფ. ქვიდა - ხუნწის 7-წლედის მასწ.: ალ. კოკაიას, ყურდგელიას, კ. ხუროძე, ეფ. გაბისონიას, ოლ. სილაგაძეს, პარ. რევიას, გრიშა რევიას შემოაქვთ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი 14 მან.

ამხანაგების დავალებით ალ. კოკაია.

—:—

კვირას, 17 ივნისს, ერკეთის თემის სახალხო სახლში გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი 11 მან. 34 კაპ. შემოგვაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მონდობილობით ერკეთის დრამ-დასის ხელმძღვანელი ი. კოზიძე.

—:—

ვახტანგ შანიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: რეზიკო ლეჟავას, გოგი ჯიბლაძეს, ბიძინა მიქელაძეს, ვასიკო დალაქიშვილს, რეზიკო კალაძეს, მაყვალა შამიაშვილს და ელიკა ხუციშვილს.

ედიკო ცაგარეიშვილი.

—:—

ამხ. თოლიკო ჩხიკვიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ბავშებს:

ფოთიდან — ბიჭიკო კიზირიას, ნორა სიხარულიძეს, კატო დოლიძეს, ქეთო მელაძეს; თბილისიდან: როზა და კლარა შაფათავებს. ბათომიდან: მარგალიტა სარატს.

იური სანაია.

ოთარი ფულარიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ათიკო ჭიჭინაძეს, გრიშა ბაისონგოლოვს, ნელი და მერი ცაგურიებს, ეთერი ცქიტიშვილს, აზიკო კალანდაძეს, მედეია დუბენკოს, ირაკლი კონსტანტინოვს, ბიჭიკო ჩიქოვანს, ირაკლი ხაბურზანიას და სახო გერსამიას.

ოთარი დარახველიძე.

—:—

ცაციკო ჩხიკვიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ახალ-სენაკიდან — ვახტანგ ფირცხალავას, თინიკო, ბობავას, ლეილა გიორგის ასულ ქავთარაძეს, ლეილა კუკავას, ნოდარ ბასილაიას; ფოთიდან — ნაზიკო მილორავას, გივი ნაფიშვილს, აბაშიდან ვილია კვანტირაძეს.

ლაბარტყავა.

შემომაქვს 141 მანეთი შეგროვილი ქალ. ოზურგეთის თვითმშრომელ ხელოსნებს შორის, ქუთაისის დასახმარებლად.

მაზრ - აღმასკომთან არსებულ ქუთაისის დამხმარე სამაზრო კომიტეტის მდივანი: დ. ხაილაიშვილი.

—:—

ნოდარ ცხადაძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრ. დაზარ. ბავშთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: მედია აბრამიშვილს, ჟორა ლამბაშიძეს, ალექსი დათუნაშვილს და თამარა ნოზაძეს.

ვაჟა ცხადაძე.

—:—

იათამზე ნანეიშვილის გამოწვევით შემოგვაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ თითო მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: მაყვალა და ოთარი ნანეიშვილებს, ჟორჟი და კაკო ნაფეტვარიძეებს, ვახტანგი და კუკუშა მილორავებს, ჩუტა ყუბანეიშვილს, ნუცა ნაფეტვარიძეს, თინა ჩხეტიაშვილს.

ბუტუნა და მუში ნანეიშვილები.

—:—

ნათელა მაჩინოშვილის გამოწვევით ქუთაისის ხანძრ. დაზ. სასარგებლოდ შემაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: სენაკიდან — ბორის წოწონავას, ბაჩანა დემურიას, ნათელა ღვალიშვილს, კიკი და თამარა ძიძავებს, ეთერი ვერძაძის; ქუთაისიდან — ალექო ასათიანს, ნინა ქანტურიას, ეთერი და თინა კვირიკაძეებს და თბილისიდან ნათელა ჩუბინიძეს.

კატუნა ძიძავა.

—:—

თინა გაჩეჩილაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ: კოკი ამაშუკელს, შოთა ბოლქვაძეს და ვალოდია ნიჟარაძეს.

გივი ერისთავი.

ამხ. გივი და თინა კახიანების გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შოთა ცქიტიშვილს, ოსიკო კანდელაკს, შოთა კაშიას, ლევარსამ ქავთარაძეს, რეზო ქავთარაძეს და თამარა ჩიხლაძეს.

შოთა გაგელია.

—:—

ვგზავნით ჩვენ წვლილს 22 მანეთს ქ. ქუთაისში დიდი ხანძრით დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

ხასავ-იურტში (დაღესტანი) მცხოვრებნი: ხარიტონ მახარაძე, გიორგი გავაშელი, პავლე თუშმაშვილი, ილია ს. ლობჯანიძე, გრიშა ხარინდრავა, ბესო მელაძე და ალექსანდრე იშოევი.

—:—

შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ სახ. უნივ. პედ. ფაკულტეტის ა. ლ. ქ. კ. უჯრედის წევრების მიერ შეგროვილი 10 მან. და 70 კ. და ვიწვევთ სახ. უნ. ა. ლ. კ. დანარჩენ უჯრედებს.

ბეგლარ დოლიძე.

—:—

თბილისის მე-40 შრომის სკოლის მე-2—3 ჯგუფის მოწაფეებს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ 3 მ. —15 კაპ., მე-3 ჯგ. მოწ.—1 მან. მე-4—ა ჯგ. 1 მ. 15 კ, სულ 5 მან. და 3 კაპ. და იწვევენ ამავე სკოლის პედ. პერსონალს და დანარჩენ მოწაფეებს.

მასწ. მარიამ ქარუხანიძე.

—:—

ქ. ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ 1-ლი საარტ-ლეგიონის წ.-არმიელთა და უფ.-პოლიტ-შემადგენლობას შემოაქვს 85 მან. და 75 კაპ. და ვიწვევთ სხვა ლეგიონებს.

№ ლეგიონი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 329 — 22, სულ წინად შემოსულთან 19.359 — 79.

ბრძოლა მეძაობასთან

საქართველოს ცაკთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესებელი კომისია 30 ივნისს, საღამოს 6 საათზე ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში იწვევს გაფართოებულ თათბირს მეძაობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

თათბირზე მოხსენებებს გააკეთებენ:

ექიმი ერმოლენკო—ქ. ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ მეძაობის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოს მუშაობის შესახებ და ექიმი ზერიძე მეძაობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდის შესახებ.

თათბირზე მოწვეულნი არიან: ამხ. ვ. ჯაფარიძე (ცაკის ქალთა განყოფილებიდან) ამხ. შავერდოვა (ამიერ-კავკასიის საოლქო კომ. ქალთა განყ.), ამხ. ბელიაევსკაია (თბილისის კომიტ. ქალთა განყ.), ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. კუპრაძე, თბილისის აღმასკომიდან—ამხ. თოხლავა, შინაგან საქ. სახ. კომისარიატიდან—ამხ. ყამარაული და წარმომადგენლები: იუსტიციის სახ. კომისარიატიდან, შრომის სახ. კომისარიატიდან, შრომის ბირჟიდან, თბილისის ჯანმრთ. განყოფილებიდან, წითელ ჯვარიდან, სამხედრო სანიტარულ სამმართველოდან, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირიდან, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებიდან, ს. ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიიდან, ბავშვთა მეგობართა საზოგადოებიდან და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოდან.

საქ. წითელ ჯვარში

წითელი ჯვრის მოძრავი აფთიაქები

საქ. წითელი ჯვრის ცეკამ გადასწყვიტა თავის ყველა აფთიაქებს მისცეს მოძრავი ხასიათი, რათა შესაძლებელი იქნეს მათი სხვადასხვა ადგილებზე გამოყენება საჭიროების მიხედვით.

მოძრავ აფთიაქებს ექნება ყველა საჭირო მასალა მოსახლეობისათვის პირველ საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

წითელი ჯვრის ტრანსპორტის ხუთწლიანი გეგმა

საქ. წითელი ჯვარი შეუდგა წითელი ჯვრის ტრანსპორტის, ორგანიზაციისათვის ხუთწლიანი გეგმის შედგენას.

ახალი საექიმო პუნქტი

წითელი ჯვრის, საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ დაიწყო საექიმო პუნქტის მოწყობა ახალქალაქის მაზრაში.

საექიმო პუნქტის მოსაწყობ და შესანახ თანხებს გაიღებენ საქ. წითელი ჯვრის ცეკა და ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დიმი-როკითის არხი

დიმი-როკითის არხის დასამთავრებლად წყალთა მეურნეობის სამმართველომ დამატებით გადასდო 30.000 მან. 26 ივნისს არხის დასათვალიერებლად გამგზავრებული იყვნენ წყალთა სამმართველოს ტეხნიკურ ქვე-განყოფილების გამგე ინჟ. ვოინიც პინაჟენსკი და ქუთაისის წყალთა მეურნეობის ოლქის უფროსი ბ.—შვილი. მათ გადმოსცეს, რომ არხში წყლის გაშვება შესაძლებელი იქნება 15 ივლისისათვის.

აზარტული თამაში აკრძალვა

ყველა იმ დაწესებულებებს, სადაც სწარმოებს აზარტული თამაშობა, როგორიცაა კაზინო, პტი-შვო, ლოტო და სხვა, წინადადება მიეცათ პირველ ივლისამდე შესწყვიტონ არსებობა.

დახმარება ხანძრისგან დაზარალებულებს

დამხმარე კომიტეტის კმაყოფაზე ამჟამად იმყოფება ხანძრისაგან დაზარალებული 453 ღარიბესი. ხანძრისაგან დაზარალებულთაგან 30 ქალი გადაიგზავნა აბრეშუმის პარკის მოღების სამუშაოებზე.

თემების გაერთიანება

სამაზრო აღმასკომის პლენუმმა წინადადება მისცა საორგანიზაციო განყოფილებას დაამუშაოს მაზრაში შემავალ ზოგიერთ თემთა ადმინისტრატიულად გაერთიანების საკითხი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მაზრაში არსებულ 45 თემიდან 43—დეფიციტიანია და მათი გაერთიანება გამოიწვევს სათემო ბიუჯეტის გაჯანსაღებას და აპარატის რაციონალიზაციას.

სასჯელი გაუპატიურებისათვის

ადგილობრივმა სამაზრო სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მილიციის უფროს თანამშრომელ გიორგი წერეთელს, ქ. ჩ—ძის გაუპატიურებისა და ლიუბა ს—ას გაუპატიურების ცდისათვის.

ნავთსადენის სამუშაოები

ამჟამად ნავთსადენზე სვირის რაიონში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, მაგრამ მოწესრიგებული არაა ზოგიერთი საკითხები. მუშებისათვის სადილისა და ფულის მიწოდება მოიჯარადრეების ხელშია. ორნახევარი გირვანქა პურის ნაცვლად მოიჯარადრეები მუშებს აძლევენ მხოლოთ ორ გირვანქას და გირვანქაში ახდევინებენ 15 კაპეიკს. სადილი ძვირია. სპეცტანსაცმელი ჯერაც არ არის დარიგებული, კარავები არ არის საკმაო რაოდენობით, ყველა ამ დეფექტებს დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად მშენებელთა კავშირის სამაზრო განყოფილებას მიღებული აქვს სასწრაფო ზომები.

იუსტ. სახ. კომისარიატში

სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსების გასამარტივებლად

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსების გასამარტივებლად, უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიის მუშაობის შედეგებს ახლო მომავალში განიხილავს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგია, ხოლო შემდეგ კი იუსტიციის სახალხო კომისარი სათანადო კანონპროექტს წარუდგენს საქართველოს ცაკს.

თბილისის შრომის სასამართლოების მუშაობის ანგარიში

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა თბილისის შრომის სასამართლოების მუშაობის ანგარიში. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ამ სასამართლოების მუშაობაში საერთოდ სწორად ტარდება კლასიური ხაზი შრომის კონფლიქტების მოსაგვარებლად, თუმცა ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს საქმის წარმოების და საქმეების გარჩევის დარგში. კანცელიარიებში აღმოჩნდა უსისტემობა და დაუდევრობა, საქმეები დიდი დაგვიანებით ირჩეოდა, ჰქონდა ადგილი შემთხვევებს, როცა უმიზეზოდ სდებდნენ საქმეებს, არ ხდებოდა საქმეების წინასწარ შესწავლა და გაცნობა, რაც შედეგად იწვევდა საქმის ჩაშლას. კოლეგიამ გამოიმუშავა ზომები აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

სპეციალური სათემო კომისიები

იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამუშავებს პროექტს, რომლის მიხედვით დაარსებული უნდა იქნეს სპეციალური სათემო კომისიები წვრილ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად. პრო ლო მომავალში განიხილავს კომისი

დახმარება დაზღვეულებს

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილების ცნობით, თბილისში მცხოვრებ დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმეზე 1927-28 წლის პირველ ნახევარში დაიხარჯა 306.749 მანეთი. აქედან 284.363 მ. დაიხარჯა დაზღვეულებზე უფასო წამლეულობის გასაცემად. წლის პირველ ნახევართან შედარებით, საანგარიშო პერიოდში დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმეზე დაიხარჯა 36.884 მანეთით მეტი.

შედარებით საანგარიშო პერიოდში მეტი თანხების დახარჯვა გამოიწვია ზამთარში და გაზაფხულზე გადამდებ სენების (გრიპი, ქუნთრუშა, დიფტერიტი) გავრცელებამ, რასაც წელს უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა, ვინემ შარშან.

გარდა ამისა წელს გაცილებით მეტი იყო საავადმყოფოებში დაზღვეულთა მოთავსების რიცხვი, გაიზარდა აგრეთვე დაზღვეულთა რაოდენობაც. გასულ საანგარიშო წელში თბილისში ირიცხებოდა 44.151 დაზღვეული ოჯახის წევრების ჩაუთვლელად, წელს კი მათი რიცხვი აღწევს 48.126 კაცს.

შარშან, საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ამბულატორიებში გაიარა 172.312 დაზღვეულმა, განმეორებით—499.000 კაცმა, სულ—671.945.

წელს ამბულატორიებში პირველად განვლილთა რიცხვი უდრის—188.301 კაცს, განმეორებით—525.262. ამ რიგათ წელს ამბულატორიებში გაუვლია 713.563 სულს, ანუ შარშანდელთან შედარებით 41.618 კაცით მეტს. საუბნო ექიმებს გასული წლის პირველ ნახევარში ბინებზე პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 63.981 ავადმყოფ დაზღვეულს, განმეორებით—53.439 კაცს, სულ საუბნო ექიმებმა შარშან ავადმყოფები ბინებზე ინახულეს 117.420-ჯერ.

წელს კი საუბნო ექიმებმა ბინებზე პირველად ინახულეს—65.239 ავადმყოფი, განმეორებით—61.634, სულ 126.872 ავადმყოფი.

სპეციალისტ ექიმებმა და კონსულტაციებმა შარშან გასინჯეს—17.417 ავადმყოფი, წელს —26.793.

წელს დაზღვეულ ავადმყოფებს წამლეულობა ეძლეოდა სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქებიდან, რაც აბრკოლებდა წამლების თავის დროზე გაცემას და გარდა ამისა ადგილი ჰქონდა რიგებს.

ამასთანავე სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქებში გასაცემ წამლეულობის კატალოგი განსაზღვრული იყო, სახმედვაჭრობის აფთიაქებში კი იშოვებოდა ყოველგვარი წამალი.

ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლად გადაწყვეტილია გაერთიანებული იქნეს სახმედვაჭრობისა და სააფთიაქო სამმართველოს როგორც აპარატი, ისე აფთიაქები; გაერთიანების შემდეგ დაზღვეულებს წამლეულობა მიეცემათ ყველა აფთიაქებიდან დაუბრკოლებლად.

ჩვენ გთხოვთ აცნობოთ ყრილობას, რომ ჩვენი არტელის მოწყობას უკვე ნახევარი წელიწადია აბრკოლებს ამ წესდებების უქონლობა. ასეთივე მდგომარეობაშია ბოგუნოვსკის არტელი, რომელიც ჩვენს მეზობლადაა, და აგრეთვე მთელი რიგი სხვა არტელები და კოლმეურნეობანი.

ჩვენ მოველით ყრილობისაგან:

1. რას იტყვის ყრილობა კოლმეურნეობათა იმ ახალი მუშაკებისა და ორგანიზატორების მომზადებაზე, რომლებიც ჩვენ თითქმის სრულიად არ გვყავს.

2. რას იტყვის ყრილობა კოლმეურნეობის შესახებ წიგნაკების გამოცემაზე, ვინაიდან უწიგნოთ ჩვენ ბრმად ვმუშაობთ, და რას იტყვის აგრეთვე ის წესდების გამოცემაზე, რომლებიც ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა გვქონდეს.

3. რას იტყვის ყრილობა იმის შესახებ, რომ მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს კოლმეურნეობათა, განსაკუთრებით ღარიბ კოლმეურნეობათა აგრონოდახმარებას.

ჩვენ მხურვალე სალამს უძღვნით ყრილობას, ვუსურვებთ მას ყველა საკითხების წარმატებით გადაჭრას და იმედი გვაქვს, რომ ის ამ საკითხებს გადასჭრის".

ამის შემდეგ მიდის მრავალი ხელისმოწერა.

თურმე არა მარტო მეურნეობა ყოფილა მბლე, არამედ კიდევ ვიღაც სხვა უფრო მაღლა მდგომიც. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებმა მდინარეები და ზღვები გადალახეს, მაგრამ წესდებაზე მოიტეხეს ფეხი.

ყოველივე ეს ლაპარაკობს კულტურის შესახებ, იმის შესახებ, რომ კულტურის გარეშე არავითარი კოლმეურნეობის მშენებლობა არ შეიძლება და რომ ჩვენი კულტურა ჯერ კიდევ ისეთი „მბლე" და დაბალია, რომ წესდების დაბეჭდვაც კი არ შეუძლიათ ჩვენს ორგანიზაციებს თავის დროზე, რომ ჩვენი კულტურა ისეთი „მბლე" და დაბალია, რომ ხალხს ვერ წარმოუდგენია, თუ კოლმეურნეობის მოწყობა შეიძლება დაბეჭდილი წესდების გარეშე.

რა თქმა უნდა, თქვენ სამართლიანად მოიქცევით, თუ კარგად შეატყობთ დამნაშავეთ, რომლებმაც თავის დროზე არ დაბეჭდეს კოლმეურნეობათა წესდება. ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთ მარტივ ამოცანას, როგორიცაა წესდების საკმაო რაოდენობით დაბეჭდვაა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელობა უახლოეს დროში გადასჭრის.

მაგრამ აქ საქმეს მეორე მხარეც აქვს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი. აქ აშკარავდება ჩვენი მუშაობის, სერიოზული ნაკლი, რომლის აღმოფხვრაც არც ისე ადვილია.

აბა, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო სტამბაში დაბეჭდილი წესდება კოლმეურნეობათა დასამტკიცებლად? **რატომ საგუბერნიო აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებას, სამაზრო აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებას, კოოპერაციას ან სხვა რომელიმე ორგანოს არ შეუძლია ამა თუ იმ კოლმეურნეობის დამტკიცება დაწერილი დოკუმენტით, ნუ თუ ამისათვის აუცილებლად დაბეჭდილი დოკუმენტია საჭირო?** აი სადაა კულტურის მთავარი ნაკლი. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ ქაღალდისადმი კიდევ შეგვრჩა განსაკუთრებული მოწიწება. ჩვენ, როგორც ხშირად ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა, როცა საქმე დიდ რაიმეს ეხება, მსოფლიოს ვარყევთ, ხოლო ქაღალდის წინაშე კი არაჩვეულებრივად ვკანკალებთ.

ეს ფაქტები მოწმობს ამ საქმის უკიდურეს ბიუროკრატიზმს, როცა კოლმეურნეობებს არ ატარებენ რეგისტრაციაში იმიტომ, რომ განცხადებებს თან არ ერთვის სტამბაში დაბეჭდილი წესდება.

ჩვენ უამრავი კულტურული ამოცანა უნდა გადავჭრათ: ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ კოლმეურნეობებში იყოს სკოლები, რომ გაფართოვდეს სამკითხველოების ქსელი. საჭიროა კოლმეურნეობათა მუშაკების კადრების მომზადება და სხვა კულტურულ ამოცანების გადაჭრა, მაგრამ ამასთანავე ერთად **კოლმეურნეობის თითოეულმა მუშაკმა უნდა იცოდეს, რომ საჭიროა ქაღალდის დაბრკოლებების რევოლიუციონური გზით გადალახვა. იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობას არ დაამტკიცებენ ფორმალური მიზეზების გამო იმიტომ, რომ ქაღალდი არა აქვს მას, იყვირეთ რაც ძალი და ღონე გაქონდესთ, მოითხოვეთ პასუხი მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და გაზეთების საშუალებით, მიეცით პასუხისგებაში ბიუროკრატები.**

კულაკის ხრიკები

შემდეგი საკითხი ეხება კულაკის მახინაციებს, რომლებსაც ხშირად მიმართავს ის, რათა, როგორმე გაძვრეს კოლმეურნეობაში.

მე ამას წინად ვიყავი სმოლენსკის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, სადაც წავაწყდი მთელ რიგ მაგალითებს, რომლებიც მოწმობენ იმას, თუ როგორ მახინაციებს მიმართავს კულაკი იმისათვის, რომ გაძვრეს კოლმეურნეობაში.

აი, პირველი მაგალითი სმოლენსკის გუბერნიის ერთ-ერთ თემში ცხოვრობს ვინმე აზაროვი, რომელმაც 1922 წელს ხელთ იგდო დიდი მამული. მან რაღაც კომბინაციებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რა თქმა უნდა თავისი შვილების — კომუნისტების დახმარებით, მიაღწია შესაფერ ინსტანციებში რამდენიმე ათეულ ჰექტარ სახნავ მიწის, ხიმოვრების და ტყის დამტკიცება თავის სარგებლობაში.

გლეხებმა რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა გადაესახლებინათ აზაროვი, ან შეემცირებინათ მისთვის მიწადსარგებლობა.

მაგრამ აზაროვს არ ასახლებენ იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გაიხრწნა, მას სათავეში მოექცნენ კულაკები და ყოფილი მენშევიკები.

უკანასკნელ დროს აზაროვი ხედავს, რომ სმოლენსკის ადგილობრივი გახრწნილი ჯგუფის აღსასრულის დღე დადგა, რომ მასაც ხელს არ დააყრიან და გადასწყვიტა მოაწყოს არტელი „კოლექტივი". ის ხედავს, რომ თანამდებობიდან ხსნიან გახრწნილ ელემენტებს, აწყობს არტელს, მაგრამ არა უმტკიცებენ არტელს და ის მიდის ყველა ინსტანციაში, მოსკოვშიაც კი, და სჩივის, რომ მას არ აძლევენ არტელის მოწყობის საშუალებას. აი იმის მაგალითი, თუ როგორი მოხვეულმოხვეული გზებით ცდილობს მტერი თავისი მიზნის მიღწევას.

მეორე მაგალითი. ვინმე ვაშჩენკოს აქვს 80 ჰექტარი მიწა. მიიღეთ მხედველობაში, რომ მას 80 ჰექტარი მიწა აქვს არა უკრაინაში ან სხვა რომელიმე ადგილას, არამედ სმოლენსკის გუბერნიაში. ვაშჩენკო გაქნილი კაცია. ის მინიმალურ გადასახადს იხდის. გლეხები მუშაობენ მისთვის, თივისა და რამდენიმე კილო პურისათვის. თუ მან სხვისი ცხენი დაიჭირა თავის სათივარში, ის ცხენის პატრონ-გლეხს ახდევინებს მეფის ხუთმანეთიანს, სხვა ფულს არ ღებულობს. როცა ერთი გლეხის ქალს არ აღმოაჩნდა ასეთი ფული, ვაშჩენკომ მას გოჭი წაართვა. „მის" ტყეში, რომ გლეხი სოკოს საკრეფად წავიდეს, გლეხი ვალდებულია ვაშჩენკოს სასარგებლოდ იმუშაოს.

ასე ცხოვრობდა ვაშჩენკო.

მაგრამ სმოლენსკის ბუნაგამდეც მიაღწია. პარტიიდან გამორიცხეს ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები—პარტიის გუბკომის მდივანი და საგუბერნიო პროფსაბჭოს თავჯდომ., რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშებსა და პარტიულ ამხანაგებს სისაძაგლის აღმოფხვრაში, დაპატიმრებულია ასამდე კაცი. მათ შორის მეტი წილი კომუნისტებია, რომელთაც ბრალდებათ სისხლის სამართლის დანაშაული. ვაშჩენკო შეშფოთებულია, ეშინია, რომ მასაც წვდებიან.

სურათი ასეთია. ჩავდივარ სოფელში. მოდის ჩემთან საწყალი გლეხი და მეუბნება.

— „თემამასკომი ხელს მიშლის მოვაწყო არტელი".

კარგად გამოვკითხე რაში იყო საქმე. კვლავ მეუბნება:—„არტელი გვინდა მოვაწყოთ".

ვეკითხები—სად?

მიპასუხებს:

„ვაშჩენკოს მიწაზე".

საქმე შემდეგშია: ვაშჩენკომ გადასწყვიტა ეხლაც მოენახა გამოსავალი—მოეწყო არტელი. მან შეაგროვა ლატაკი გლეხები და გამოგზავნა, ალბად ამისთვის ფულიც მისცა მათ, ეს გლეხები შუამდგომლობენ ნება დართონ მათ მოაწყონ არტელი. ვაშჩენკო კი ასე ფიქრობს: მოვიცდი ცოტა ხანს, შემდეგ ამ არტელს გავაუქმებ და დამრჩება არა მარტო 80 ჰექტარი მიწა, არამედ კიდევ კრედიტიც არტელის მარკით.

აი კულაკის მახინაციების მეორე მაგალითიც.

დასკვნა მაგალითებიდან (მე შემიძლია ბევრი ასეთი მაგალითები მოვიყვანო) ერთია: ჩვენი მტერი მეტად ცბიერია. ათი წლის განმავლობაში ჩვენც ვსწავლობთ და ისიც სწავლობს და იმის ფიქრი, რომ ჩვენი მტერი ისეთი უსწავლელია, როგორიც ის 1917 წ. იყო—არ შეიძლება. ის გაცილებით უფრო ცბიერი გახდა და ჩვენც ამიტომ მეტი გამჭრიახობა უნდა გამოვიჩინოთ, რომ აქა-იქ ვაშჩენკოებმა და აზაროვებმა არ გაგვაცურონ.

ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ, ვინაიდან ამ საქმეზე დიდძალი საშუალებები იხარჯება. სახელმწიფოს დახმარება ყოველწლიურად გაიზრდება და ყოველგვარ აზაროვებსა და ვაშჩენკოებს, რომლებიც დიდ საქმეს შებღალვას ცდილობენ, არ უნდა მივსცეთ იმის შესაძლებლობა, რომ სახელი გაგვიტეხონ, შეგვარცხვინონ და დაგვცინონ.

წინ—კოლექტიური მოძრაობის უმაღლეს საფეხურისაკენ!

დასასრულ ნება მომეცით შევჩერდე მხოლოდ ერთ საკითხზე. წელს, გაზაფხულზე, საერთოდ იმ მომენტში, როცა ჩვენ ყრილობა მოვიწვიეთ, კოლმეურნეობათა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა (კოლმეურნეობათა საბჭოს დაახლოებითი ცნობებით).

მიმდინარე წლის გაზაფხულამდე კოლმეურნეობათა შორის არტელების რიცხვი 46 პროც. უდრიდა, კომუნების—7 პროც., მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი—46 პროც.

წელს უკრაინაში ახლად შექმნილ კოლმეურნეობებიდან, წინასწარი ცნობებით, კომუნების რიცხვი 0,4 პროც. უდრის, არტელების —7,6 პროც. და მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელ ამხანაგობების რიცხვი—92 პროც.

მიმდინარე წლის გაზაფხულამდე მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელი ამხანაგობანი ყველა კოლმეურნეობათა ნახევარზე ნაკლებს შეადგენენ. გაზაფხულის დაწყებიდან ისინი ყველა კოლმეურნეობათა სამი მეოთხ. შეადგენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ წელს იცვლება კოლმეურნეობათა მშენებლობის სახე და ამასთანავე ერთად იზრდება ახალი საფრთხეც.

კოლმეურნეობათა არაჩვეულებრივ ზრდას წელს თან სდევს საფრთხეც. ეს სჩანს იქიდან, თუ რას წარმოადგენენ მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელი ამხანაგობანი და საწარმოო საშუალებების რა ნაწილი იყო მათში განსაზოგადოებული.

რ.ს.ფ.ს.რ. მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელ ამხანაგობებში ასეთი მდგომარეობაა: ცხენები განსაზოგადოებულია 3 პროც., ძროხები—3 პროც., გუთნები—22 პროც., სათესი მანქანები—24 პროც., სამკალი მანქანები—18 პროც., საფქვავი მანქანები—75 პროც., ტრაქტორები—92 პროც., საცხოვრებელი ბინები— 3 პროც., მიწა—33 პროც., ნათესი—18 პროც.

ეს ძველ ამხანაგობებში. მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელ ახალ ამხანაგობებში, ცხადია, განსაზოგადოებულ კაპიტალის ელემენტები კიდევ უფრო ნაკლებია.

აქედან აშკარაა, რომ მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელი ამხ.-ნი კოლმეურნ. მშენებლობის განვითარების ისეთ საფეხურს წარმოადგენენ, რომლიდანაც ადვილად შეიძლება ფეხის დაცდენა და უკან დაქანება. მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელ ამხანაგობებისაგან შეიძლება ნამდვილი კოლმეურნეობის შექმნა, მაგრამ რთული მანქანების სიმცირისა, ცუდი ხელმძღვანელობისა და მიწათმოუწყობლობის გამო, ისინი ადვილად დაქანდებიან უკან, ინდივიდუალურ მეურნეობისაკენ.

თუ გვსურს გამარჯვებული გამოვიდეთ ამ გაზაფხულიდან, ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს მიწის საზოგადოებრივი წესით დამმუშავებელი ამხანაგობანი უნდა გადავიყვანოთ კოლექტიური ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, ე. ი. გარდავქმნათ ისინი ნამდვილ არტელებად.

ყველა ის საკითხები, რომელთა შესახებაც მე ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში—კოლმეურნეობათა ნამდვილ მსხვილ სამანქანო მეურნეობად გარდაქმნისა და მსხვილი მანქანების სარგებლიანობის საკითხი, კაპიტალის განსაზოგადოებული ნაწილის ნამდვილი ზრდის საკითხი, შრომის ორგანიზაციის რაციონალური მეთოდების საკითხი,—ყველა ეს საკითხები ჩვენ უნდა გავუშუქოთ მიმდინარე წლის გაზაფხულზე შექმნილ მარტივ ამხანაგობებს იმ მიზნით, რომ მომავალ წელში ამ ამხანაგობათა 20—40 პროც. მაინც გადავიყვანოთ კოლექტიური ორგანიზაციის საფეხურზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გაზაფხულზე შექმნილი ამხანაგობანი მხოლოდ სიტყვაზე აგებული ხუხულა იქნება. ერთ მშვენიერ დღეს ვნახავ, რომ ქარმა წამოუბერა და ეს ხუხულა დაინგრა, **ჩვენ კი გვჭირდება არა ხუხულა, არამედ გლეხის მიწაში ღრმად გავლებული კვალი რომელსაც ვერავითარი ქარი ვერ წაშლის.** (მქუხარე ტაში).

ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენ სავსებით შევიგნოთ არსებული მდგომარეობა, შევიგნოთ ჩვენი მიღწევები და მხედველობიდან არ გაუშვათ არც ერთი სერიოზული ხიფათი. ჩვენთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მარტივი ამხანაგობა კოლექტიური მოძრაობის ძირითად სახედ იქცა. **თუ უახლოეს ერთი-ორი წლის განმავლობაში ვერ შევსძელით მარტივ ამხანაგობების უფრო რთულ ამხანაგობებად გარდაქმნა,—ჩვენ ვერ მივაღწევთ ნამდვილ წარმატებას, ჩვენ შეგვრჩება მხოლოდ მოჩვენება, რომელმაც ამ გაზაფხულზე გაგვიღიმა.**

ამიტომ ძველი კომუნები და ძველი კოლმეურნეობანი ეხლავე უნდა გამოვიდნენ არა მარტო როგორც საკუთარი თავის ორგანიზატორები, არამედ როგორც ახალი კოლმეურნეობათა ორგანიზატორები, მარტივ ამხანაგობების ნამდვილ კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნის ორგანიზატორები.

ძველ კოლმეურნეობებსა და კომუნებს შეუძლიათ იკისრონ ეს ამოცანა, შეუძლიათ მისი წარმატებით გადაჭრა. (ტაში).

სხვადასხვა სახის კოლმეურნეობათა 1927 წ. მოსავლის გამოანგარიშებამ ცხადჰყო, რომ რაც უფრო მაღალი ტიპისაა კოლმეურნეობა, მით უფრო დიდია მისი მოსავალი. ამიტომ, როცა ჩვენ ვიმუშავებთ იმისათვის, რომ უმარტივესი ამხანაგობანი გადავაქციოთ არტელებად და კომუნებად, ჩვენ მოუწოდებთ მათ იქითკენ, რომ დაბალი მოსავლიდან გადავიდნენ უფრო მაღალ მოსავალზე. **როცა ჩვენ უმარტივეს ამხანაგობებს პირდაპირ დაუყენებთ საკითხს მათი არტელებად და კომუნებად გადაქცევის შესახებ ჩვენ ვეტყვით მათ: გვსურთ ერთი დესეტინიდან 105 ფ. მიღება—ნუ შეჩერდებით მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელ ამხანაგობაზე და გასწით წინ არტელისაკენ და კომუნისაკენ.**

წინად შექმნილმა არტელებმა და კომუნებმა გვიჩვენეს ის გზა, რომლითაც უნდა იარონ ახლად ჩამოყალიბებულმა უმარტივესმა ამხანაგობებმა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-11 წელში და გლეხის მიწაზე კომუნების და არტელების გაჩენის მე-11 წელში. ჩვენ მივმართავთ მიწის საზოგადოებრივ წესით დამმუშავებელ ამხანაგობებს მოწოდებით—გადავიდნენ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, მოწოდებით, რომელიც ემყარება არა მარტო ჩვენს რწმენას მსხვილი მეურნეობის უპირატესობაზე, არამედ მრავალ ათას კოლმეურნეობათა გამოცდილებასაც. (ტაში).

არა მბრძანებლობა არამედ ყოველდღიური ამხანაგური დახმარება

სანამ ჩემ მოხსენებას დავამთავრებდე, ნება მომეცით დავაყენო ასეთ საკითხი: როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს არტელებსა და კომუნებს! კოლექტიური მოძრაობა არის ნამდვილი მასიური, ნებაყოფლობითი, ხალხური მოძრაობა. ის კანცელარიიდან როდი მოდის, ის წარმოშვა გლეხური მასების შეგნებამ, ის ემყარება სოფლის ღარიბ და საშუალო ფენების მნიშვნელოვანი ნაწილის იმ შეგნებას, რომ მიწის პატარა ნაკვეთებზე სახნისის მუშაობით არ შეიძლება ახალი ცხოვრების შექმნა. არ შეიძლება სიღატაკისაგან, უკულტურობისაგან და წვრილი მეურნეობის ვიწროობისაგან თავის დაღწევა. **ამიტომ ყველა ჩვენებმა, სახელმწიფო და პარ. ორგანოებმა, კოლმეურნეობათა მშენებლობას უნდა უხელმძღვანელოთ არა როგორც დეპარტამენტმა, არა როგორც ქვეგანყოფილების სექციამ ან სექციის ქვეგანყოფილებამ, არამედ როგორც ნამდვილ მასიურ მოძრაობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვს ფინანსიურ და საორგანიზაციო ხასიათის მთელ რიგ ღონისძიებებს. მოითხოვს მათ მუდმივ, მაგრამ არა მბრძანებლობის სახით, არამედ ნამდვილ საქმიან, ყოველდღიურ ამხანაგურ დახმარების სახით. ამაში მდგომარეობს ხელმძღვანელობის მეთოდების საკითხის მთელი მნიშვნელობა. თუ ჩვენ ამ ხელმძღვანელობას განვახორციელებთ, მაშინ, ჩვენ ახალ წარმატებას მივაღწევთ ამ საქმეში.**

ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენ აქ უფრო მეტი დაბრკოლებები გველობება წინ, ვიდრე ახალი ფაბრიკების მშენებლობის დროს. ჩვენ ახალ ფაბრიკებს ვაშენებთ დიდი გაჭირვებით, მაგრამ აქ ტეხნიკა, საწარმოო პროცესის მსვლელობისა და საწარმოო ორგანიზაციის სისტემის დარგში ჩვენ ვბაძავთ ამერიკელებსა და გერმანელებს. ჩვენ ვიმეორებთ იმას, რასაც სხვებმა უკვე მიაღწიეს, რაც უკვე შეთვისებული აქვთ მოწინავე ქვეყნებს. კოლმეურნეობათა მშენებლობაში კი ჩვენ ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ჩვენ წინამორბედი არა გვყავს. **საბჭოთა რესპუბლიკას არა ჰყავს წინამორბედი. თქვენ ხართ ახალი გზების ნამდვილი მაჩვენებლები, ახალი საქმის პიონერები კაცობრიობის ისტორიაში.** (ტაში).

თვითეულ კოლმეურნეობას, კოლმეურნეობის თვითეულ მუშაკს უნდა ესმოდეს, რომ ის არის ერთ-ერთი უდიდეს საქმის მონაწილე, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვან ამოცანის გადაჭრის მონაწილე.

როგორ უნდა აშენდეს სოციალიზმი სოფლად—აი რა დარგში სწერენ კოლმეურნეობანი ახალ სიტყვას კაცობრიობის ისტორიაში.

სოციალიზმი ხომ სპეციალურად ქალაქის მოვლენა არაა. სოციალიზმი გულისხმობს საზოგადოებრივ მეურნეობის მთლიან სისტემას, რომელშიაც შევა ქალაქიც და სოფელიც და რომელიც სპობს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ უფსკრულს, ეს კოლმეურნეობის თვითეულმა მუშაკმა უნდა შეიგნოს და ამ შეგნებით ჩვენ ყოველგვარ დაბრკოლებას გადავლახავთ. (ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკავშირის ინსტრუქტორთა მეექვსე ყრილობა

საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები

ყრილობაზე ცეკავშირის საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. იარალოვმა.

რა ამოცანები სდგას ცეკავშირის წინაშე და რა საკითხის მოგვარებას უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება? მომხსენებელმა აღიარა, რომ ცეკავშირის წინაშე მდგარ ამოცანათა შორის უფრო საყურადღებოა—სამომხმარებლო კოოპერაციის ხვედრითი წონის გაძლიერება ბაზარზე, დანართი და ხაშუამავლო ხარჯების შემცირება, მოსახლეობის ფართო მასების კოოპერატიულად შეკავშირება, პროფესიონალურ კავშირთა წევრების სრული ჩაბმა კოოპერატიულ საქმიანობაში და სხვა.

ყველა ამ ამოცანათა მისაღწევად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია—ღარიბთა ფონდების მიზანშეწონილად და სავსებით გამოყენება, ზომების მიღება კოოპერატივების წევრთა და მათ რწმუნებულთა აქტიობის გასაძლიერებლად, მომხმარებელთა მატერიალური დაინტერესების ფორმების გამონახვა და სხვ.

მომხსენებელს ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია, ყურადღება მიექცეს ინსტრუქტორების მომზადებას, რადგანაც მომზადებული ინსტრუქტორები უფრო კარგად შესძლებენ ნაკისრი მოვალეობის შესრულებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საორგანიზაციო მუშაობაში დასახულ საკითხების ჯეროვანად მოგვარებას.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც გამოსული ორატორები ეხებოდენ მომავალი საორგანიზაციო მუშაობის გეგმას და აკრიტიკებდენ ამ გეგმის სუსტ მხარეებს. ოპონენტები აღნიშნავდენ, რომ დასახულ ამოცანათა მისაღწევად საჭიროა არა მარტო ის, რომ ინსტრუქტორები იყვნენ კარგად მომზადებულნი, არამედ ისიც, რომ ადგილობრივი კოოპერატიული მუშაკებიც თავის სიმაღლეზე იდგენ. ამჟამად კი, ზოგიერთი ორატორის ცნობებით, ადგილებზე მომუშავეებს არა აქვთ იმდენი ცოდნა და გამოცდილება, რომ დასახული ამოცანების შესრულება შესძლონ.

კამათში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ მომავალი მუშაობისათვის საჭიროა არის წინასწარ მოისპოს ყველა ის შეუსაბამობები, რომელთაც ამჟამად აქვთ ადგილი. ასეთია მაგალითად ის, რომ ერთი რომელიმე კოოპერატივის მუშაკს ეძლევა განსაზღვრული რაოდენობის ხელფასი, ხოლო მეზობელ სოფელში, შეგავსივე კოოპერატივის ისეთივე მუშაკი ღებულობს ან მეტს, ან ნაკლებს. გარდა ამისა არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთგან ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანოები თავისებურად ერევიან კოოპერატივების საქმეებში. ყრილობაზე გამოთქმული საერთო აზრით, ყველა ასეთი დეფექტები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული.

სხდომის დასასრულს, ყრილობამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო ადგილებიდან ჩამოსული ინსტრუქტორების მოხსენებათა საერთო შეფასება.

ყრილობის მუშაობის მეოთხე დღის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შ. გოგებაშვილის ინფორმაცია „ცენტროსოიუზის" მიერ მოწვეულ სრ. საკავშირო კოოპერატიულ საორგანიზაციო თათბირის შესახებ.

მოხსენების გარშემო შეკითხვების მიცემის შემდეგ ყრილობაზე გაიხსნა მსჯელობა თბილისის მუშკოოპთან და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ყრილობაზე გამოთქმული იქნა სურვილი, რომ როგორც მუშკოოპთან, ისე სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან დამყარებული იქნეს მჭიდრო კონტაქტი, რომ შესაძლებელი გახდეს გამოცდილებათა ურთიერთი გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად კოოპერატიული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მუშაობას.

მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარებლად

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საქართველოში მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარების 5-წლიანი პერსპექტიული გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით, მომავალ საანგარიშო წლიდან საქართველოში უნდა ჩატარდეს იმ რაიონების დაწვრილებითი ეკონომიური სტატისტიკური გამოკვლევა, სადაც ამჟამად მისდევენ მებაღეობას; აგრეთვე გამოკვლეული იქნება ისეთი რაიონებიც, სადაც ჯერ არ არის განვითარებული მეხილეობა, მაგრამ მომავალში შესაძლებელია მეხილეობა-მებოსტნეობის მეურნეობის წარმოება და აყვავება.

ჩატარებულ გამოკვლევის მიხედვით შემუშავდება უფრო მომგებიან ჯიშიან ხეხილების ტიპი და დაწესებული იქნება საქართველოს ხილის სტანდარტი.

მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარების მიზნით, და მის სამრეწველო საფუძვლებზე ჩამოსაყალიბებლად მეხილეობის რაიონებში მოეწყობა სპეციალური სასწავლებლები, საცდელ-საჩვენებელი პუნქტები, საგლეხო კურსები, სანერგეები, სელექციური სადგურები და სხვ.

ამავე გეგმით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოეწყობა 30 ხილის შესანახავი საწყობი, და 8 ახალი საკონსერვო ფაბრიკა. ასეთი ფაბრიკები მოეწყობა ქუთაისში, სამტრედიაში, ოზურგეთში, გორში, ტყვიავში, საქაშეთში, ახალციხეში და ყარაიაზში. თვითეულ ფაბრიკის მოწყობა დაჯდება 67.000 მანეთი და გამოიმუშავებს 40—50.000 ფუთ პროდუქციას.

ხილის სახმობი საწყობები იქნება მოძრავი ტიპის, თვითეულ მათგანის მოწყობა დაჯდება 3.000 მანეთი. თითო მოძრავი სახმობი საწყობი დღიურად გადაამუშავებს 100 ფ. ნედლ ხილს.

გარდა ამისა განზრახულია მოეწყოს უძრავი ტიპის ხილის სახმობი საწყობები პოლეიცკის სისტემისა, რიცხვით 11. თვითეულ მათგანის მოწყობა დაჯდება 25.000 მ. და დღიურად გადაამუშავებს 300 ფუთამდე ნედლ ხილს.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობით, პურეულის ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში 15 ივნისისთვის შეფასებულია 3,4 ბალით.

კერძოთ საქართველოში—3,3; აზერბეიჯანში—3,5 და სომხეთში 3,3 ბალით.

ბამბის ნათესების მდგომარეობა აზერბეიჯანში გამოიხატება—3,2 საქართველოში—3,0 და სომხეთში—3,3 ბალით. ვენახების და ხილის ბაღების მდგომარეობა საქართველოში—3,6; აზერბეიჯანში—3,3 და სომხეთში—3,6.

საერთოთ ყველა სას.-სამ. კულტურათა მდგომარეობა 15 ივნისისათვის უახლოვდება საშუალოზე მაღალს.

ივნისის პირველ ნახევარს სომხეთსა და საქართველოში ახასიათებს დაბალი ტემპერატურა და ხშირი წვიმები. აზერბეიჯანის დაბლობ ადგილებში იდგა გვალვა, რამაც ხელი შეუწყო პურეულის დამწიფებას და ზოგიერთ ადგილებში აკრეფასაც.

საქართველოსა და სომხეთში წვიმიანმა ამინდებმა ხელი შეუშალა პურეულის ამოსვლას.

აღნიშნული პერიოდის დაბალი ტემპერატურა ვერ შეაფერხებს ძვირფას კულტურათა ნათესების ამოსვლა-განვითარებას

საერთოთ საანგარიშო პერიოდის ამინდი მიუხედავათ დაბალი ტემპერატურისა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ.

სახ. დაზღვევის მოგებათა ანარიცხების განაწილება

სახელმწიფო დაზღვევის 1926—27 წლის მოგებათა ანარიცხებიდან ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია 153.635 მან., რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ხანძართან და სეტყვასთან ბრძოლის მიზნებისათვის.

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ ეს თანხა შემდეგ ნაირად გაანაწილა: ხანძართან ბრძოლის მიზნებისათვის გამოყო 105.421 მ. აქედან საქართველოს მიეცა—62.993 მან. აზერბეიჯანს—33.889 მან. და სომხეთს—8.538 მ. სეტყვასთან საბრძოლველად საქართველოს მიეცა—14.900 მან. აზერბეიჯანს—1.007 მან. და სომხეთს—1.030 მან. დანარჩენი თანხიდან —15.397 მან. გადარიცხულია სათადარიგო ფონდში და გამოყენებული იქნება ხანძრის და სეტყვის განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ა.-კ. სახ. დაზღვევის გამგეობას დაევალა გამოიკვლიოს საქონლის დიდი სიკვდილიანობის მიზეზები ამიერ-კავკასიაში. ამ მიზნისათვის ა.-კ. სახ. დაზღვევის გამგეობას გადაეცა 16.220 მანეთი. გამოკვლევა ჩატარებული უნდა იქნეს რესპუბლიკანურ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით.

ა.-კ. სახ. დაზღვევის გამგეობას წინადადება მიეცა—იმ შემთხვევაში თუ რესპუბლიკები არ გამოიყენებენ ხანძარისა და სეტყვასთან ბრძოლის მიზნით მათთვის მიკუთვნებულ თანხებს—ეს თანხები გადაირიცხოს ა.-კ. სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდში.

მალარიასთან ბრძოლის გეგმა

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ განიხილა მალარიასთან ბრძოლის გეგმა ზაფხულსა და შემოდგომის განმავლობაში. გეგმა დაამუშავა ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიურმა განყოფილებამ, რომელმაც მალარიასთან ბრძოლის გეგმას დაურთო აგრეთვე სამუშაო პროგრამაც.

მალარიასთან ბრძოლის საქმეში გადაწყვეტილია ჩააბან მოსახლეობის ფართო ფენებიც. გადაწყვეტილია აგრეთვე დამყარებული იქნას მჭიდრო კონტაქტი მალარიასთან ბრძოლის საქმეში, ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციებსა, ცენტრალურ სამკურნალო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და მშრომელ გლეხობის შორის. ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ დღემდე მალარიასთან ბრძოლას აწარმოებდა მარტო ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი და მისი განყოფილებები ადგილებზე—სამალარიო სადგურები. აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობა არ გამოდგა საკმარისი იმისათვის, რომ მალარიით დაავადება შემცირებულიყო, ამიტომ ჯანსახკომმა გადასწყვიტა აღნიშნულ სენთან ბრძოლის საქმეში ჩააბას ფართო მასები.

ახლო ხანში ჯანსახკომის ინიციატივით ყველა სამალარიო რაიონებში ჩატარდება ადგილობრივ ექიმთა კონფერენციები, რომლებზედაც მოწვეული იქნებიან ხელისუფლებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და გლეხები. ამ კონფერენციებზე განიხილავენ მალარიასთან ბრძოლის საკითხებს.

საიმპორტო კონტინგენტის განაწილება

საკავშირო საიმპორტო კონტინგენტიდან საქართველოს კომუნალურ მეურნეობათათვის გამოყოფილია კონტინგენტი 107.200 მანეთის ღირებულებით. საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის დადგენილებით ამ კონტინგენტიდან კაპიტალურ საჭიროებათათვის გამოყოფილია 96.900 მან., რომელიც განაწილებულია შემდეგ ნაირათ: ქუთაისის აღმასკომს—5.675 მ., თელავის აღმასკომს—1.525 მან. და თბილისის აღმასკომს—89.700 მან. ელექტრო საჭიროებათათვის გამოყოფილია 5.300 მან., აქედან ფოთის აღმასკომს—4.150 მან., ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს—600 მან. და თბილისის აღმასკომს—550 მანეთი. თბილისის აღმასკომის საამშენებლო საჭიროებათა მოსაწყობათ გამოყოფილია 5.300 მან.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

ტეხნიკური დახმარება

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიიღო 8.000 მანეთი, რომელიც უნდა გადაეცეს ამ.-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატებს ტრაქტორიზაციის დროს ტეხნიკური დახმარების საქმეზე მოსახმარად. ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანს—4.576 მანეთი, საქართველოს—1.720 მან. და სომხეთს—1.704 მანეთი.

ამას გარდა, იმავე მიზნისათვის ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიიღო „ზაკსელმაშ"-იდან 6.400 მანეთი; ეს თანხა წარმოადგენს ანარიცხებს გაყიდული ტრაქტორებიდან. თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: 3.200 მანეთი მიეცა საქართველოს, 2.000 მანეთი აზერბეიჯანს და 1.200 მანეთი სომხეთს.

ქრონიკა

ავსტრიის ელჩის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის საგანგებო საქმეთა ელჩი თურქეთში ბ. ავგუსტ კოვალი.

მებამბეობის რაიონების გამოსაკვლევათ

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის ხელმძღვანელი ინჟ. ა. გოვერტი.

ინჟ. გოვერტის თავმჯდომარეობით დანიშნულ კომისიას დავალებული აქვს ამიერ-კავკასიაში მებამბეობის რაიონების გამოკვლევა.

სას. სამ. კრედიტის სისტემის გამოკვლევა

საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ივლისის განმავლობაში ჩატარებული იქნება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის გამოკვლევა. საქართველოში გამოკვლევა ჩატარდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელობით. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბანკების, ფინანსთა სახ. კომისარიატის და „სოფლის კავშირის" წარმომადგენლები. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ძირითად ქსელში ჩატარებული იქნება შერჩევითი გამოკვლევა.

კონკურსი საუკეთესო სას. სამ. საკრ. ამხანაგობაზე

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატთან არსებულ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის საკონკურსო კომიტეტის დადგენილებით, სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა მეორე საკავშირო კონკურსზე საქართველოდან წარდგენილი არიან თელავის, ველისციხის, ლაგოდეხის, ახალქალაქის და კურსების სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობები. კონკურსი დამთავრდება 15 სექტემბრისათვის. დაჯილდოვებულ ამხანაგობებს მიეცემათ ფულადი პრემია და სათანადო ატესტაცია.

დახმარება დაზღვეულებს

საქართველოს სოციალურ დაზღვევის სამართველოს დადგენილებით, 1 ივლისიდან დაიწყება დამატებითი დახმარებათა გაცემის საქმის რეორგანიზაცია.

რეორგანიზაცია შეეხება დახმარების გაცემას შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო.

1 ივლისიდან ასეთი დახმარებები გაცემული იქნება წარმოებებშივე დამზღვევ სალაროს თანამშრომლების საშუალებით.

დახმარების გაცემა პირველ რიგში იწარმოებს ისეთ წარმოებებში, სადაც დაზღვეულთა რიცხვი 100 ნაკლები არ არის.

წარმოებებში დახმარების საცდელი გაცემა 1 ივლისიდან იწარმოებს მხოლოდ ვერის რაიონის წარმოებებში, როგორიც არის აგურის ქარხნები, თამბაქოს ქარხანა და სხ.

წყალსადენის საზეიმო გახსნა ხაშმში

24 ივნისს სოფ. ხაშმში (თბილისის მაზრა) მოხდა წყალსადენის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრენ თბილისის აღმასკომის წარმომადგენლები ამხ. თხილავა და ინჟ. ქურდიანი.

წყალსადენი გამოყვანილია 6 კილომეტრის დაშორებით მდებარე მთიდან. მისი გამოყვანა დაჯდა 35.000 მანეთი.

ხაშმში ითვლება 800 კომლი, რომლებიც დღემდე დიდ გაჭირვებას განიცდიდენ სასმელი წყლის უქონლობის გამო.

წყალსადენის გახსნას აუარებელი ხალხი დაესწრო.

ახალი მატარებელი

17 ივნისიდან ხაშურსა და ბორჯომს შუა დაინიშნა სამგზავრო მატარებელი № 3-4. მატარებლის შემადგენლობაში არის ერთი პირდაპირი ვაგონი—თბილისი-ბორჯომი.

თბილისის აღმასკომში

◆ საგალეტე და ტკბილეულობის ქარხნის გასაფართოებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 40.000 მანეთი.

◆ საძეხვე ქარხანა. თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას გადაეცა „მიასოტორგი"-ს საძეხვე ქარხანა.

განათლების კომისარიატში

◆ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით სათანადო მოწმობებთან ერთად უსათუოდ უნდა წარადგინონ მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ

◆ გამოცდები. უმ. სასწავ. შესვლელისათვის გამოცდები იწარმოებს იმ საგნებში და იმავე პროგრამით, როგორიც შარშან.

სხვადასხვა

◆ სახალხო სახლი. სოფ. მიხაილოვკაში სახალხო სახლის ასაგებათ სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 2500 მ.

◆ ქართველ მხატვართა საზოგადოების დარბაზში კვირას გაიხსნება მხატვრულ-დეკორატიულ ნაწარმოების გამოფენა. ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფის გამოფენა დაიხურება შაბათს.

◆ აბანო. ჯანსახკომმა დაამტკიცა თელავში ახალი აბანოს აგების ხარჯთაღრიცხვა 33.475 მ. რაოდენობით.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ასტრახანიდან—კლამაძეს, ლიუბშმბორგიდან—საბახტარიშვილს, გორიდან—დასამიძეს, ხრესილიდან—[illegible]შვილს. მოსკოვიდან—ჩხიკვაძეს, ბორჯომიდან—დოლიძეს, ჩხარიდან—ბეჟუაშვილს.

სასამართლო

გენეს ოინი ძვირი დაუჯდა

მოგეხსენებათ, რომ სახლის პატრონი დიდათ თავს არ შეიწუხებს, თუ მისი „სოვეტსკი" მდგმური განმორდება უეცრად წუთი სოფელს და სამუდამოდ გადაბარგდება სამი ფიცრისაგან შემდგარ თავშესაფარში.

ეს ითქმის განსაკუთრებით მოქ. გენეზე, რომელიც იშვიათ „ჯეშის" სახლის პატრონია ჯერ-ჯერობით და, ვფიქრობთ, ძალიან მოკლე ვადით.

გენე ყოველთვის იმაზე „ლოცულობდა", რომ მის სახლში მდგომ საბჭოთა მოსამსახურეებს გასჩენოდათ რამე უკურნებელი სენი და ერთ დღეს გაეჟლიტა სულ ყველანი.

თავის ლოცვაში გენე პირველ რიგში იხსენიებდა უმუშევარ მდგმურს კანდელაკს, რომლის „გადასახლებას" მისი სახლიდან საშველი არ დაადგა.

— ღმერთო, მიიღე იმისი სული და როგორც კი „ატსტუპნოის" ავიღებ მის მიერ განთავისუფლებულ ოთახში, ჩემოდენა სანთელს შემოგწირავ, მუხლმოდრეკით ევედრებოდა „ღმერთს" გენე.

მიუხედავათ ამისა კანდელაკი კაჟივით იყო. არაფერი არ გაჩენია სენის მაგვარი,

რა ჰქნას გენემ? საჩივარი ოცდაათჯერ აღძრა სასამართლოში „არა სასურველ" მდგმურის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი გახდა.

— არ ცხოვრობს, ბატონო, ჩემს სახლში. ტყვილად აქვს თავის სახელზე ოთახი. არც ერთი ღამე არ გაუთევია შიგ,—ლაპარაკობდა სასამართლოში გენე.

— წარმოადგინეთ საბუთი!—უპასუხებდენ გენეს და უკანვე ისტუმრებდენ.

— კარგი, საბუთსაც წარმოგიდგენ შემდეგისათვის.

გენემ სად უნდა იშოვოს საბუთი! კანდელაკი ხომ თვითონ არ მისცემს. კაცი ოთახში ცხოვრობს, ღამის გასათევიც არა აქვს სხვაგან, ძალიანი ხათრიც რომ დასდოს სახლის პატრონს, ერთი დღითაც არ შეუძლია ოთახის დაცლა.

გენე მოხერხებული კაცია. ქვას წვენს ადენს. ნუ თუ ერთ უმუშევარს ვერ მოერევა თავისი ფანდებით!

გენემ თავის მეეზოვეს რაშაევს გაუზიარა თავისი განზრახვა და აღუთქვა დაჯილდოება.

რაშაევმა „ხაზეინს" ხათრი არ გაუტეხა და პირნათლად შეუსრულა დავალება.

რაში მდგომარეობდა გენეს ოინი?

კანდელაკი უნდა „გადაესახლებია" სხვაგან. რასაკვირველია, ფორმალურად.

მეეზოვე გამოცხადდა კომისარიატში დავთარით ხელში და განაცხადა, რომ კანდელაკი გადავიდა პლეხანოვის პროსპექტზე № 22.

ამოსწერეს კანდელაკი სახლის დავთრიდან. გავიდა თითქმის ერთ თვეზე მეტი. კანდელაკი აღარ ითვლებოდა გენეს მდგმურად დავთრის მიხედვით.

გენეს უკვე „საბუთი" ხელში აქვს. უმუშევარი კანდელაკის თავიდან მოშორება იოლია. ის აღარ წარმოადგენს. სასამართლო ხვალვე გამოუტანს გადაწყვეტილებას, რომ „ცალიერი" ოთახი გენეს განკარგულებაში გადავიდეს! გაუვარდეს ჩერვონცები! ჯერ „ატსტუპნოი"! შემდეგ ყოველ თვეში 40 მანეთი.

განსაკუთრებულ მხიარულ გუნებაზე იყო გენე იმ დღეს, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა კანდელაკის ოთახის შესახებ.

— კი ბატონო, პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობს. თუ გნებავთ მიბრძანდით და ნახეთ,—ლაპარაკობს გენე სასამართლოში.

გაშეშდა კანდელაკი, როცა გენემ დავთარი წარუდგინა მოსამართლეს, საიდანაც კანდელაკი ამოწერილი იყო.

— გთხოვთ პასუხისგებაში მისცეთ გენე ასეთი სიყალბის ჩადენისათვის. მე ჩემს დღეში პლეხანოვის პროსპექტზე არ მიცხოვრია და არც საშუალება მაქვს სხვაგან ვიშოვო ოთახი, დავამტკიცებ სულ ყველა მდგმურების საშუალებით, რომ არსად არ გადავსულვარ.

გამოიძიეს საქმე. პასუხისგებაში მისცეს გენეც და მისი მეეზოვეც.

გენეს მიესაჯა ჯარიმა ხაზინის სასარგებლოდ 100 მანეთის რაოდენობით, მეეზოვე რაშაევს—10 დღით იძულებითი მუშაობა.

„თელეთელი გეურქა" დაისაჯა

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში მკითხველები გაეცნობოდენ თელეთის თემ-აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გეურქ (გიორგი) ბადალოვის „საგმირო" საქმეებს.

ბადალოვს ხელისუფლების სახელის გატეხისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა თვით.

ვერ.

შემთხვევები

ავტომობილის დაჯახება მოტოციკლეტზე

გუშინ, დილით, ხავთლულიდან მომავალი საბარგო ავტომობილი გოგილოს აბანოსთან დაეჯახა მოტოციკლეტს, რომელსაც მართავდა აბდულ ბაბაევი. დაჯახების დროს დაზიანდა მოტოციკლეტი და მსუბუქად დაშავდა ბაბაევი. დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება. როგორც გამოირკვა, შოფერმა მიშინმა ავტომობილი მიჰყავდა დიდი სისწრაფით და მოსახლოვებისას ბაბაევს არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი. შოფერი მიშინი დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინწინ, ვერის ბორანის მახლობლად თავის დახრჩობის მიზნით მდ. მტკვარში გადავარდა ტატიანა ტიმოთეს ასული როსტოვსკაია (მცხ. მატერიალური ქ. № 3), წყალზე დახმარების პუნქტის თანამშრომელმა ქ. ნესტოროვმა როსტოვსკაიას ქალი სიკვდილს გადაარჩინა. თვითმკვლელობის მიზეზი ირკვევა.

დაჭრა

თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო მილიციაში მიღებული ცნობების თანახმად, გუშინწინ თომა სიმონისძე გოგიჩაიშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა დიმიტრი მიხეილისძე სტეფანენკო (მცხ. მანგლისში). დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია. გოგიჩაიშვილი დააპატიმრეს.

მკვლელობა

ამას წინად ვიღაც ბოროტმოქმედებმა სოფ. ასლანკის (აბულდამის სამილიციო რაიონი) მახლობელ ტყეში მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრები სისაკა სარქისოვი. ამ დღეებში მილიციამ მკვლელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: სონა, გრიგოლ, და ტიგრან არუბანოვები და სამსონ ლამაზოვი.

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ვლადიმერ ერაძის ბინა (კალოუბნის ქუჩა № 14). წაიღეს 50 მანეთი ფულად და 30 მანეთის ტანსაცმელი.—გაქურდეს სიმონ ხაიხაშვილის ბინა (ჩიხლაძის შესახვევი № 5), წაიღეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ელ. ლაზარევის ბინა (ფარიდის ქუჩა № 5), წაიღეს 80 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს კარაპეტ მარტიროსოვის ბინა (ე. ნინოშვილის ქუჩა № 31) წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები.

ბავშვის დაკარგვა

31 მაისს სოფ. კარდანახში (სიღნაღის მაზრა) მცხოვრები რაჟდენ ილიასძე ტაბახმელაშვილი გავიდა სახლიდან და დღემდე აღარ დაბრუნებულა. ბავშვი არის 14 წლის, ტანათ საშუალო, შავი თმა, ჭრელი თვალები; აცვია რუხი ხალათი და შალვარი, შავი პალტო; ახურავს თუშური ქუდი, ფეხზე აცვია ჩუსტები უწინდით.

მნახველს სთხოვენ აცნობონ სიღნაღის მაზრის მ.-გ. მილიციის სამმართველოს.

ხელოვნება

ქართველი მწერლების ნაწერების გამოცემა რუსულად

მოსკოვში პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე მყოფმა საქართველოს დელეგაციამ და შემდეგ რამოდენიმე პროლეტარულმა მწერალმა, მოლაპარაკება აწარმოეს სხვადასხვა გამომცემლობებთან—ქართული ლიტერატურის რუსულად თარგმნისა და გამოცემის შესახებ. რუსეთის სახელგამის მიერ უახლოეს საგამომცემლო გეგმაში შეტანილია (უმრავლესობაზე ხელშეკრულებაც დადებულია) შემდეგი წიგნები:

ქართული პოეზიის ანთოლოგია, მოლაპარაკება აწარმოება საქართველოს სახელგამ., რომელმაც იკისრა წინასწარი რედაქცია; მასალების თარგმნას მოაწყობს რუსეთის სახელგამი. ანთოლოგიის გამოცემა განზრახულია უახლოეს ხანისათვის.

რუსეთის სახელგამის მიერ მიღებულ იქნა ბენიტო ბუაჩიძის წიგნი „თანამედროვე ქართული ლიტერატურა", რომელიც გამოვა უახლოეს ხანში. წიგნი მუშავდება სპეციალური გეგმით, რუსული მკითხველისათვის, უმთავრესად მეოცე საუკუნის მასალების მიხედვით.

მიღებულია და უკვე იბეჭდება მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები". ლეო ქიაჩელის რომანი „სისხლი" და დ. [illegible] „[illegible]".

ახლად მიღებულ იქნა შემდეგი პროლეტარულ მწერლების მოთხრობათა კრებული.

ე. პოლუმორდვინოვის „მოთხრობები", კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, პ. სამსონიძის მოთხრობები და ნ. ზომლეთელის მოთხრობა „[illegible]".

სახელგამის მიერ მიღებულ იქნა კ. კალაძის და კ. ლორთქიფანიძის ლექსების წიგნი. ლექსები თარგმნილია ნ. ასეევის, ბაგრიცკის, გოროდეცკის, ხაჩიანოვის და სხვათა მიერ.

გამომცემლობა „მოსკოვსკი რაბოჩი"-სთან დადებულ ხელშეკრულება შემდეგ წიგნებზე:

თანამედროვე პროლეტარული მწერლობის ალმანახი, თანამგზავრულ მწერლობასთან ერთად.

გეგმაში შეტანილია აგრეთვე ვ. ქალის, ა. მაშაშვილის, კ. კალაძის და კ. ლორთქიფანიძის პოემების წიგნის გამოცემა.

ლენინგრადში ქართულ პროლეტარულ მწერლობაზე გამოვა ჟურნალ „რეზეცი"-ს სპეციალური ნომერი. უახლოეს ხანში გამოქვეყნდება ქართული ლიტერატურის ფურცლები სხვადასხვა გაზეთებში.

ქართულ პროლეტარულ მწერლების ნაწერები იბეჭდება უკრაინის და ბელორუსიის პერიოდულ გამოცემებშიც.

სწარმოებდა მოლაპარაკება რამოდენიმე რუს მწერალთან, რომლებიც შეუდგებიან ქართველ მწერალთა ნაწერების სისტემატიურ თარგმნას. ახლო ხანში საქართველოში ჩამოვა პოეტი ე. ბაგრიცკი, რომელიც ამჟამად „На рубеже Востока"-სთვის სთარგმნის თურქ ნაზიმ ხიკმეტის პოემებს.

ვის ჩამოერთვა სახლები

ბუდაღოვს (უორესის ქ., 11), მარია დავიდოვა სურენიენცს (საბა სულხან-ორბელიანის ქუჩა 4), მნაცაკანოვს (მლეთის შეს., 8), ტერ თონიძიანცს (ჭავჭავაძის ქ., 85), ლაზარევს და ციციშვილს (კობის ჩიხი, 11), ეკატერინე რევვას (ცხემის შეს., 2-5), ლაზარიშვილებს (ვეძინის ქ., 7), გიორგი გირცელს (პლეხანოვის პრ., 77), მარიამ ჯაფარიძეს, რცხილაძეს და თომა ფირცხალაიშვილს (დერბენდის და კერესელიძის ქ., 8—10), ქიშმიშევს (ენგელსის ქ., 2), გაბინეევს (საიათნოვას შეს., 5), გალდავაძეს და თურქიას (ერისთავ-ხოშტარიას ქ., 11), მარიამ ჭყონიას (ძნელაძის და სამხედრო ქ., 50—13), ბარბარე ჩერქეზიშვილი (ჩერნიშევის ქ. 8) იაკიმ კუტუაშვილს (ჩერნიშევის ქ., 9), არეშევ-ხაჩატუროვს (საიათნოვას ქ., 10), ჯაფარიძეს და ყანდარელს (ცეტკინის ქ., 19), ჯანუაშვილს (მოსკოვის ქ., 30), ვაშაკიძეს (საბჭოთა ქ., 32), მარიამ პარშიკოვს და აპოლონ შიბანოს (ზარიაძის შეს., 7), ოანესიანცს და მიკირტუმოვს (პლეხანოვის პრ., 17), კორდავას და ასატუროვს (ვასერის ქ., 31), ნ. ცატუროვს (ცეტკინის ქ., 68), მურადოვს (საბჭოთა ქ., 14) ალექსანდრე რუდენკოს (კალინინის ქ., 88), ალ. ალადაშვილს (გრიბოედოვის და ჭავჭავაძის ქ., 18—3), ემელიანოვს (მოსკოვის ქ., 14), ხანჯიანს (მოსკოვის ქ., 24), თამარა კალაგტაროვას (ენგელსის ქ., 42), შალვა ნარსიას და ნინა მამრაძეს (ენგელსის ქ., 64), შახბუდაგოვებს (საბჭოთა ქ. 51), ბლიაძეს (ნინოშვილის ქ. 48), კეკელა მარქაროვას (ჭავჭავაძის ქ., 25), საფაროვს (ნინოშვილის ქ., 46), იოხავას (გაბაშვილის ქ., 6), დავრიშვილს და კოდამიძეს (გორის შეს. 6), ბლაუნეველის (ტრამ[illegible] შეს., 3), [illegible], კახიძეს და [illegible] (ვახუშტის ქ. 69), ვლადიმერ ხერგიანს (ორჯონიკიძის ქ., 123), ბერკოვსის და მეტრეველს (ორჯონიკიძის ქ., 121), მიხეილ ლოროზოვს (ვახუშტის ქ., 56), [illegible]შვილს, ნასიძეს და მინდე შილს (ბათომის ქ., 4), ალექ. გიუნაშვილს (ბათომის ქ., 2), კაზიმირ პარნოვსკის (ვახუშტის ქ., 62), ნოვიცკის (ოზურგეთის შეს., 12), საგათელოვს და ტამაზოვს (ცეტკინის ქ., 112), გიორგი ბაბილურს (ბათომის ქ., 6), ანდრია მიშრენკოს (ოზურგეთის შეს., 4), დუნდუას, მამალაძეს და ნადარეიშვილს (გორის ქ., 6), ხაჩატურ აბაზოვს (ენგელსის ქ., 7), სევერიან კეკელიძეს (ვახუშტის ქ., 58), ლილი ალიხანოვს (მახაზის ქ., 16), ზაქ. სუსლინს (ორჯონიკიძის და გორის ქ., 100—7), ანდრია პარასტაევს (ენგელსის ქ., 66), ჩქარეულს და ჯიჯეიშვილს (ორჯონიკიძის ქ., 113), ანა, ვარლამ და სხვ. ასლანიანცებს (წერეთლის და ლერმონტოვის ქ., 14—9), მარცვალოვს, მურადოვს და სხვ. (ენგელსის ქ. 30) კალუბლოვსკის (კამოს ქ., 66), სოფიო კალანტაროვას (მაჩაბლის და ლერმონტ. ქ. 10—14) ჯავახოვს და ჯოჯიაშვილს (ცეტკინის ქ., 98) ჯაფარიძეს (ვასილის ქ., 28), ფრიდონოვებს და სხვ. (ლერმონტოვის ქუჩა, 11), იაკობ წოწოლაშვილს (ენგელსის ქ., 89), მელიქიშვებს (დუმბაძის ქ., 32), სარქის, მიხეილ და სხვ. ამირალოვებს (ენგელსის ქ., 52), გრიგოლ შილაკაძეს (ორჯონიკიძის ქ., 108), დარია ჭავჭავაძეს (განჩარის ქ., 19), ნინა დოლუხანოვას (ლერმონტოვის ქ., 12), მიხეილ იაშვილს (ენგელსის ქ., 60), [illegible] იეანოვას (ვარდისუბნის ქ., 8), კასპაროვა-ტუტუჯიანცს (საბა სულხან ორბელიანის ქ. 5), მიხეილ ბოკერიას (ვარდისუბნის ქ., 7), კონსტანტინე მილოვსკის (ვარდისუბნის ქ. 8-ა), ალ კრიტის და გარეგინ ხაჩატოვს (ორჯონიკიძის ქ. 13), ტიზენგაუზენს (ჭავჭავაძის ქ. 13—44) ლევან შარდინაროვს (ორჯონიკიძის ქ., 27), შახრუმანოვს —ა ლიოზნიძეს (ვახერის და არაგვისპირელის ქ., 37—7), მ. ქუთათელაძეს (ჭავჭავაძის ქ., 18), გრიშა ვართანოვს (ვაჟა-ფშაველას ქუჩა, 5), ვ. მამიკონიანცს (ორჯონიკიძის ქ., 21), ოხანოვს და სხვებს (ვახერის ქ., 35), ნონეზოვს (საბჭოთა ქ., 34), ბალდასაროვს (საბჭოთა ქ., 38), ბახტანოვს (ორჯონიკიძის ქ., 17), გოკასოვებს (გოგებაშვილის ქ., 18), ნიკო ზამკოვს (ვარდისუბნის ქ., 11) მარიამ რუსიაშვილს (ბარნოვის ქ., 24), კორდანოვს (ორჯონიკიძის ქ., 20), ხარიბეკიანს ჭავჭავაძის ქ., 45).

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

ფრანგული ჭიდაობა

ა.-კ. რესპუბლიკების ძალოსანთა ცილობას ფრანგულ ჭიდაობაში დიდძალი საზოგადოება ესწრება. ჭიდაობა იმართება ცირკში. ამ დღეებში შესდგა მორიგი ცილობა, რომლის შედეგები ასეთია:

ბუზის წონა: ბეგლიანმა (საქართ.) დასცა ცანიანი (სომხეთი). ფრთის წონა თარხანოვმა (საქართ.) დასცა გაჯიევმა (აზერბ.). მჩატე წონა: ოგანეზოვის (საქართ.) შეხვედრა ბახშალიევთან უშედეგოთ დამთავრდა. მსუბუქი წონა: ხტეფანოვმა (აზერბ.). დასცა ხაჩატურიანი (სომხ.).

სიმძიმეების აწევა

ცალი ხელით სიმძიმეების აწევაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია სამივე რესპუბლიკის შემდეგმა ძალოსნებმა:

ბუზის წონა: აკოპიანმა (სომხეთი) ასწია 47,7 კილოგრამი, ცერალოვმა (საქართველო)—38,6 კილოგრ. ნუნიანმა (აზერბ.)—31.5 კილოგრ.

ფრთის წონა: პასიკოვმა (საქართ.) და მიკირტჩიანმა ასწიეს 52,4 კილოგრ. კოპლატაძემ (აზერბ.) ასწია 47,7 კილოგრ.

მჩატე წონა: ზაუტაშვილმა (საქართ.) ასწია 59,6 კილოგრ. მანვე ასწია აგრეთვე 62,4 კილოგრ. მაგრამ არ იქნა შეტანილი სააღრიცხვო ფურცელში, რადგან ცდის ვადის გათავების შემდეგ მოხდა. ვოლფზონმა (აზერბ.) ასწია 54,9 კილოგრ. მნაცაკანოვმა (სომხ.)—47,7 კილოგრ.

მსუბუქი წონა: ჭინჭარაძემ (საქართველო) ასწია 64,8 კილოგრამი, რომლითაც დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი რეკორდი. მერკურიმა (აზერბ.). და ხიმონიანმა (სომხ.) ასწიეს 57,7 კილოგრ.

საშუალო წონა: კოსტავამ (საქართველო) ასწია 68,5 კილოგრ. აკოპიანმა (სომხეთი) 64,8 კილოგრ. მურადოვმა (აზერბ.) ასწია 54,9 კილოგრ.

ერგი მძიმე წონა გილნერმა (საქართ.). ასწია 68,5 კილოგრ. ანანიკიანმა (აზერბ.)—57,7 კილოგრ. ტოპჩიანმა (სომხ.)—38,6 კილოგრ.

მძიმე წონა: განიფელდმა (საქართველო) ასწია 57,7 კილოგრ. მალუჯალიანმა (სომხეთი)—54,9 კილოგრ. გლაზერმა (აზერბ.)—52,4 კილოგრ.

ამრიგად ყველა პირველი ადგილები სიმძიმეების აწევაში დაიკავეს საქართველოს ძალოსნებმა.

ცილობა ჩოგბურთში (ტენისში)

ჩოგბურთში ცილობაში მონაწილეობას იღებენ: აზერბეიჯანიდან და საქართველოდან ექვსექვსი კაცი, ხოლო სომხეთიდან 4 კაცი. ცილობის პირველ დღიდანვე საქართველოს გუნდი უპირატესობას იჩენს ჩოგბურთში. 51 შესაძლებლობიდან ის მიიღებს 46 ქულას. მეორე ადგილს დაიკავებს აზერბეიჯანი, ხოლო უკანასკნელს სომხეთი.

ვაჟთა ამანათრბენი 4× 100

4×100 მეტრის მანძილზე ამანათრბენში შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველო. ცილობაში მონაწილეობა მიიღეს: შვარციბახმა, ჭელიძემ, გიორგობიანმა და ხიმიონოვმა, რომლებმაც დისტანცია დაფარეს 47,6 წამში. მეორე ადგილი დაიკავა აზერბეჯანმა, ხოლო მესამე ადგილი შეხვდა სომხეთს.

ქალთა ამანათრბენი

ქალთა შერეულ ამანათრბენში ცილობაში (400+300+200+100 მეტრის მანძილზე) პირველი ადგილზე გამოვიდა აზერბეიჯანი. მეორე ადგილი დაიკავა საქართველომ.

ჯოხით ხტომა

ჯოხით ხტომაში შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ლედევამ (საქართ.), რომელიც გადახტა 3 მეტრზე და 30 სანტ. მეორე ადგილი დაიკავა იურასოვმა (აზერბ.), რომელიც გადახტა 3 მეტრზე და 20 სანტიმეტრზე.

ადგილიდან ხტომა სიმაღლეზე

ადგილიდან სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის პირველობა აიღო ზალდასტანიშვილმა (საქართ.), რომელმაც დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი რეკორდი. ის გადახტა 1,1 მეტრზე. მეორე ადგილი დაიკავა ფაშინამ (აზერბ.) და თუზბაშევამ (საქართ.), ხოლო მესამე ადგილი შეხვდა ბულიგინას (საქართ.)

ამ რიგად, აღნიშნულ დარგში შეჯიბრებაში გამარჯვება ერგო საქართველოს.

ადგილიდან ხტომა სიგრძეზე

ქალთა შორის ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ზალდასტანიშვილმა (საქართ.), რომელიც გადახტა 2 მეტრზე და 36,5 სანტ. მეორე ადგილზე გამოვიდა სერგეევა. გადახტა 2 მეტრზე და 16 სანტ. მესამე ადგილი დაიკავა ხარიტონოვამ (აზერბ.), გადახტა 2 მეტრზე და 14 სანტ.

რბენა 1.500 მეტრზე

1.500 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველობა აიღო ანდრიასოვმა (აზ.), რომელმაც დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი რეკორდი, აღნიშნული დისტანცია მან დაფარა 4,34 წუთში. მეორე ადგილი დაიკავა მალიშოვმა (საქართ.) დისტანცია დაფარა 4,42 წუთში, მესამე ადგილზე გამოვიდა ქარუმიძე (საქართ.), დისტანცია დაფარა 4,42 წუთში.

ხტომაში შეჯიბრება

ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის პირველობა აიღო შვარციბახამ (საქართ.), რომელიც გადახტა 2.805 მეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა ხიმიონოვი (საქართ.), გადახტა 2,8 მეტრზე, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ტეტევიანმა (საქართ.), გადახტა 2.79 მეტრზე. ამრიგად, ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში პირველობა აიღო საქართველომ.

ველო.-გადარბენა

27 ივნისს, ნავთლუღში ჩატარდა ცილობა ველო-გადარბენაში სამივე რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა. გადარბენა სწარმოებდა 30 კილომეტრის მანძილზე. შეჯიბრება ჩატარდა საქართველოს გამარჯვებით. ვინაიდან პირველად მოვიდა სტეფანოვი (საქართ.); მეორე ადგილი დაიკავა სომხეთმა, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა აზერბეიჯანი.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეოთხე ტური

სმოროდსკი—მაკოგონოვი (ლაზიერის პაიკების დებიუტი), სმოროდსკიმ აირჩია გაცვლითი ვარიანტი და გაათანაბრა პარტია. მე-14-ე სვლაზე ლაზიერით გააკეთა წინდაუხედავი სვლა და დაჰკარგა ტემპი, რითაც მაკოგონოვმა მოიპოვა უპირატესობა ლაზიერის ფლანგზე, მოიგო ხარისხი და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

ებრალიძე—ილინ-ჟენევსკი (ახალი ინდიური). ებრალიძემ კარგად გაითამაშა დებიუტი, მიიღო ერთგვარი უპირატესობა მოწინააღმდეგეზე, მაგრამ უდროოდ წასწია ცენტრალური პაიკი, რამაც მაესტროს მისცა თავდაცვის საშუალება. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ პარტიის ყაიმით დამთავრებაზე.

იმენიტოვი—გოგლიძე (ფრანგული). დებიუტში გოგლიძემ აირჩია ლასკერის ვარიანტი და მოწინააღმდეგეს მისცა საშუალება იერიში მიეტანა მეფეზე. შავებმა მიმართეს თავდაცვას, განთავისუფლდნენ მოწინააღმდეგის შემოტევისაგან, მაგრამ მე-18-ე სვლაზე დაუშვეს შეცდომა და იმენიტოვს ისევ მისცეს ძლიერი შეტევის საშუალება. ცეიტნოტში გადასულმა პარტიამ თეთრები აიძულა ეწარმოებინა არასწორი შეტევა. მე-24-ე სვლაზე იმენიტოვმა დაუშვა შეცდომა, რომლის შემდეგ გოგლიძემ მოიგო ფიგურა და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

ბადაი—მალუნცევი (სიცილიური). პარტიის განვითარებისათვის დებიუტში ბადაიმ აირჩია ალიოხინის სისტემა რომელიც უარყოფს სიცილიურს. მალუნცევმა მიიტანა იერიშები მეფის ფლანგზე, ადრე გაცვალა ლაზიერი და საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს პარტია დაემთავრებია ყაიმით.

როსტოვცევი—ხოროკინი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). პარტია გადადებულია როსტოვცევისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ტალვიკი—ტოტევიანი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). დიდი ხნის განმავლობაში ტალვიკმა ვერ შესძლო უპირატესობის მიღება. ტოტევიანმა მე-37-ე სვლაზე დაუშვა შეცდომა, საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს მოეგო ხარისხი, რომლის შემდეგ დანებდა კიდეც.

ავეტისოვი—აბრამიანი (ლაზიერის პაიკების დებიუტი). აბრამიანმა დებიუტში ძლიერი შეტევა მიიტანა მოწინააღმდეგის ფრონტზე, რამდენიმე კარგი სვლით ორი ფიგურა მოიგო ეტლში, რაც საკმაო აღმოჩნდა იმისათვის რომ პარტია მოგებით დაემთავრებია.

კარჩიკიანი — მატეოსიანი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი), მთელი რიგი ფიგურების გაცვლის შემდეგ მატეოსიანმა თითქმის მოსაგები მდგომარეობა მიიღო, მაგრამ ვერ შესძლო ბოლომდი მიეყვანა კარგი პარტია და მოწინააღმდეგეს მისცა საშუალება თამაში დაემთავრებია ყაიმით.

მეოთხე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: 3 მაკოგონოვი+3 ნახ. ებრალიძე+3, გოგლიძე+2 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი. ილინ ჟენევსკი +1 ნახ. და ორი დაუმთავრებელი. სმოროდსკი, კარჩიკიანი, აბრამიანი მალუნცევი და ბადაი+2. ტალვიკი+ 1 ნახ. და ორი დაუმთავრებელი, იმენიტოვი და ავეტისოვი+1 ნახ., ხოროკინი+1 და ორი დაუმთავრებელი, მატეოსიანი + ნახ. და ტოტევიანი 0.

მეექვსე ტური

დღეს, 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგება ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატის მეექვსე ტური. თამაშობენ: იმენიტოვი—სმოროდსკი, ტალვიკი—გოგლიძე, როსტოვცევი—მაკოგონოვი, ბადაი—ტოტევიანი, ებრალიძე—ხოროკინი, ავეტისოვი—მალუნცევი, კარჩიკიანი—ილინ-ჟენევსკი; მატეოსიანი—აბრამიანი.

მოწაფეთა ჩემპიონატი

მეოთხე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: შუბლაძეს აქვს+3 ნახ. მკრტუმოვს+3 და აგამალიანს+2 ნახ.

ვ. გოგოლიძე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 29 ივნისი

დღეს, 29 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

ამუნდსენის წინამორბედნი—მოხსენება რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

მოხსენება კოოპერაციაზე—თურქულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—აფხაზურ ენაზე.

კომკავშირი სოფლად ახალ გზებზე—თურქულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—ოსურ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს თამბაქოს ჯანმრთელობისათვის—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 29 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ფატი ელიავა, ბარბალე სარიკაია, ვერა გოცირიძე, ვლადიმერ ჩერნიევი, ლუბა ხუჭუა, რუსანა ალექსიანცი, ეკატერინე კანდელაკი, მარიამ საკოვა, ვასილ ბერაძეშვილი და ილია ბრიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარ კვირკველიშვილი, გიორგი ლლონტი, ლიუდვიგ რომანი; ელენე ოკუჯავა; ხერი ოგანეზოვა, გურგენ დამიანი, იენი ბაღდასაროვი; შალვა ლაფერაშვილი გრიგოლ ბერიძე, მამედ შალიევი, არჩილ სულაქველიძე, ვლადიმერ გოფუენი, მარიამ ჭყონია ლეონ გოკეელოვი, ვლადიმერ შოლავა, არტემ აირიძიანი, რიფსიმე ბაბელაშვილი, ლარისა არუტინოვა, ო. ბერიაშვილი; ქრისტეფორე ბაგრევი; ვალერიან გელოვანი, მიხეილ გაბუნია, ანნა ჩოლმოვა, ონისიმე ემოსანი; გრიგოლ ოძელაშვილი; ვასილ ოფხაროვი; ვასო ჩიკვაიძე; ანნა შხიაძე; სოფიო იონიდი ელენე კვირკველია, ლეონ გასანკალოვი, ავაქ მატოსოვი, სარქის აბრამიანი და სერგო საბაშვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

„ელექტრომაგნიტური ფილტრი"

ამ რამოდენიმე [illegible] ექიმმა პროფ. რობინზონმა [illegible] კვლევა, რომელიც ნათელყოფს ელენთას (селезенка) ფიზიოლოგიურ [illegible] ელენთა თამაშობს „ელექტრომაგნიტურ ფილტრის" როლს. ელენთას ქსოვილის შემადგენელ უჯრედების განსაკუთრებული აგებულობის გამო, მასში (ელენთაში) იქმნება ელექტრო-მაგნიტური არე. რომელიც აკავებს ყველა უარყოფითად დატენილ ნაწილაკებს—ბაქტერიებს, ზოგიერთ კოლოიდურ მზამებს და სხვ. პროფ. რობინზონი ცდის სახით ცხოველებს აძლევდა დადებითად და უარყოფითად დატენილ ნაწილაკებს—ვერცხლისას, პლატინისას, სპილენძისას რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ ცხოველების ელენთაში რობინზონმა იპოვა მხოლოდ ამ ლითონების უარყოფითად დატენილი ნაწილაკები. რობინზონის აზრით, ელენთა თავისი ელექტრო-მაგნიტური თვისებების გამო, აკავებს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს და შემდეგ სპობს მათ.

ცხოველები—ადამიანის დამცველები მალარიისაგან

ფრანგი მეცნიერი ექ. ლეჟანდრი ფიქრობს, რომ შინაურ და გარეულ ცხოველების სიმრავლეს ადამიანის ახლო შეუძლია უკანასკნელი დაიცვას მალარიით დაავადებისაგან. როგორც ირკვევა, მალარიის კოღო ცხოველთა სისხლს „უპირატესობას აძლევს" ადამიანის სისხლის წინაშე და ადამიანს ჰკბენს მხოლოდ მაშინ, თუ ახლო მახლო არ არის ცხოველები. ამიტომ ცხენები, რქოსანი საქონელი, ღორები, განსაკუთრებით კი ბაჭიები, ადამიანს იცავენ კოღო ანოფელესის კბენისაგან. თავდაცვა ამ კოღოებისაგან მით უფრო უკეთესია და საიმედო, რამდენადაც ახლოა მოწყობილი ადამიანის ბინასთან ბოსელი, საღორე, ფრინველების მოსათავსებელი ბინები.

მალარიასთან ბრძოლის მიზნით ლეჟანდრი წინადადებას იძლევა, გამორკვეულ იქნეს შეფარდება კოღოების კვებისა და ცხოველთა რაოდენობას შორის ამა თუ იმ რაიონში და ეს შეფარდება შეცვლილ იქნეს ადამიანისათვის ხელსაყრელად, რისთვისაც გამრავლებული უნდა იქნეს ცხოველები, რომლებიც იზიდავენ კოღოებს და ამგვარად იცავენ ადამიანს,

ლეჟანდრის თეორია ნაწილობრივ ნათელს ჰფენს მალარიით დაავადებულთა რიცხვის გამაოცებელ ზრდას იმპერიალისტური ომის დასასრულისა და შემდგომ წლებში. მიზეზია —შინაურ ცხოველთა რაოდენობის შესამჩნევად შემცირება ამ დროისათვის.

იურიდიული დახმარება

კითხვა

ვარ ორი წლის გათხოვილი. მყავდა ერთი ძმა, რომელიც ათი თვეა, რაც გარდაიცვალა, დავასაფლავე ჩემი ხარჯით. მე და ჩემი ძმა გაუყოფელი დავრჩით, მხოლოდ ჩემი გათხოვებიდან ძმის სიკვდილამდე, შემოსავლით ვსარგებლობდი მეც. ეხლა ჩემმა რძალმა ოჯახში შემოიყვანა თავის დედ-მამა. მამა ჩემის დანატოვარ უძრავ-მოძრავ ქონებიდან მე არაფერს მაძლევს. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ძმისეულის საცხოვრებლიდან წილი?

პასუხი

რადგან გათხოვებამდი თქვენ შეადგენდით ერთ კომლს თქვენ ძმასთან, გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი წილის გამოყოფა კომლის ქონებიდან.

სოფ. მეტეხის მცხოვრებ სანდრო ბოგველს

კითხვა:

სოფელ მეტეხში საურმე გზის ახლო მქონდა სახლი და ეზო. სოფელს დასჭირდა გზა, რომელიც ჩემს სახლის ახლოს გასჭრეს ისეთ სიმაღლეზე, რომ მე არა მაქვს საშუალება ვისარგებლო ამ გზით. ამიტომ ვსარგებლობ მეზობლის გზით, სხვა გამოსავალი არა მაქვს. გეკითხებით, ვალდებულია თუ არა სოფელი მოგვცეს მისასვლელი ურმის გზა?

პასუხი:

თუ გზის გაყვანის გამო თქვენ არა გაქვთ ურმის მისასვლელი გზა, თქვენ ასეთი უნდა მოგეცეთ, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ამის შესაძლებლობა სოფელს ჰქონდეს. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ მეზობლის გზით სარგებლობა და ეს უკანასკნელი ვერ დაგიჭერთ.

ივანე პეტრესძე ნადარეიშვილს

კითხვა:

ვარ მიწის მუშა გლეხი. ამ უკანასკნელ წლებში გადმოსახლდი სამტრედიიდან ზუგდიდის მაზრაში, სადაც მაქვს დაახლოებით 700 ოთხკ. საჟენი მიწა. ამ მიწაზე მაქვს აგებული საცხოვრებელი შენობა, და გაშენებული მცენარეები. ახლა მინდა გადავსახლდე ძველ საცხოვრებელ ადგილზე (სამტრედიის რაიონში). გთხოვთ მიპასუხოთ შემიძლიან თუ არა ჩემი ნაშრომი მივყიდო სხვას.

პასუხი:

საცხოვრებელი შენობა და ყველა ის (მცენარე, ნაშენი და სხვ.), რაც თქვენ გეკუთვნის, თქვენ შეგიძლიათ გაჰყიდოთ, მაგრამ თუ ეს ქონება ისე იყიდება, რომ მიწას არ ეცილება, თქვენი ქონების მყიდველმა უნდა მიმართოს სამაზრო საადგილმამულო განყოფილებას თხოვნით, რომ ის მიწა, რომელზედაც ეს ქონებაა, მიეცეს მას შრომით სარგებლობაში, ხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მიწა გადაეცემა მყიდველს, შესაძლებელია თქვენი ქონების ყიდვა-გაყიდვა იქნეს შესრულებული.

პარტიული კალენდარი

ქართული მუშაკის პარტ-კოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია მუშაკის კომუჯრედის ღია სხდომა ახ. ლ. კ. კ. უჯრედთან ერთად.

პარტიის წევრ-კანდიდატთა და კომკავშირელთა დასწრება აუცილებელია.

ღრმად დამწუხრებულნი მამა გრიგოლი, დედა ტერეზი, დები: მარგალიტა და ცაცო სამხარაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

ტარიპოს

ტრაღიკულად გარდაცვალებას ა. წ. 28 ივლისს. დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. (შ)

კვირას, 1 ივლისს, დღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დამცველთა კოლეგიის წევრის

ბარნაბ ლოლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის ოჯახი.

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო მინიონი სოლეი	მხატვრული სურათი **ორფენი** (ქარიშხალი) რეჟისორი ივ. პერესტიანი, ოპერატ. ა. დიღმელოვი
განთიადი (ნაძალადევში)	არაჩვეულებრივი ფილმი **დიადი გზა**
საზაფხულო ეთერი	გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან **ბულატ ბატირ**
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი **კეთროვანი** ფ. დიუშენის რომანის „ახალგაზრდა მთვარე"-ს მიხედვით.
საზაფხულო პალასი	**[illegible]** 3 და 4 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	საინტერესო ფილმი **სიკვდილზე სწრაფი** გარი პილის მონაწილეობით

ანონსი მალე ეკრანზე ახალი სურათი „მათხოვარი-[illegible]"-ს კოლინის მონაწ. 0—25

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—15 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

მედსანშრომის მუშაკთა კლუბი (ყოფ. სტელა).

დღეს, 29 ივნისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის გამოსათხოვარი გასტროლი.

სოლისტების ლ. სტეპელის და ე. კაპელნიცკის მონაწილეობით. პროგრამაში: ლისტი, ბახი, ჰუნო, ბეთჰოვენი, ბერლიოზი.

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

30 ივნისს, კონცერტი მუშათა ცენტრ. კლუბში. ნ. 1326

ქალ. ლომბარდის საუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას 1 ივლისს დილის 11 საათზე მინკევიჩის ქ. 12 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ გაიყიდება ძმები კარლინსკების ზეთის და ხალვის ქარხანა, 20 ძალიანი მატორით, სპილენძის ტაშტები, მაგიდები, ზეთი ტ ხნის კუნეტის და კასტორის 120 ფუთამდე თუნუქის ბიდონებში, ხალვა 25 ფუთამდე და სხვა მრავალი ინვენტარი. ნ. 1324

ქალ. ლომბარდის საუქციონო კამერა

აცხადებს, რომ შაბათს, 30 ივნისს, დილის 10 საათზე, სასახლის, ქ. № 3, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება ბუფეტები, შიფონერკები, ხალიჩები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1324

ამშენებელთა კავშირის წევრების და თბ. მოქალაქეთა საყურადღებოთ

შაბათს 30 ივნისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ამშენებელთა კავშირის საზაფხულო კლუბის საზეიმო გახსნა (პლეხანოვის პრ. № 65).

საღამოს პროგრამა: 1. კინო, 2. წარმოდგენა, 3. კონცერტი. მოწვეულია საუკეთესო ძალები. ბაღში დაუკრავს სამხედრო-სასულე ორკესტრი. ბაღში მოწყობილია ბუფეტი, ტირი. დაწვრილებით აფიშებში.

2875 2—1 ამშ. კავშ. ც. გამგეობა.

ახალ-სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. კაზირია

ამით აცხადებს, რომ 4 ივლისს 1928 წ. დილის 10 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ქ. ახალ-სენაკში ჯორჯაშვილის ქუჩაზე აგურის ოდა-სახლი ექვსი თვალიანი, დახურული თუნუქით, რომელიც ეკუთვნის ქ. ახალ-სენაკში მცხოვრებს ამალიე ლუკას-ძე ძიგუას, შეფასებული 700 მ. დასაკმაყოფილებლად იონა ჯემაისი, თანახმად დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 5398. ძიგუას შენობაზე ირიცხება სახაზინო გადასახადი 600 მანეთამდე. 2878

მიხეილ ზედგენიძის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. გ. კონტოროვიჩ სა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დაკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 31067 მოცემული მიწა-ტყის მუშაკთა კავშირიდან და წითელ არმიელის სამსახურის წიგნაკი მოცემული ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულიდან ნიკოლოზ ხაჭარიას ძე ბალახაძეს სახელზე, ჩ. გ. 2876